


ნორინგ მოლოდინი, რევაზ მოლოდინი

ტრიბოლოგიის ზოგადი გურსი



„ტექნიკური უნივერსიტეტი“

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ნორინგ მოლოდინი, რევაზ მოლოდინი

ტრიბოლოგის ზოგადი პურსი



დამტკიცებულია სალექციო კურსად
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს
მიერ. 28.02.2018, ოქმი №1

თბილისი
2018

სალექციო კურსში განხილულია ტრიბონიკის ექსპერიმენტული მეთოდიკის, საკონტაქტო ზედაპირების ტოპოგრაფიის და ხახუნის თეორიის ზოგადი საკითხები: პრაქტიკული ამოცანების, გარეგანი და შინაგანი (მართვადი ადჰეზიური და კოჰეზიური) ხახუნით ტვირთის სატრანსპორტო სისტემებით ტრანსპორტირებისა და საკონფეირო ამძრავების დაპროექტების ტექნოლოგიური პროცესები.

მოცემულია ცნობები გამაუხშოვებელი (ვაკუუმის შემქმნელი) მექანიზმების კონსტრუქციების, ამასთანავე, ერთმანეთის მიმართ მოძრავი ხახუნის კვანძების საკონტაქტო ზედაპირების რგოლური ჭვრიტების დაკავშირების, შეზეოვის და ვაკუუმში ხახუნის მეცნიერულად ასსინილი პროცესებით, დასახული მიზნების შესაბამისად, ხახუნის ძალებზე გაფლენის უხელსაყრელების პირობების მიღების, მათი გადაწყვეტისა და შენარჩუნების გზების შესახებ.

ნაშრომი განკუთვნილია მექანიკის შემსწავლელი სტუდენტებისათვის.

რეცენზენტები: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური
ფაკულტეტის პროფესორი, ტექნიკის მეცნიერებათა
დოქტორი ირაკლი გუჯაბიძე,

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური
ფაკულტეტის პროფესორი, გეოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი ნოდარ ფოფორაძე

© საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი”, 2018

ISBN 978-9941-28-410-6 (PDF)

<http://www.gtu.ge>

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილის (იქნება ეს ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) გამოყენება არააირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური) არ შეიძლება გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.

საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.



შინაარსი

შ ე ს ა ვ ა ლ ი	5
1. ხახუნის ამძრავების ტრიბოლოგიის ასპექტები	9
1.1. ზოგადი მიმოხილვა	10
1.1.1. უწყვეტი რეჟიმის ტრანსპორტის გამოყენების არეალი	16
1.1.2. გარეგანი ხახუნის შესწავლის (საფუძვლები) ისტორია	20
1.1.3. ლენტური კონვეიერების ამძრავების თეორიული და ექსპერიმენტული კვლევის შედეგების ზოგადი ანალიზი	20
1.2. ლენტური კონვეიერების ვაკუუმ-ამძრავების კონსტრუქციული სქემების კლასიფიკაცია და ანალიზი	25
2. ვაკუუმ-ამძრავის ავტონომიურ ვაკუუმურმექანიზმებიანი (ავმ) ვაკუუმ-დოლის კონსტრუქციული სქემების დამუშავება და კვლევა	38
2.1. ტექნიკური მოთხოვნები ვაკუუმ-ამძრავების მიმართ	38
2.2. ავმ ტიპის ვაკუუმ-ამძრავი საკონტაქტო ზედაპირიდან სითხის ცენტრალური გაწოვით	41
2.3. ვაკუუმ-დოლის წევის ფაქტორზე მუშა განივი კილოების მდებარეობის გავლენის ანალიზური განსაზღვრა	46
2.4. ამძრავი ვაკუუმდოლის ვაკუუმური მექანიზმების ძირითადი გეომეტრიული პარამეტრების გაანგარიშება	56
2.5. ვაკუუმდოლის ვაკუუმმექანიზმების ამძრავი მრუდწირული მიმმართველების ოპტიმალური პარამეტრების განსაზღვრა	59
2.6. ლენტური კონვეიერების ვაკუუმდოლების საიმედოობის ანალიზი	63
3. საკონვეიერო ამძრავების მოხახუნე ზედაპირების მაკროსიმულისისა და ლენტან საკონტაქტო ზედაპირის რგოლურ ჭვრიტეში ვაკუუმის ფორმირებისადმი მიძღვნილი სამუშაოების ანალიზი	69
3.1. ზედაპირების ტექსტურის შესწავლის მეთოდები და პარამეტრები	69
3.2. ვაკუუმამძრავების ხახუნის კვანძების საკონტაქტო ზედაპირების დახასიათება	71
3.3. ვაკუუმური ამძრავების დოლების, რგოლურ ჭვრიტეში საკონტაქტო ზედაპირების დახასიათება	74
3.4. საკონტაქტო ზედაპირების რგოლურ ჭვრიტეში ვაკუუმის ფორმირებისადმი მიძღვნილი სამუშაოების ანალიზი	80
3.5. ვაკუუმ-ამძრავი როგორც ლენტური საკისარი	84

3.6.	ავმ ვაკუუმამძრავის ხახუნის კვანძების კონსტრუქციული დამუშავება ლაბორატორიაში სტენდური შესწავლისა და სამრეწველო გამოცდისათვის	87
3.6.1.	ხახუნის კვანძების გამოსაცდელი სტენდის მოწყობილობა.....	87
3.6.2.	ექსპერიმენტული კვლევის მეთოდიკა და სამზომი აპარატურა	95
4.	ვაკუუმამძრავის საკონტაქტო ზედაპირის დამუშავება და თეორიული გამოკვლევა.....	100
4.1.	ტექნიკური მოთხოვნები საკონტაქტო ზედაპირის მიმართ.....	100
4.2.	ვაკუუმამძრავის ახალი ტიპის საკონტაქტო ზედაპირი და მისი დახასიათება 102	
4.3.	ჰიდროდინამიკურ რეჟიმში მომუშავე ვაკუუმდოლის ლენტაზე საკონტაქტო ჭვრიტეში სითხის შრის სისქის განსაზღვრა.....	104
4.4.	ვაკუუმდოლის რგოლური ჭვრიტის დგუშისეულ სივრცესთან შემაერთებელ ნახვრეტში სითხის უწყვეტ ნაკადად გადინების კვლევა.....	111
5.	თეორიული, ექსპერიმენტული და კომპიუტერული კვლევის შედეგები და მათი ანალიზი.....	121
5.1.	თეორიული და ექსპერიმენტული კვლევის შედეგები და მათი ანალიზი....	121
5.2.	კომპიუტერული კვლევის შედეგები და მათი ანალიზი	123
	გამოყენებული ლიტერატურა.....	128

შ ე ს ა ვ ა ლ ი

თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების ტემპები მოითხოვს წარმოების შესაბამის მანქანა-მექანიზმებს, მათ შორის სატრანსპორტო საშუალებებს. სახალხო მეურნეობის მრავალ დარგში, ანალოგიურად სამთო საწარმოებშიც დიდნაკადური საცალო, ფხვიერ-ნატეხოვანი და წვრილმარცვლოვანი ტვირთების ერთ-ერთი პერსპექტიული და პოპულარული, უწყვეტი მოქმედების სატრანსპორტო საშუალებაა ლენტური კონვეიერები. გარეგან ხახუნს ყურადღება მიექცა წარმოების მარტივი იარაღების შექმნის დროიდან. ეს იქნებოდა ცეცხლის მოპოვების, მშენებლობის თუ ხაფანგების დაგების სხვადასხვა მეთოდები. წარმოების იარაღების თანდათანობითი სრულყოფა, თავის მხრივ, დღის წესრიგში აყენებდა მოხახუნე ზედაპირების თეორიული და პრაქტიკული საკითხების (შეზეთვა, ცვეთა და ა.შ.) კვლევა-შესწავლას. ასე შეიქმნა მეცნიერება - **ტრიბოლოგია (ტრიბონიკა, ტრიბოტექნიკა, ტრიბომექანიკა, ტრიბოფიზიკა, ტრიბოქიმია და ა.შ.[1])**. დადგენილია, რომ მსოფლიოს ენერგეტიკული რესურსების ერთი მესამედიდან ნახევრამდე ამა თუ იმ ფორმით იხარჯება ხახუნზე, ამიტომ სახალხო მეურნეობის ნებისმიერ დარგში ტრიბოლოგიის საკითხების შესწავლა ძალიან მნიშვნელოვანია. საერთაშორისო ჟურნალის "ვეარ"-ის ყოფილი რედაქტორი, დოქტორი სალომონი ამტკიცებს: "ტრიბონიკა არის ხელოვნებისა და აზროვნების სახეობა: მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა სფეროს სპეციალისტთა მოქნილი კომერციისადმი ინტელექტური მიდგომა. ეს ოპერაციების ანალიზის გამოყენების ხელოვნებაა უდიდესი ეკონომიკური მნიშვნელობის ამოცანების გადაწყვეტისათვის, სახელდობრ, კოსმოსური ხომალდებიდან საყოფაცხოვრებო ხელსაწყოებამდე გამოყენებული ტექნიკური მოწყობილობების საიმედოობაზე, ექსპლოატაციასა და ცვეთაზე" [2]. ტრიბოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა ხახუნის ძალების რეგულირება, რომელიც უნდა იქნას მინიმალური (მაგალითად, მიმყოლ მექანიზმებში) ან მაქსიმალური (მაგალითად, ამძრავებში, სადაც დაუშვებელია ბუქსაობა).

პირველი, ვინც დაამუშავა ძირითადი მეცნიერული დებულებები ხახუნის შესახებ, იყო **ლეონარდო და გინჩი** (1452-1519). მის შემდეგ ფრანგმა სწავლულმა გიიმონ ამონტონმა (1663-1705) დიდალი ექსპერიმენტული მასალის საფუძველზე ჩამოაყალიბა ხახუნის ცნობილი თეორიები. **შარლ ოგიუსტენ კულონმა** (1736-1806) შეისწავლა სრიალის ხახუნი და ამონტონის კანონი მათემატიკურად აღწერა. კულონის გამოკვლევები ხახუნის დარგში ფუნდამენტური მნიშვნელობისაა. კვლევებში გათვალისწინებული იყო მასალის თვისებები, სრიალის სიჩქარე, საკონტაქტო ზედაპირის ფართობი და მისი დამუშავების ხარისხი, აგრეთვე მშრალი და სველი ხახუნი. **კულონმა** ასევე მისცა განმარტება **სტატიკურ** და **კინეტიკურ** ხახუნს. მე-18 საუკუნეში მექანიკოსმა **მ. პარენტმა** გამოაქვეყნა დახრილ სიბრტყეზე სრიალის ხახუნის კვლევის შედეგები, ხოლო მისმა თანამედროვემ მკვლევარ-მეცნიერმა **ბერანდ** ფორესტ დე ბელიდორმა (1698-1761)

პირველმა დაასკვნა, რომ მყარი ტანის რაგინდ დამუშავებული ზედაპირი, მაინც მქისეა (ხორკლიანია) და შედგება ნახევარსფერული პიკებისა და დრმულების სიმრავლისაგან.

შვეიცარიელმა მათემატიკოსმა **ლეონარდ ეილერმა** (1707-1783) მე-18 საუკუნის სამოციან წლებში ჩატარა ზუსტი ანალიზების სერია **ამონტონის, პარენტისა და ბელიდორის** შედეგების ახსნის მიზნით. მან მიიღო მათემათიკური გამოსახულება, მოქნილი ძაფის ამძრავ ბლოკზე (წევის) ხახუნის ძალის განსაზღვრისათვის. შემდგომში კვლევებით: **ხარდიმ** (1919წ.), ბირიმ, ფრანკ ფილიპ ბოუდენმა (1903-1968), ემილ იულიუს გუმბელმა (1891-1966წ.), ასევე თანამედროვე მეცნიერ - მკვლევარებმა: **ი.ჭ. კრაგელსკიმ, გრინვუდმა, ვილიამსონმა, ხანტმა, რაბინოვიჩმა, კურტელმა, ფრეიტაგომ** და სხვებმა დაადასტურეს ადრეული კლასიკური თეორიის ვარგისიანობა ხახუნის პროცესის ყველა მომენტის განხილვისთვის და დააზუსტეს მრავალი კონკრეტული დეტალი და შემთხვევა. მაგალითად, **ეილერის** კვლევები, თუ მივიღებთ, რომ მოქნილი ძაფის დრეკადი სრიალის სიჩქარე ამძრავი ბლოკის მიმართ მაქსიმალურია, სამართლიანია ყველა ჩვეულებრივი ტიპის ხახუნის ამძრავი მექანიზმისათვის, (ე.ი. სწრაფობის წერტილში საწევი ორგანოს დაჭიმულობა მაქსიმალურია, ხოლო საწევი ორგანოს ამძრავზე მოვლების გეომეტრიული კუთხე - **ა.გ** და დრეკადი სრიალის კუთხე - **ა.დ.ს.** დაახლოვებით ერთმანეთის ტოლია). თანამედროვე შეხედულებები ხახუნის ბუნებაზე დაიხვეწა და დაზუსტდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, რაშიც კვლევების მიმართულებებითა და მიღებული შედეგებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს **გრინვუდმა, ვილიამსონმა, ბოუდენმა, ტეიბორმა, კრაგელსკიმ, ჭიჭინაძემ** და სხვ.

ხახუნის ამძრავი მექანიზმების შექმნასა და სრულყოფას ორ ასეულ წელზე მეტი წნის ისტორია აქვს. თეორიული და ინჟინრული განვითარიშებითა და კონსტრუქციულ გადაწყვეტილებათა სისრულეში მოყვანით დაინტერესებული იყო მრავალი მკვლევარი, კონსტრუქტორი, გამომგონებელი, პრაქტიკოსი. ამ სფეროს ფუნდამენტურ მკვლევართა რიცხვს ეკუთვნიან: **ლ. ეილერი, მ. კრეტცი, მ. ურაზბაევი, გრაზგოფი, ნ. პეტროვი, ნ. შუკოვსკი, ო. კამმერი, ა.იბერი. მრავალი კვლევები აქვთ ჩატარებული: ა. სპივაკოვსკის, გ.სოლოდს, გ.ანდრეევს, ნ. ბილიჩენკოს, ვ. დიმიტრიევს, მ. კოტოვს, ბ. კუზნეცოვს, ნ. პოლიაკოვს, ლ. შახმეისტერს, ი.შტოკმანს და სხვ.**

ლენტური კონვეირების მუშაობის პრაქტიკული მაგალითები კი გვიჩვენებს, რომ ამძრავის წევის ფაქტორი (**ე.მ.ა.**) არასტაბილურია, რაც გამოწვეულია დროში საკონტაქტო ზედაპირებისათვის რეოლოგიური და სხვა მრავალი გაუთვალისწინებელი პირობის ცვლილებით. ეს მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კონვეიერის ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებზე. ამძრავთა მუშაობის სრულყოფისათვის წლების მანძილზე იხვეწოდა მისი პარამეტრების მასტაბილიზებელი კვანძები და იქმნებოდა ახალი ტიპის სპეციალური ამძრავებიც. მიუხედავად ჩატარებული დონისძიებებისა, მაღალი და სტაბილური ჩატიდების კოეფიციენტის (**უ.**) მიღება-შენარჩუნების საკითხი, განსაკუთრებით ატმოსფერული

პირობების ცვალებადობისას (როდესაც იცვლება ტემპერატურა და ამძრავის საკონტაქტო ზედაპირების ხახუნი მიმდინარეობს, მშრალი, ზღვრული, სეელი ხახუნისას, თიხისა და სხვა სამთო ქანების წყალსნარებით საკონტაქტო ზედაპირების დაჭუქებისას და ა.შ.) არ არის გადაწყვეტილი. ამიტომ, რეზერვები ამოუწურავია სტაბილური წევის ფაქტორის მიღებამდე, როგორც მე-20 საუკუნის ბოლო წლების შრომებიც გვიჩვენებს [87], მისი გადაწყვეტის გზები მრავალნაირია, რომელთაგან ერთ-ერთი პერსპექტიული მიმართულებაა ვაკუუმ-ამძრავების გამოყენება (**ხახუნი ვაკუუმში**). ამ ამძრავების კვლევებისას [22, 21, 60, 93], სხვა სპეციალური და ჩვეულებრივი ამძრავებისაგან განსხვავებით, მიღებულია წევის ძალებისა და წევითი ფაქტორის მიღებისა და მისი შენარჩუნების სრულიად დამაკმაყოფილებელი შედეგები. შედეგების სამართლიანობა დასტურდება ხახუნის კლასიკური თეორიითაც [82]. მაგალითად, ამძრავის საკონტაქტო ზედაპირების რგოლურ ჭვრიტეში ნებისმიერი სითხის (ზეთისაც კი) მოხვედრა [22, 60] იწვევს მშრალ ხახუნთან შედარებით წევის ძალების გაზრდას და, მაშასადმე, სხვა ამძრავებთან შედარებით ვაკუუმ-ამძრავით მომუშავე ლენტური კონვეიერის ეკონომიურობის გარანტია, გაცილებით მაღალია. ზემოთ მოყვანილი ფაქტების მიხედვით ვთვლით, რომ ლენტური კონვეიერების ერთ-ერთი პერსპექტიულია ვაკუუმური ამძრავი, რომლის მოქმედების პრინციპი შეიძლება საფუძვლად დავუდოთ, როგორც დოლური ტიპის, ასევე რგოლურად შეკრულ სათავის, კუდის და შუალედურ წრფივ საწევორგანოებიან ამძრავებს.

სამუშაოს მიზანია ვაკუუმ-ამძრავის რეციპიენტებისა და საკონტაქტო ზედაპირის ისეთი კონსტრუქციის შექმნა, რომელიც ლენტის ქვეშ, რგოლურ ჭვრიტეში მაქსიმალური და თანაბრად განაწილებული ვაკუუმის ფორმირებას და რეგულირებას უზრუნველყოფს. ეს სრულიად მისადებია სამთო საწარმოების რეალური (სეელი ხახუნის) პირობებისათვის.

კვლევის მეთოდიკა ეყრდნობა თეორიულ და ექსპერიმენტულ კვლევებს, მათემატიკურ მოდელირებას და მათ ამონასნს კომპიუტერული უზრუნველყოფით და მიღებული კვლევის შედეგების შემოწმებას ლაბორატორიულ სტენდზე ფიზიკური მოდელირებით.

მეცნიერული დებულებები:

ა) ავტონომიური ვაკუუმური მექანიზმების მოქმედების სისწრაფე განისაზღვრება საკონტაქტო ზედაპირის დგუშისეულ სივრცესთან შემაერთებელი ნახვრეტის გეომეტრიული და დროის ერთეულში მასში გადინებული სითხის პიდროდინამიკური პარამეტრებით;

ბ) ამძრავის საკონტაქტო ზედაპირზე მყისური, თანაბრად განაწილებული და აუცილებელი სიდიდის ვაკუუმის შექმნის პროცესი მნიშვნელოვნად მარტივდება და სრულყოფილი ხდება, რგოლურ ჭვრიტესა და დგუშისეულ სივრცეში წვეთოვანი სითხის იძულებითი შეყვანით და შემდგომში მისი უწყვეტ ნაკადად გაწოვით;

გ) ამძრავის მუშაობის უხელსაყრელესი რეჟიმები, რომლის დროსაც მნიშვნელოვნად იზრდება ამძრავის წევის ფაქტორი, არაწრფივ ფუნქციურ დამოკიდებულებაშია

მაკროელასტოპიდონამიკის მართვად პროცესებთან, რომლებიც მხედველობაში მიიღება ვაკუუმ-დოლისა და ლენტურ საკისარს შორის მსგავსებისა და განმასხვავებელი ნიშნების განხილვისას.

სამუშაოს პრაქტიკული დირექტულებაა თეორიული (კომპიუტერული) და ექსპერიმენტული გამოკვლევების საფუძველზე მიღებული შედეგების გამოყენების შესაძლებლობა, რთულ ჰიდროტექნიკურ პირობებში მომუშავე ლენტური კონვეიერების, ხახუნის ამძრავი მექანიზმების წევითი თვისებების ასამაღლებლად; ამძრავის საკონტაქტო ზედაპირზე (რგოლურ ჭვრიტეში) თანაბრად განაწილებული და საკმარისი ($0,95 \cdot 10^5$ კა) ვაკუუმის მიღების შემოთავაზებული მეთოდის (ხერხის) პრაქტიკული რეალიზაციის შესაძლებლობა, ლენტური კონვეიერის ვაკუუმ-ამძრავების (წევის ფაქტორის) მუშაობის ეფექტურობის ამაღლება. თავის მხრივ, სტაბილური და მაღალი წევის ფაქტორი ამცირებს მოთხოვნას მაღალი სიმტკიცის ლენტების საჭიროებაზე (განსაკუთრებით პორიზონტალური და მცირედ დახრილი დანადგარებისათვის). ამის შედეგად ქვეითდება დგარის ლითონ-ტევადობა, იზრდება დანადგარის სამსახურის ვადა და მატერიალური დანახარჯების მაქსიმალურად შემცირების საფუძველზე კიდევ უფრო ეფექტური ხდება ვაკუუმ ამძრავიანი ლენტური კონვეიერების მუშაობა.

მოპოვებული ლიტერატურული წყაროების მიხედვით დადგინდა, რომ საკონვეიერო ამძრავების კვლევებში ჩვენს მიერ პირველად იქნა განხილული დოლური ამძრავი, როგორც მძლავრი ლენტური საკისარი, ხოლო იტერაციის მეთოდებმა საშუალება მოგვცა, შეგვედგინა საკონტაქტო ზედაპირების ოპტიმალური პარამეტრების გაანგარიშების მეთოდიკა, რომელიც სრულიად მისაღებია ნებისმიერ სამთო-გეოლოგიურ პირობებში მომუშავე საკონვეიერო ვაკუუმ-ამძრავებისათვის.

ამძრავების გაანგარიშების შემოთავაზებული მეთოდიკა შეიძლება გამოყენებულ იქნეს არა მხოლოდ ვაკუუმ-ამძრავებში, არამედ რთულ ჰიდროტექნიკურ პირობებში მომუშავე ნებისმიერი ამძრავისთვისაც.

1. ხახუნის ამძრავების ტრიბოლოგიის ასპექტები

ლენტური კონვეირის მაღალი წევისფაქტორიანი ამძრავების შექმნა და პავშირებულია ერთმანეთის მიმართ მიმოძრავი ზედაპირების ურთიერთქმედების მეცნიერული და ტექნიკური საკითხების შესწავლასთან და ტრიბოლოგიის ძირითადი ამოცანაა, რომლის შესწავლაც მოითხოვს მრავალი დისციპლინის ღრმა ცოდნას. ფიზიკა, ქიმია, მათემატიკა, მექანიკა, თერმოდინამიკა, მასალათამცოდნეობა, რეოლოგია, შეზეთვა, დრეკადობა, ბლანტ-დრეკადობა, დრეკადპიდროდინამიკური შეზეთვა, თბოგადაცემა და ა.შ. – აი, არასრული ნუსხა იმ დარგებისა, რომელიც საჭიროა რთული და ურთიერთდამოკიდებული სფეროს მანქანათა საიმედოობისა და ურთიერთის მიმართ მიმოძრავი შემაღენების კვანძების (მაგ. ამძრავი დოლისა და საკონვეირო ლენტის საკონტაქტო ზედაპირების რგოლური ჭვრიტე; ვაკუუმ-მექანიზმის ცილინდრ-დგუშები; ლენტის საყრდენი მოწყობილობები და ა.შ.) ხარისხიანი დაპროექტებისა და გაანგარიშებისას. თანამედროვე პირობებში მანქანა-მექანიზმების მოძრავი ნაწილების ხახუნისა და ცვეთის რეგულირების საკითხებს ეთმობა გაზრდილი ყურადღება, რადგან ურთიერთის მიმართ მიმოძრავი წყვილის არარეგულირებადი ხახუნის ძალები იწვევს საკონტაქტო ზედაპირების ნააღრევ დაზიანებას და მათი აღდგენის სამუშაოებზე გაუმართლებლად დიდ ხარჯებს. წინამდებარე ნაშრომი (ლექციების კურსი) მნიშვნელოვან დამსარებას გაუწევს სპეციალისტებს ლენტური კონვეირების ამძრავებისა და მათი ურთიერთმიმართმოძრავი შერწყმული კვანძების ხახუნის ძალების რეგულირებისა და შესაბამისად მანქანა-მექანიზმების დეტალებისა და კვანძების ცვეთის შემცირებაში.

ვითვალისწინებო რა ვაკუუმში ხახუნის პროცესს, ვაკუუმური მექანიზმების დაპროექტებისას, კონვეირის ამძრავის ამუშავებისთანავე ვაზუსტებო ვაკუუმის წყაროს ძირითადი კვანძების (ჩვენს შემთხვევაში ცილინდრ-დგუშების მუშა მოცულობები, რგოლურ ჭვრიტესთან მათი შემაერთებელი რეციპიენტები – ნახვრეტები და დგუშების მაძრავი მოწყობილობები) მოძრაობის მიმართულებას და პარამეტრების სიდიდეთა ცვლილების დიაპაზონს. შესაბამისად ამძრავის რგოლურ ჭვრიტეში ზუსტდება ვაკუუმის ქვეზონების კუთხური სისშირე და მათში მოსალოდნელი ჩაჭიდების კოეფიციენტი, გაუხშოების მნიშვნელობისა და ხახუნის აუცილებელი სახეობის (მშრალი, ზღვრული ან სველი) შექმნის შესაძლებლობების დადგენა. აღნიშნულის გათვალისწინებით ოეორიული და ექსპერიმენტული კვლევებისას აღმოჩნდა, რომ საკონვეირო ლენტის არა აუცილებელი, მაგრამ მაქსიმალური და საკმარისი საწყისი დაჭიმულობა ვაკუუმ-დოლების შემთხვევისას განისაზღვრება გამოსახულებით $S_f = pRB \approx 2pRB$; ასეთი ამძრავი ხასიათდება საკუთარი წევის ფაქტორით, რომელიც იანგარიშება შემდეგნაირად:

ვაკუუმ-დოლის საკუთარი წევის ფაქტორი, როდესაც ვაკუუმი იქმნება – S_{bV} -დან S_{bV} -კენ

$$\frac{S_{bV}}{pRB} = \left(e^{\mu\alpha} - \frac{e^{\mu\alpha}}{e^{\mu\delta}} \right) \sum_{k=1}^{n_a} e^{-\mu(\beta+\delta)(k-1)}$$

როდესაც ვაკუუმი იქმნება S_{bV} -დან S_{bV} -კენ

$$\frac{F^l}{P^l} = \left(e^{\mu\alpha} - \frac{e^{\mu\alpha}}{e^{\mu\delta}} \right) \sum_{k=n}^1 e^{-\mu[\alpha_0 + (\beta + \delta)(k-1)]}$$

თითოეული პარამეტრის გაანგარიშების მეთოდიკა მოცემულია თემატიკის მიხედვით შესაბამის თავებში.

ცხრილი 1.1.

N ^o	μ	$\mu \cdot \alpha = 3,14$	$e^{\mu\alpha}$	N ^o	μ	$\mu \cdot \alpha = 3,14$	$e^{\mu\alpha}$
1	0,2	0,628	1,87	8	0,9	2,826	16,733
2	0,3	0,942	2,558	9	1,0	3,14	22,88
3	0,4	1,256	3,498	10	1,1	3,454	31,295
4	0,5	1,57	4,784	11	1,2	3,768	42,798
5	0,6	1,884	6,542	12	1,3	4,082	58,53
6	0,7	2,198	8,947	13	1,4	4,396	80,045
7	0,8	2,512	12.235	14	1,5	4,71	

1.1. ზოგადი მიმოხილვა

სამცნიერო-ტექნიკური პროგრესი არის მუდმივი გაუმჯობესებაში მყოფი მაღალმწარმოებლური ტექნოლოგიური პროცესისა და წარმოების იარაღების კომპლექსის გეგმიანი გამოყენება. მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლია სატრანსპორტო მანქანა, რომლის სრულყოფილ ტექნოლოგიურ ფუნქციებზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული საწარმოს ეკონომიკა.

მრეწველობისა და მეურნეობის განვითარებისა და მომსახურების სფეროს სრულყოფისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს არსებული სატრანსპორტო საშუალებების ოპტიმალურ და მიზანსწრაფულ გამოყენებას, რისთვისაც საჭიროა მათი რეკონსტრუქცია და სრულყოფა, ცხოვრებითა და კონკრეტული პირობებით წარმოქმნილი პრობლემების შესაბამისად.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც სამთამადნო, ასევე სხვა საწარმოების სატრანსპორტო მანქანების ოპტიმალურ და სრულყოფილ ექსპლუატაცია-მომსახურებას, რისთვისაც საჭიროა მათი პერსპექტიული სახეების, დანიშნულების, გაუმართაობის, მტკუნების მიზეზებისა და გაუმჯობესების მიმართულებათა დრმად შესწავლა-ანალიზი.

მრეწველობისა და მეურნეობის მრავალ დარგში დიდნაკადური ტვირთების გადაზიდვის ერთ-ერთი პერსპექტიული სატრანსპორტო დანადგარია ლენტური კონვეიერი. მათი დაპროექტების, სრულყოფისა და წარმოების (მშენებლობის) პრობლემებზე მუშაობს სხვადასხვა ქვეყნის მრავალი ფირმა და საწარმო [46, 34, 35, 36]. დაპროექტებისას დიდი უკრადღება უნდა მიექცეს კონვეიერის გამოყენების არეს (პირობებს) და გადასაზიდი ტვირთების ფიზიკურ-მექანიკურ თვისებებს. მათი გათვალისწინებით უნდა მოხდეს საკონვეიერო დანადგარის ოპტიმალური პარამეტრების დადგენა, სადაც გათვალისწინებული უნდა იქნეს ყველა ის ძირითადი მონაცემი, რომელიც საჭირო იქნება გაანგარიშებისა და მთლიანად პროექტის მკაფიოდ ჩამოყალიბებისათვის.

ლენტური კონვეიერის ამძრავის ძირითადი მაჩვენებელია მაღალი წევის ფაქტორი, საკონტაქტო ზედაპრების მაღალი საექსპლუატაციო პარამეტრები, სამსახურის ვადა და ა.შ.

ცნობილია, რომ ლენტური კონვეიერის მაქსიმალური სიგრძე დამოკიდებულია ამძრავის ტიპზე (წევის ფაქტორზე), ლენტის სიმტკიცეზე, მის საწყის დაჭიმულობაზე, ტვირთის სატრანსპორტო ტრასის პროფილსა და საჭირო სიმძლავრეზე. ამასთანავე მითითებულია [35, 36], რომ ყველაზე მტკიცე რეზინ-გარლიანი ლენტის სიმტკიცის ზღვარი, ჩვეულებრივ, $6000 \div 6300$ დკნ/სმ ფარგლებშია. მისი შემდგომი გაზრდა კი ეკონომიკური და ტექნიკური თვალსაზრისით მიზანშეუწონელია. უფრო მტკიცე ლენტების წარმოებისას იზრდება მისი მასა და ლირებულება, ლენტის შეპირაპირების სიგრძე, დოლის დიამეტრი, რედუქტორის მგრეხი მომენტი, დგარის გაბარიტული ზომები და ლითონტეგადობა და კონვეიერის სხვა მრავალი პარამეტრი [34].

ლენტური კონვეიერების მკვლევარები, ამ სიმტკიცის ლენტების ეფექტური (როდესაც e^{μ} შედარებით დიდია) რეალიზაციისათვის გვთავაზობენ მრავალდოლიან ამძრავებს შუალედურ და კუდის ამძრავებთან კომპლექსში. მათივე კვლევების შედეგის მიხედვით $Q=4000$ ტ/სთ მწარმოებლობის პორიზონტალური კონვეიერის მაქსიმალური სიგრძე ერთდოლიანი ამძრავების შემთხვევაში არ აღემატება 850 მ-ს, ორდოლიანისას კი 1300 მ-ს. თუმცა, ლიტერატურულ წყაროებში მითითებულია 3,5 კმ სიგრძის კონვეიერის პროექტირების შესაძლებლობა ორდოლიანი ამძრავით. ასევე მითითებულია [36] რომ 10 კმ სიგრძის ერთდგარიანი კონვეიერის დაპროექტება შეუძლებელია დოლური ტიპის ამძრავებით, ვინაიდან პრობლემის გადაწყვეტისათვის საჭიროა 10000 დკნ/სმ და უფრო მეტი სიმტკიცის ლენტი [34]. თანამედროვე ლიტერატურულ წყაროებში კონვეიერმშენებობის მიღწევები ასეთია: გერმანიის კარიერებზე – “ფორტუნა” და “სამბასი” – ექსპლუატაციაში იყო 5 კმ სიგრძის ერთდგარიანი ლენტური კონვეიერი, მწარმოებლობა $Q=40000$ ტ/სთ, ლენტის სიგანე $B=2,8$ მ და სიჩქარე $v=7,5$ მ/წმ, ამძრავების საერთო სიმძლავრე $N_d=6 \times 2000=12000$ კვტ [35] იყო.

ლაიპციგის გამოფენა-ბაზრობაზე 1977წ წარმოდგენილი იყო გერმანული ფირმა “ტაკრაფ”-ის დამზადებული ამძრავი მექანიზმი ძრავის სიმძლავრით 1500 კვტ. ასეთი სამძლოკიანი მექანიზმით აკრეფილი ორდოლიანი ამძრავის ბაზაზე მიღებული კონვეიერის

მწარმოებლობა $Q=15400 \text{ მ}^3/\text{სთ-ია}$, ლენტის სიგანე $B=2,5 \text{ მ}$, სიჩქარე $v=6,0 \text{ მ/წმ}$, ამძრავების საერთო სიმძლავრე $N_{\text{დ}}=3 \times 1500=4500 \text{ კვტ}$ [34].

მსოფლიოში ყველაზე დიდი საკონვეიერო სისტემა დაპროექტა და დამონტაჟა გერმანულმა ფირმა “კრუპ”-მა. მისი საერთო სიგრძე შეადგენდა 100 კმ-ს, განლაგებული იყო ესპანეთის საჰარაში (აფრიკა) მაღარო “ბუ-კარაა”-დან საზღვაო პორტამდე და ემსახურებოდა ფოსფატის ნედლეულის ტრანსპორტირებას. საკონვეიერო ტრასა შედგებოდა 6,8-დან 11,7 კმ-მდე სიგრძის თერთმეტი კონვეიერისაგან 10 მლნ ტ/წ მწარმოებლობით. პორტში კონვეიერის განტვირთის პუნქტი, საკონვეიერო სისტემის დატვირთვის პუნქტთან შედარებით, 213 მ-ით დაბლა მდებარეობდა. მთელ ტრასას ემსახურებოდა 51 ბაზისური ამძრავი მექანიზმი, თითოეული სიმძლავრით 378 კვტ. ჯამური სიმძლავრე შეადგენდა 19278 კვტ-ს, ენერგიის ხარჯვის კოეფიციენტი - 0,0001 კვტ.სთ/ტმ; სათავისა და კუდის ამძრავები აღჭურვილი იყო (საკუთარი) დამოუკიდებელი დამჭირი მოწყობილობებით. ლენტის სიჩქარე იყო 4,5 მ/წმ და საბადოდან პორტამდე ტვირთი ჩადიოდა 6,18 სთ-ში [34].

საკონვეიერო ტრანსპორტის განვითარებაში შნიშვნელოვანი ნაბიჯია დიდი ბრიტანეთის შახტა „სელბი“-ს დახრილ ჭაურში 1984-85წწ. ერთდგარიანი 14930 მ სიგრძისა და $D=2,674 \text{ მ}$ დიამეტრის ერთამძრავდოლიანი ნახშირმზიდი კონვეიერი “სტარატკლაიდის” (დიდი ბრიტანეთი) და „რეალიზაციონ დე ექვიფმენტს ინდუსტრიის“ ექსპლუატაციაში შევანა (პროექტი დაამუშავა ფირმა „ანდერსონმა“ საფრანგეთი). ამძრავი განლაგებულია შახტის ზედაპირზე და მოძრაობაში მოდის $2 \times 5050 \text{ კვტ}$ სიმძლავრის მუდმივი დენის ძრავით. ბრუნვის სიხშირე, პროგრამული ტექნიკის საშუალებით, 0-დან 60 წთ⁻¹-მდე ნარნარი რეგულირებით იცვლება კონვეიერის დატვირთვის რეჟიმის მიხედვით. ამუშავების მომენტი, რომელიც 4-5 წთ მიმდინარეობს, დამყარებულ რეჟიმში მუშაობის მომენტის 106 % არ აღემეტება. ტვირთიანი დამჭირი მოწყობილობა განლაგებულია უშუალოდ ამძრავთან. აწევის ვერტიკალური სიმაღლეა 1000 მ, მწარმოებლურობა 3200 ტ/სთ. გამოყენებულია ლენტი ST-7100, რომლის მუშაუნარიანობა გათვლილია 15 წელზე, ხოლო მთლიანად კონვეირისა – 30 წელზე. ლენტის სიგანეა 1,3 მ; მაქსიმალური სიჩქარე – 8,4 მ/წმ, აწევის ენერგიის ხარჯვის კოეფიციენტი – 0,00021 კვტ.სთ/ტ.მ [34, 79].

თანამედროვე კონვეიერების დამჭირი მოწყობილობა ლენტის საწყისი დაჭიმულობის ავტომატური რეგულირების მიზნით აღჭურვება გადამწოდებით. ისევ კვლევის სტადიაშია დამჭირი მოწყობილობის მუშაობის ავტომატური რეგულირების სისტემა, რომელიც პროგრამული ტექნიკის საშუალებით უზრუნველყოფს ლენტის საწყის დაჭიმულობას გარემო პირობების, ამძრავის საკონტრაქტო ზედაპირების მდგომარეობისა და კონვეიერზე ტვირთნაკადის სიდიდის მიხედვით [34].

მოყვანილი ტექნიკური მაჩვენებლები სახასიათოა და მინიმალურად ასახავს დანარჩენი გრძელდგარიანი ლენტური კონვეიერების მრავალსახა პარამეტრებს, რომელთაგან ბევრი ამჟამად მოქმედებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

განხილული მაგალითები და სხვა არსებული დანადგარებიც იმის უტყუარი საბუთია, რომ წევის ძალების რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ლენტის საწყისი დაჭიმულობის (S_b) გაზრდით ან ამძრავზე მოქნილი საწევი ორგანოს შემოხვევის გუთხის (a_b) მატების ხარჯზე მისი წევის ფაქტორის (e^{μαბ}) გაზრდით. უნდა აღინიშნოს, რომ პირველი ფაქტორი ზრდის დანადგარის ლითონტევადობას, ხოლო მეორე იწვევს მოქნილი საწევი ორგანოს (ლენტის) დაღლილობით ცვეთას – გაშრევებას ან გვარლის მავთულების დაზიანებასა და სიმტკიცის შესუსტებას. არსებობს სხვა პრობლემებიც, რომლებიც სრულადაა წარმოდგენილი შრომებში [72, 73].

ამძრავის წევის ფაქტორის (e^{μაბ}) გაზრდის ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა საკონტაქტო ზედაპირების ჩაჭიდვების (ხახუნის) სტაბილური კოეფიციენტის მიღება-შენარჩუნება. ამ მიმართულებით შესრულებული კვლევითი სამუშაოები ითვალისწინებს: ამძრავი დოლის საკონტაქტო ზედაპირების, ან მისი ამონაგის (მაღალფრიქციული მასალით ფუტირების) სხვადსხვა კონფიგურაციის (მართვულთა, შევრონული და ა.შ.) ნაჭდევებს ან სპეციალური ამძრავების გამოყენებას (ელექტრომაგნიტური, მაგნიტოელექტრული, მექანიკურ-მიმჭერ მოწყობილობიანი, პნევმოკამერით, ვაკუუმური და ა.შ.) [41, 51, 22, 60, 93, 50, 70, 81 და სხვა].

ხახუნის მეცნიერული საფუძვლების ფუძემდებლებად და ადრეული თეორიის შემქმნელად ითვლებიან: ლეონარდო და ვინჩი, ამონტონი, კულონი, დე ლია გირი, ტომლინსონი, ჰარენტი, ბელიდორი და ლეონარდ ეილერი. ამ უკანასკნელმა წინამორბედთა კვლევის შედეგების ახსნისათვის შეასრულა ზუსტი ანალიზის სერია, რითაც მიიღო ამძრავი მექანიზმებით (დოლით, ბორბლით) მწევ ორგანოზე (ბაგირზე, ლენტზე) ხახუნის ძალის მათემატიკური გამოსახულება. ამ მკვლევარების შემდეგ დიდი ხნის მანძილზე ხახუნის თეორიაში მნიშვნელოვანი სამუშაოები არ შექმნილა. ამ პერიოდის მეცნიერები ხახუნის კოეფიციენტის ანგარიშისას არ განიხილავდნენ არანაირი პირობების გავლენას და თვლიდნენ, რომ $f=\text{const}=0,25\div 0,3$. [43].

ხახუნის თეორიის მოგვიანებითი მკვლევარები: ხარდი, ბირი, გუმბელი, ერნსტი, მერჩენტი და ბლოკი საკითხის შესწავლისას ითვალისწინებდნენ სტატიკურ და კინეტიკურ პირობებს, საკონტაქტო ზედაპირების მდგომარეობას (ტენიანობა, სიმქისე, ტემპერატურა), სრიალის სიჩქარესა და გუთო წნევას, რაც სრულფასოვნადაა წარმოდგენილია შრომებში [54, 55, 43, 76, 82, 83, 84].

ლითონის, ელასტომერებისა და სხვა საკომპოზიციო მასალების ხახუნის ბუნების თანამედროვე შეხედულებები ჩამოყალიბდა მთელი რიგი (მრავალი) დეტალური კვლევის საფუძველზე, რომელთა ავტორებიც არიან: კრაგელსკი, ჭიჭინაძე, გრინგუდი, ვილიამსონი, ხანტი, ბოუდენი, ტეიბორი, რაბინოვიჩი, კურტელი, ფრეიტაგო, არიანო, დერე, როტი, ტირიონი, შალამახი, ბარტენევი, რატნერი, გროში, დერიაგინი და სხვ. მათ კვლევებში ყურადღება გამახვილებულია ფაქტობრივი საკონტაქტო ფართობისა და შემზეთი ადსორბირებული შრის სისქის განსაზღვრაზე. ამჟამად ცნობილია რამდენიმე

თვალსაზრისი გარეგანი ხახუნის ბუნებაზე და მისი განმარტებისათვის შემოტანილია ცნებები: მოხახუნე ზედაპირების ურთიერთგადაფარვის კოეფიციენტი [43] (ა. ჭიჭინაძის მიერ), ხახუნის ორმაგი ბუნება (მოლეკულურ-მექანიკური), საკონტაქტო ზედაპირებს შორის მესამე – ხახუნის შრე; პლასტიკური, დრეკადი და დრეკად-პლასტიკური დეფორმაცია; ადგეზიური, კოგეზიური, სიმშვიდის, სრიალისა და გორვის, სველი, ზღვრული და მშრალი ხახუნის, ჰისტერეზისის, მოლეკულური (შედუდების) ბოგირაკების, მყარი ფაზის წაკვეთის, ზედაპირზე კავშირების მიმართული რეკომბინაციისა [44] და სხვ. შესახებ. ამგვარად, ხახუნი დისიპაციური პროცესია, რომელიც შესაბამისად აისახება წინადობების გადალახვასა და საკონტაქტო ზედაპირების ფორმის ცვლილებებში და დამოკიდებულია მრავალ რეოლოგოურ ფაქტორზე, ამიტომ ხშირად ავტორთა კვლევის შედეგები ერთმანეთს სრულად არ ემთხვევა და იწვევს პოლემიკას. მაგალითად, [82] კვლევების მიხედვით, ხახუნის კიეფიციენტი უმნიშვნელოდ იცვლება და ნორმალური ძალის 16-ჯერადი გაზრდა ხახუნის კიეფიციენტს ზრდის მხოლოდ ორჯერ. გერმანიასა და ჩეხოსლოვაკიაში შესრულებული კვლევითი სამუშაოების მიხედვით კი დოლისა და ლენტის საკონტაქტო ზედაპირებზე კუთრი წნევის 10^5 -დან – 7×10^5 პა-მდე გაზრდით (დოლის საკონტაქტო ზედაპირის მაღალფრიქციული სწორკუთხა ნაჭდევებიანი რეზინით ამოგების მიუხედავად) ხახუნის კოეფიციენტი მცირდება 0,7-დან 0,46-მდე, ხოლო თუ საკონტაქტო ზედაპირები ამავდროულად სველდება და კალიუმის მარილების ან თიხის შემცველი ხსნარით ჭუჭყიანდება, მაშინ ხახუნის კოეფიციენტი 0,7-დან 0,11-მდე და უფრო მეტადაც [35]. ხახუნის კოეფიციენტის ფუნდამენტურ კვლევებში [43] აღნიშნულია, რომ დაშვებები ლაბორატორიული ექსპერიმენტების დროს, რომელიც ითვალისწინებს მხოლოდ მოხახუნე სხეულების ბუნების გავლენას ხახუნის კოეფიციენტის სიდიდეზე, არასაკმარისია და უფრო მეტად დამოკიდებულია მოგვიანებით და თანამედროვე კვლევებში მოყვანილ ცნებებსა და პირობებზე, რომელსაც, როგორც აღვნიშნეთ, ზოგადად რეოლოგიური ეწოდება.

უკრადსაღებია ერთი შენიშვნა [43]: თუ მყარი ტანის ზედაპირი გათავისუფლებულია აფსკისაგან (რაც შეიძლება განხორციელდეს ვაკუუმში ან მკაცრ-განსაკუთრებულ რეჟიმში ხახუნისას), მაშინ გარეგანი ხახუნი გადადის შინაგანში, ზედაპირები ეჭიდება-დუღდება და ერთიმეორის მიმართ გადაადგილებისას მნიშვნელოვნად ზიანდება. ზოგჯერ ამ მოვლენას „სუფთა ხახუნს“ უწოდებენ თუმცა, მისი გარეგან ხახუნად განხილვა არსებითად არ შეიძლება. პარადოქსულია შარლოტა იაკობის 1912 წელს შესრულებული პირველი სამუშაოს შედეგები. ვაკუუმში ხახუნის კოეფიციენტის მნიშვნელობა აღმოჩნდა ბევრად დაბალი, ვიდრე პაერზე [82]. შემდგომში მისი ცდის მეთოდიკის არასრულფასოვნება დადასტურდა. უახლესმა კვლევებმა აჩვენა, რომ ვაკუუმში ხახუნი არ არის პრინციპულად ახალი პროცესი. ის ემორჩილება იმავე ზოგად კანონზომიერებებს, რასაც ატმოსფერულ პირობებში. კერძოდ, ვაკუუმში ხახუნისათვის სრულიად მიზანშეწონილია ხახუნის მოლეკულურ-მექანიკური თეორია. ასევე მითოუბულია, რომ ვაკუუმში ხახუნის ადგეზიური

მდგრენელი გაცილებით მაღალია, ვიდრე პაერის გარემოში, შესაბამისად, დიდი უნდა იყოს ხახუნის კოეფიციენტიც [82].

ეს ნაშრომი წარმოადგენს ლენტური კონვეიერების ვაკუუმური ამძრავების საკონტაქტო ზედაპირების ოპტიმალური პარამეტრების კვლევის მიზნით ჩატარებულ სამუშაოს, რომელიც ძირითადად ემყარება (სველი ხახუნის პირობებში) ამძრავის მოხახუნე ზედაპირების (ვაკუუმ-დოლი, საკონვეიერო ლენტი) სტანდარტულ პარამეტრებს (B, D, v, μ, α) და ითვალისწინებს მთელ საკონტაქტო ზედაპირზე ვაკუუმის (p) თანაბრად განაწილების უზრუნველყოფას, საკონვეიერო ლენტის პარამეტრების გათვალისწინებით (სიმქისე, სიხისტე, კონსტრუქცია, კუთრი დაწევა (P), გაგლეჯის ზღვარი (S_d) და ა.შ.).

სპეციალური ლიტერატურის მიხედვით [34, 35] სამთამადნო საწარმოებში თანამედროვე მაგისტრალური საკონვეიერო ტრანსპორტის ლენტის მოძრაობის სიჩქარე იცვლება $v=5 \div 8,4$ მ/წმ; ლენტის სიმტკიცის მარაგი (m) დინამიკური (სტატიკური) – რეზინქსოვილიანისათვის $m=6,0$ (9,5), ხოლო რეზინგვარლიანისათვის $m=6,3$ (10); ამძრავი დოლის მაქსიმალური დიამეტრი $D=2,45 \div 2,674$ მ; გამოყენებული მაქსიმალურად მტკიცე ლენტის ტიპი (2РТЛ-6000, ST-6000, ან ST-7100), გაგლეჯის ზღვარი $S_d=6000$ ან 7100 დკნ/სმ, სიგანე $B=2,438$ მ (ლენტის მაქსიმალური სიგანე DIN-22102 გერმანული სტანდარტის მიხედვით $B=3,2$ მ).

გემრანიაში ჩატარებულმა თეორიულმა კვლევებმა, რეზინგვარლიანი ლენტების სიმტკიცის თეორიულ ზღვრად ჩათვალა 10 000 და 20 000 დკნ/სმ, შესაბამისი საორიენტაციო მასით 84 და 152,5 დკნ/მ² [34], ხოლო $v=5,2$ მ/წმ სიჩქარისა და $B=2,2$ მ ლენტის სიგანისას ამძრავის მოთხოვნილი (საჭირო) სიმძლავრე შესაბამისად 10 700 და 23 500 კვტ-ის ტოლად. ლენტის სიმტკიცის ეს თეორიული შესაძლებლობები გვაფიქრებინებს, რომ ამძრავის წვერის ფაქტორის გაზრდის შესაძლებლობა ჯერ კიდევ არ ამოწურულა, მით უმეტეს, რომ ვაკუუმში ხახუნის კოეფიციენტი მაღალია და ამასთან სტაბილური [82];

ზემოთქმულის მიხედვით ვადგენთ ამძრავის ბაზისურ მოდელს შემდეგი პარამეტრებით: ST ტიპის ლენტის სიგანე $B=3,2$ მ, დოლის დიამეტრი $D=2,674$ მ; ლენტის მაქსიმალური სიჩქარე $v_{აქ} = 8,4$ მ/წმ, სიმტკიცის ზღვარი გაგლეჯაზე $S_d = 7100$ დკნ/სმ (თეორიული $10 000 \div 20 000$ დკნ/სმ), სიმტკიცის მარაგის დინამიკური (სტატიკური) კოეფიციენტი $m=6,3$ (10), მწარმოებლობა $Q=40 000$ ტ/სთ ($q=1323$ დკნ/მ), ამძრავის სიმძლავრე $N_d = 12 000 \div 15 150$ კვტ.

ლენტის სიმტკიცის მარაგის დინამიკური კოეფიციენტის ($m_{ლ} = 6,3$) მიხედვით დოლზე ლენტის სწრაფობის წერტილში შესაძლო მაქსიმალური მყისეური დაჭიმულობა $S_{ლ.დ} = S_{გამ} / m_{ლ} = 7100 \times 320 / 6,3 = 360 635$ დკნ.

ლენტის სიმტკიცის მარაგის სტატიკური კოეფიციენტის ($m_{სტ} = 10$) მიხედვით $S_{სტ.სტ} = S_{გამ} / m_{სტ} = 7100 \times 320 / 10 = 227 200$ დკნ.

შემდეგ ამძრავის შერჩევა ხდება ცნობილი წესის მიხედვით [94].

1.1.1. უწყვეტი რეჟიმის ტრანსპორტის გამოყენების არეალი

XIX საუკუნის 90-იან წლებში შემუშავებული იყო სამრეწველო ტრანსპორტის განვითარების გენერალური მიმართულებები [1], რომელებიც დღესაც აქტუალურია. მასში გათვალისწინებული იყო სამთო საწარმოებისათვის უწყვეტი, ციკლური, ციკლურნაკადური მოქმედების ტრანსპორტისა და გარდამავალი სტრუქტურული რგოლების განვითარების კონცეფცია, სადაც ურადდება ძირითადად გამახვილებული იყო დამუშავების ტექნოლოგიებში ფხვიერ-ნატეხოვანი ტვირთების იმ კონდიციამდე დაყვანაზე, რომელიც ფართო გზას მისცემდა პიდრავლიკური, საკონვეირო, საბაგირო, ახალ სკეციალიზებულ (მაგალითად, პნევმოკონტრინერული [2]) და სხვა, მათ შორის ციკლური მოქმედების ტრანსპორტის მიზნობრივ გამოყენებას. ეს ნიშნავს, რომ ნებისმიერი (საბადოთა შახტური, დია წესით დამუშავებისა და სხვა მრავალი კონკრეტული შემთხვევებისათვის) ტექნოლოგიური პროცესის შემადგენელი ოპერაციების დალაგება აუცილებლად უნდა მოხდეს იმ რიგით, რომ რაციონალური სატრანსპორტო ტექნიკის გამოყენება დადებითად აისახოს ტვირთის ტრანსპორტირებისა (ტონა კმ-ის ღირებულებასა) და პროდუქციის საბოლოო თვითღირებულებაზე. მაგალითად, თუ ტვირთების მოპოვებისას მიიღება არაგაბარიტული ტვირთები, რომლებიც აუცილებლად უნდა დაქუცმაცდეს, მაშინ ეს ოპერაცია უნდა შესრულდეს ტრანსპორტირებამდე, რაც განსაზღვრავს ოპტიმალური (მიზნობრივად გამართლებული) სატრანსპორტო საშუალებების შერჩევა-გამოყენების საკითხს. კონცეფციის პროექტში პირდაპირაა მითითებული, რომ საკონვეირო ტრანსპორტის გამოყენებისას გაზრდილია მოთხოვნა ისეთ ნომენკლატურულ მოწყობილობებზე, როგორებიცაა სამსხვრევ-სახარისხებელი, მკვებავი და ა.შ. აგრეგატები, რომელთა სქემაში ჩართვა, მიუხედავად დამატებით ფინანსური ხარჯებისა, გამართლებულია, ვინაიდან ზრდის დანადგარების მუშაობის საიმედოობას, ხანგამძლეობას და იძლევა მნიშვნელოვან მოგებას (ეკონომიკურ ეფექტს).

მსჯელობის მიზანია, ციკლურთან შედარებით, უწყვეტი მოქმედების ტრანსპორტის გამოყენებით ტვირთბრუნვაში მიღებული დადებითი შედეგების ასახვა და დასაბუთება, რომლის შემდგომი გამოყენება საშუალებას იძლევა, საწარმოები აღიჭურვოს პერსპექტიული სატრანსპორტო სისტემებით. აღსანიშნავია ისიც, რომ ასეთი სატრანსპორტო სისტემების ავტომატიზაციის ხარისხი მაღალია, ხოლო მუშაობა – საიმედო.

საყოველთაოდ ცნობილია პირდაპირპროპორციული ფუნქციური დამოკიდებულება უწყვეტ რეჟიმზე მომუშავე სატრანსპორტო საშუალებათა ქვემოთ წარმოდგენილ პარამეტრებს შორის ასეთია

$$Q = f(q, v), \quad (1.1)$$

სადაც: **Q** არის უწყვეტი რეჟიმის სატრანსპორტო მანქანის მწარმოებლურობა, ტ/სთ;

q – უწყვეტი რეჟიმის სატრანსპორტო მანქანის გრძივი დატვირთვა, დკნ/მ;

v – ტვირთნაკადის ანუ ტვირთმზიდი ორგანოს სიჩქარე, მ/წმ.

შესაბამისად, უწყვეტი რეჟიმის სატრანსპორტო დანადგარის მწარმოებლურობა (ტ/სთ) ტოლი იქნება

$$Q = 3,6 qv, \quad (1.2)$$

ციკლურ რეჟიმზე მომუშავე სატრანსპორტო საშუალებათა წარმოდგენილ პარამეტრებსა და მწარმოებლურობას შორის ფუნქციურ დამოკიდებულებას ექნება შემდეგი სახე:

$$Q = f\left(\frac{G}{L}, v\right)$$

მწარმოებლურობასთან პირდაპირპორციულ ფუნქციურ დამოკიდებულებაშია ციკლურ რეჟიმზე მომუშავე სატრანსპორტო საშუალებათა პარამეტრები: ტვირთმზიდი ჭურჭლის ტვირთმზეობა, (G , დკნ) და ჭურჭლის მოძრაობის სიჩქარე, (v , მ/წმ), ხოლო უკუპროპორციულ დამოკიდებულებაშია სატრანსპორტო გზის სიგრძე (L , მ) ანუ ზიდვის მანძილი.

ციკლურ რეჟიმზე მომუშავე სატრანსპორტო საშუალებების ერთი სრული ციკლის ხანგრძლივობა ($T = \frac{2L}{v_{საშ}} + \vartheta$) შედგება მისი დატვირთული (G , დკნ. - სასარგებლო) და ცარიელი (G_0 , დკნ. - უსარგებლო - მკვდარი წონის) სვლისაგან, ი-რაოდენობის ჭურჭლების დატვირთვისა, გაცლისა და სამანევრო ოპერაციებისათვის საჭირო დროისაგან ($\vartheta, \text{წმ}$); ამიტომ მიზანშეწონილია, სასარგებლო ტვირთბრუნვის დაზუსტების მიზნით ციკლური რეჟიმის ტრანსპორტის მწარმოებლურობა განვსაზღვროთ როგორც სასარგებლო ტვირთისა და მკვდარი წონის მოძრაობის ცალ-ცალკე გამოთვლილ სიდიდეთა ჯამი.

ამგვარად, მკვდარი წონის ტვირთის მოძრაობის მიხედვით $Q_0 = nG_0$, ხოლო სასარგებლო ტვირთის წონის მიხედვით $Q_{\varphi} = n(G + G_0)$. თუ ციკლების რაოდენობა საათში იქნება $n_0 = 3600v_{საშ} / (2L + \vartheta v_{საშ})$, მაშინ ციკლური რეჟიმის ტრანსპორტის საათობრივი მწარმოებლურობა განისაზღვრება დამოკიდებულებით:

$$Q_{სთ} = (Q_0 + Q_{\varphi})n_0 = [n_0 G_0 + n(G + G_0)] n_0 \quad (1.3)$$

მასში ზემოთ მოცემული მნიშვნელობების ჩასმით, მივიღებთ:

$$Q_{სთ} = \frac{3,6v_{საშ}nG}{2L + \vartheta v_{საშ}} + \frac{2 \times 3,6v_{საშ}nG_0}{2L + \vartheta v_{საშ}}. \quad (1.4)$$

(1.4) გამოსახულების პირველი შესაკრები ციკლური რეჟიმის ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის სასარგებლო ტვირთის წონაა, ხოლო მეორე შესაკრები – მოძრავი შემადგენლობის (უსარგებლო ანუ მკვდარ წონა), რომელიც მაძრავი მექანიზმისა და ტვირთმზიდი ჭურჭლის ჯამური წონაა) ტარის წონა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ტარის წონითი კოეფიციენტი (K_0)

$$K_{\delta} = \frac{G_0}{G} \quad \text{ანუ} \quad G_0 = K_{\delta} G, \quad (1.5)$$

გამოსახულება შეიძლება წარმოვადგინოთ (1.6) განტოლების სახით, სადაც უსარგებლო ანუ მკვდარი G_0 წონაც გამოსახული იქნება სასარგებლო ტვირთის G წონისა და ტარის წონითი K_{δ} კოეფიციენტის საშუალებით:

$$Q_{bw} = \frac{3,6v_{bw}nG}{2L + \vartheta v_{bw}} + \frac{2 \times 3,6v_{bw}nGK_{\delta}}{2L + \vartheta v_{bw}}, \quad (1.6)$$

საიდანაც შეიძლება სასარგებლო ტვირთის წონასთან ჯერადული შეფარდებით (1.7) გამოსახულებით განისაზღვროს უსარგებლო, ანუ მკვდარი ტვირთის წონაც:

$$Q_{bw} = \frac{3,6v_{bw}nG}{2L + \vartheta v_{bw}} (1 + 2K_{\delta}). \quad (1.7)$$

ციკლური რეჟიმის სატრანსპორტო საშუალების სახეობისა და ტარის წონითი კოეფიციენტის ცვლებადობის შესაბამისად მერყეობს მკვდარი ტვირთის წონაც, რომლის განსაზღვრა ასევე ძალიან მარტივია, ჩვენ მიერ შემოთავაზებული მეთოდით, მოცემული კონკრეტული ტარის წონითი კოეფიციენტისათვის (1.7) გამოსახულებისა და საჭარმოს მწარმებლურობის საშუალებით.

ხსენებული კონცეფციის პროექტისა და განხილული მასალის მიხედვით შეგვებადეთ რეალური სურათი შეგვექმნა ტყიბულის შახტისათვის. შპს “საქნახშირის” (ჯი-აი-ჯი ჯგუფის) წევრებთან ერთად შევისწავლეთ შახტის ძირითადი (სასარგებლო) ტვირთბრუნვის სრული კონვეირიზაციის საკითხი, რომელიც შპს “საქნახშირის” ადმინისტრაციის მიერ დიდი ხნის წინათაა დაგეგმილი, მაგრამ დღესაც გადაუჭრელი პრობლემაა.

ტვირთგამტარი გვირაბების ნახაზების წინასწარი განხილვისა და პრობლემური უბნების ჩამონათვალის შედგენის შემდეგ შახტის ხელმძღვანელებთან ერთად ადგილზე შევისწავლეთ საკითხის ყველა წვრილმანი, რომელიც შემდეგ განხილულ იქნა შპს “საქნახშირის” (ჯი-აი-ჯი ჯგუფის) პერსპექტიული განვითარების საბჭოს სხდომაზე.

ჩვენი აზრით, გვირაბების მინიმალური გაწმენდითი და მცირე სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესრულების შემდეგ, +582 პორიზონტის ტვირთგამტარი შტოლნისა და +275 პორიზონტის აღმოსავლეთის საველე შტრეკის სრული კონვეირიზაცია შესაძლებელი იქნება: ა) შტოლნაში ერთი საკონვეირო დგარით (დგარის სიგრძით $\approx 3,000$ მ) ძირითადი ტვირთების ზიდვა ბრმა ჭაურის მიმღები ბუნკერიდან ზედაპირამდე (საკონვეირო ამძრავი განთავსდება დღისეულ (ნულოვან დონეზე) ზედაპირზე წიაღისეულის მიმღები ბუნკერის მახლობლად); ბ) +275 პორიზონტის აღმოსავლეთის საველე შტრეკში №9 შუროდან ცენტრალურ კვერშლაგამდე და შემდგომში სკიპის სატვირთავ მიმღებ ბუნკერამდე სპეციალური პროექტის შედგენის შემდეგ, ასევე ერთდგარიანი კონვეირის საშუალებით. ყოველივე ამის მიღწევა შესაძლებელია მაღალი საკუთარი წევისფაქტორიანი საკონვეირო ვაკუუმური ამძრავით ლენტის საწყისი დაჭიმულობის შემცირების ხარჯზე და ტყიბულის

შახტის საზიდ გვირაბებში შესაბამისი ერთდგარიანი ლენტური კონვეიერების განთავსებით. მაღალი და საკუთარი წევისფაქტორიანი საკონვეიერო ამძრავით [3] ლენტის საწყისი დაჭიმულობის შემცირების ხარჯზე, ვიყენებთ რა ნაკლებად დირებულ ლენტებს, მიახლოებით შეიძლება ითქვას, რომ დანადგარის კაპიტალიზებულება და საექსპლუატაციო მომსახურების ხარჯები თითქმის ნახევრდება.

საცნობარო ლიტერატურის [4] მონაცემების მიხედვით, ტარის წონითი კოეფიციენტი K_0 იცვლება: ა) ქვანახშირის მცირე და დიდტვირთულობის ჭურჭლისათვის (ვაგონებისათვის) შესაბამისად 0,85-დან - 0,47-მდე; ბ) მაღნებში მომუშავე ჭურჭლებისათვის შესაბამისად 0,75-დან - 0,24-მდე; ავტოტრანსპორტისათვის 1,22-დან - 0,364-მდე.

რაც შეეხება შპს “საქნახშირის” ტვირთგამტარ გვირაბებში, საკონვეიერო ტრანსპორტის დანერგვით მიღებულ ეფექტს ის: შახტის წლიური მწარმოებლურობისა, (1.7) გამოსახულებისა და ტარის წონითი კოეფიციენტის მიხედვით, საორიენტაციოდ მინიმუმ შეიძლება ასე შეფასდეს:

$$1) Q_{\text{წლ}} = 300 \ 000 \ \text{ტ/წ}; \quad 2) \text{შახტის } Q_{\text{წლ}} = 1 \ 000 \ 000 \ \text{ტ/წ};$$

მკვდარი ტვირთი შეადგენს:

$$1) 300 \ 000 \times 0,94 = 282 \ 000 \ \text{ტ/წ}; \quad 2) 1 \ 000 \ 000 \times 0,94 = 940 \ 000 \ \text{ტ/წ}$$

$$300 \ 000 \times 1,7 = 510 \ 000 \ \text{ტ/წ}; \quad 1 \ 000 \ 000 \times 1,7 = 1 \ 700 \ 000 \ \text{ტ/წ};$$

დია წესით მოპოვებისას და ავტოტრანსპორტით ზიდვის შემთხვევაში, ანალოგიური მეთოდით შეიძლება მკვდარი ტვირთის წლიური რაოდენობისა და მისი გადაადგილებით გამოწვეული შესაბამისი ზედმეტი წლიური კაპიტალდანახარჯების განსაზღვრა.

$$1) \text{კარიერის } Q_{\text{წლ}} = 300 \ 000 \ \text{ტ/წ}; \quad 2) \text{კარიერის } Q_{\text{წლ}} = 1 \ 000 \ 000 \ \text{ტ/წ};$$

მკვდარი ტვირთი შეადგენს:

$$1) 300 \ 000 \times 0,728 = 218 \ 400 \ \text{ტ/წ}; \quad 2) 1 \ 000 \ 000 \times 0,728 = 728 \ 000 \ \text{ტ/წ};$$

$$300 \ 000 \times 2,44 = 732 \ 000 \ \text{ტ/წ}; \quad 1 \ 000 \ 000 \times 2,44 = 2 \ 440 \ 000 \ \text{ტ/წ};$$

ეკონომიკური ეფექტის გაანგარიშებისას პროექტის მოწყობილობათა ბაზა იტვირთება საწარმოს კონკრეტული მომარაგების მონაცემთა დირებულების მიხედვით და ზუსტდება სამუშაოს ტექნოლოგიური პროცესის შემადგენელი ოპერაციების რიგითობის ზუსტად დაცვის შესაბამისად; რიგითობა ზუსტდება და მტკიცდება სათანადო კომპენტენტური ორგანოებისა და პირთა მონაწილეობითა და ხელმოწერით და ჯდება მონაცემთა ბაზაში. ამგარად, უწყვეტი და ციკლური რეჟიმის სატრანსპორტო მანქანების ძირითადი პარამეტრების გათვალისწინებით უპირატესი სატრანსპორტო საშუალების განსაზღვრის მეთოდის შემუშავებით დადგენილია, რომ ყველა შემთხვევაში, თუ სხვა აუცილებლობა არ არსებობს, ფხევიერ-ნატექსოვანი ტვირთების ყველაზე ხელსაყრელ სატრანსპორტო საშუალებად უნდა ვალიაროთ ტექნოლოგიური პროცესის შესაბამისი, უწყვეტი რეჟიმით მომუშავეთაგან რომელიმე მათგანი, მაგალითად, ლენტური კონვეიერი, რადგან მაღალმტარმოებლურია და შესაძლებელია ავტომატიზაციის მაღალი ხარისხი.

1.1.2. გარეგანი ხახუნის შესწავლის (საფუძვლები) ისტორია

გარეგანი ხახუნის შესწავლას საფუძველი ჩაეყარა წარმოების მარტივი იარაღების შექმნის დროიდან. წარმოების იარაღების თანდათანობითი დახვეწის აუცილებლობამ კი, თავისი მხრივ, გამოიწვია მოხახუნე ზედაპირების პრაქტიკული საკითხების (შეზეობა, ცვეთა და ა.შ.) ექსპერიმენტული კვლევა და თეორიული ანალიზი. ასე შეიქმნა **ტრიბოლოგია**. მეცნიერების ამ მიმართულების ერთერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს ხახუნის ძალების რეგულირება, - უკიდურესად შემცირება ამყოლ მექანიზმებში ან მაქსიმალურად გაზრდა ამძრავებში, რათა არ დავუშვათ ბუქსაობა.

პირველი ვინც დაამუშავა ძირითადი მეცნიერული დებულებები ხახუნის შესახებ იყო ლეონარდო და ვინჩი (1452-1519). მის შემდეგ კულონმა (1736-1806) შეისწავლა სრიალის ხახუნი და ამონტონის ექსპერიმენტების შედეგად გაცხადებული კანონი მათემატიკურად აღწერა

$$F \neq P \quad (1.8)$$

სადაც F არის ხახუნის ძალა, f - ხახუნის კოეფიციენტი, P - ნორმალური ძალა, კულონის გამოკვლევები ხახუნის დარგში ფუნდამენტალური მნიშვნელობისაა. შვეიცარიელმა მათემატიკოსმა ეილერმა მე-18 საუკუნის სამოციან წლებში ჩაატარა ზუსტი ანალიზების სერიალი ამონტონის, პარენტისა და ბელიდორის შედეგების ახსნის მიზნით. მან მიიღო მათემათიკური გამოსახულება, მოქნილი ძაფის ამძრავ ბლოკზე (წევის) ხახუნის ძალის განსაზღვრისათვის.

$$S_{\text{ს}} / S_{\text{ჩ}} = e^{\mu a} \quad (1.9)$$

$$\text{საიდანაც } S_{\text{ს}} = S_{\text{ჩ}} \cdot e^{\mu a} \quad (1.10)$$

$$\text{წევის ძალა } F = S_{\text{ს}} - S_{\text{ჩ}} = S_{\text{ჩ}}(e^{\mu a} - 1) \quad (1.11)$$

სადაც $S_{\text{ს}}$ არის მოქნილი ძაფის (ლენტის, ბაგირის) დაჭიმულობა ამძრავზე სწრაფობის წერტილში; $S_{\text{ჩ}}$ - მოქნილი ძაფის დაჭიმულობა ამძრავი ბლოკიდან ჩამოქანების წერტილში; $e=2,71$ - ნეპერის რიცხვი; μ - მოქნილი ძაფის ამძრავი ბლოკის ზედაპირთან ჩაჭიდების კოეფიციენტი;

1.1.3. ლენტური კონვეიერების ამძრავების თეორიული და ექსპერიმენტული კვლევის შედეგების ზოგადი ანალიზი

ხახუნის ამძრავი მექანიზმების შექმნასა და სრულყოფას ორ ასეულ წელზე მეტი წელის ისტორია აქვს. თეორიული და ინჟინრული გაანგარიშებით და კონსტრუქციულ გადაწყვეტილებათა სისრულეში მოყვანით დაინტერესებული იყო მრავალი მეცნიერი, კონსტრუქტორი, გამომგონებელი, პრაქტიკოსი. ამ სფეროს ფუნდამენტალურ მკვლევართა რიცხვს ეკუთვნიან: ლ. ეილერი, მ. კრეტცი, მ. ურაზბაევი, გრაზგოფი, ნ. პეტროვი, ნ. ჯუკოვსკი, ო. კამმერი, ა. ფიბერი...

მრავალი კვლევა აქვთ ჩატარებული ა. სპივაკოვსკის, გ. სოლოდის, ვ. ანდრეევს, 6. ბილიჩნენკოს, ვ. დიმიტრიევს, მ. კოტოვს, ბ. კუხნეცოვს, ნ. პოლიაკოვს, ლ. შახეისტერს, ი. შტოკმანს და სხვ.

ლ. ელექტრის კვლევების მიხედვით, ხახუნის ამძრავის წევის ძალა იანგარიშება (1.9.) ფორმულით და სამართლიანია ყველა ჩვეულებრივი ტიპის ხახუნის ამძრავი მექანიზმისათვის: $F=S_{\text{eff}} - S_{\text{f}} = S_{\text{f}}(e^{\mu a} - 1)$.

სადაც [ა](#) არის ამძრავ ბლოკზე მოქნილი ძაფის შემოხვევის კუთხე;

[μ](#) - მოქნილ ძაფზე ამძრავი ბლოკით განვითარებული ხახუნის ძალა.

შემდგომში ამ გამოსახულებამ გამოყენების სფეროს მიხედვით სხვადასხვანაირი ინტერპრეტაცია განიცადა. როგორც ლენტური კონვეიურების მუშაობის პრაქტიკული მაგალითები გვიჩვენებს, ამძრავის წევის ფაქტორი ($e^{\mu a}$) არასტაბილურია. ის, დამოკიდებულია დროში საკონტაქტო ზედაპირებისათვის რეოლოგიური და სხვა მრავალი გაუთვალისწინებელი პირობის ცვლილებებზე. აღნიშნული ფაქტი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კონვეიურის ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებზე. ამძრავების მუშაობის სრულყოფისათვის წლების მანძილზე იხვეწებოდა მისი პარამეტრების მასტაბილიზებელი კვანძები და იქმნებოდა ახალი ტიპის სპეციალური ამძრავები.

მიუხედავად ჩატარებული დონისძიებებისა, მაღალი და სტაბილური ჩაჭიდების კოეფიციენტის ([μ](#)) მიღება-შენარჩუნების საკითხი, განსაკუთრებით ატმოსფერული პირობების ცვალებადობისას (როდესაც იცვლება ტემპერატურა და ამძრავის საკონტაქტო ზედაპირების ხახუნი მიმდინარეობს მშრალი, ზღვრული, სველი ხახუნისას, თიხისა და სხვა სამთო ქანების წყალხსნარებით საკონტაქტო ზედაპირების დაჭუჭყიანებისას და ა.შ.) არ არის გადაწყვეტილი. ამიტომ, რეზერვები ამოუწურავია სტაბილური წევის ფაქტორის მიღებამდე, რასაც მე-20 საუკუნის ბოლო წლების შრომებიც გვიჩვენებს [87]; მისი გადაწყვეტის გზები მრავალნაირია, რომელთაგან ერთ-ერთი პერსპექტიული მიმართულებაა ვაკუუმ-ამძრავების გამოყენება. ამ ამძრავების კვლევებისას [22, 21, 60, 93], სხვა სპეციალური და ჩვეულებრივი ამძრავებისაგან განსხვავებით, მიღებულია წევის ძალისა და წევითი ფაქტორის მიღებისა და მისი შენარჩუნების სრულიად დამაკმაყოფილებელი შედეგები. შედეგების სამართლიანობა დასტურდება ხახუნის კლასიკური თეორიითაც [82]. მაგალითად, ამძრავის საკონტაქტო ზედაპირების რგოლურ ჭვრიტეში ნებისმიერი სითხის (ზეთისაც კი) მოხვედრა [22, 60] იწვევს მშრალ ხახუნთან შედარებით წევის ძალების გაზრდას და, მაშასადმე, ვაკუუმამძრავით მომუშავე ლენტური კონვეიურის ეკონომიკურობის გარანტია, სხვა ამძრავებთან შედარებით, გაცილებით მაღალია. ზემოთ მოყვანილი ფაქტების მიხედვით კოვლით, რომ ლენტური კონვეიურებიდან ერთ-ერთი პერსპექტიულია ვაკუუმური ამძრავი, რომლის მოქმედების პრინციპი შეიძლება საფუძვლად დაგუდოთ, როგორც დოლური ტიპის სათავისა და კუდის, ასევე რგოლურად შეგრულ წრფივ საწევორგანოებიან შუალედურ ამძრავებსაც. მიუხედავად ამ სფეროში მკვლევართა მრავალწლიანი მუშაობისა, შედეგები კი დამაჯერებელია, მაგრამ, ჩვენი აზრით,

შესაძლებლობის მხოლოდ მინიმუმია გაკეთებული. ლოგიკური ანალიზისა და მეცნიერულად დასაბუთებული დებულებების მიხედვით მიზანშეწონილად მიგაჩნია ვაკუუმ-ამძრავების რეკონსტრუქცია-სრულყოფისას გათვალისწინებულ იქნება:

ა) რეციპიენტების (ვაკუუმ-არხების) ნახვრეტებამდე დაყვანით და პიდროაეროდინამიკის (მაკროელასტოპიდროდინამიკის) თვალსაზრისით ამძრავების საკონტაქტო ზედაპირების უფრო მეტად (არსებულთან შედარებით) გამარტივება;

ბ) ურთიერთდამოკიდებულების უზრუნველყოფა ამძრავი ვაკუუმ-დოლის კუთხურ სიჩქარესა (ბრუნვის სიხშირესა) და რგოლური ჭვრეტიდან სითხის (წვეთოვანის, გაზისებრის) დრენაჟირების (გაწოვის) სიჩქარეს შორის;




გ) საკონტაქტო ზედაპირების (რგოლურ) ჭვრიტები მაღალი და თანაბრად განაწილებული გაუხშოების მიღებისა და ამძრავის საკონტაქტო ზედაპირიდან ლენტის ნარნარად (აგლეჯვის გარეშე) გაყრის (გაცილების) უზრუნველყოფა.


შემდგომში მოგვიანებითი კვლევებით: ხარდიმ (1919წ.), ბირიმ, ბოუდენმა, გუმბელმა (1925წ.), ასევე თანამედროვე მეცნიერ-მკვლევარებმა: ი.გ.კრაგელსკიმ, გრინგუდმა, ვილიამსონმა, ხანტმა, რაბინოვიჩმა, კურტელმა, ფრეიტაგომ და სხვებმა აჩვენეს ადრეული კლასიკური თეორიის ვარგისიანობა ხახუნის პროცესის ყველა მოქნების განხილვისთვის და ამასთან დაზუსტებულ იქნა მრავალი კონკრეტული დეტალი და შემთხვევა. ასე მაგალითად ეილერის ფორმულა (1.2.) სამართლიანია ყველა ჩვეულებრივი ტიპის ხახუნის ამძრავი მექანიზმისათვის, თუ მივიღებთ, რომ მოქნილი ძაფის დრეკადი სრიალის სიჩქარე ამძრავი ბლოკის მიმართ მაქსიმალურია (ე.ი. სწრაფობის წერტილში საწევი ორგანოს დაჭიმულობა მაქსიმალურია, ხოლო საწევი ორგანოს ამძრავზე მოვლების გეომეტრიული კუთხე - α_3 . და დრეკადი სრიალის კუთხე - $\alpha_{\text{დ.}}\text{.b}$. დაახლოებით ერთმანეთის ტოლია, $\alpha_3=\alpha_{\text{დ.}}\text{.b}$).

თანამედროვე შეხედულებები ხახუნის ბუნებაზე დაიხვეწა და დაზუსტდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში. კვლევებში თავიანთი მიმართულებებითა და მიღებული შედეგებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს გრინგუდმა, ვილიამსონმა, ბოუდენმა, ტეიბორმა, კრაგელსკიმ, ჭიჭინაძემ და სხვ.

კლასიკური თეორიის შედეგებზე დაყრდნობით შეიქმნა და სამრეწველო გამოცდები გაიარა ხახუნის ამძრავებმა, რომლებშიც ძირითადი ცვლადი სიდიდეა საწევი ორგანოს (ლენტის) საწყისი დაჭიმულობა – S_B ან ამძრავ დოლზე (დოლებზე) მოქნილი საწევი ორგანოს შემოხვევის კუთხე ($\alpha \geq 180^\circ \dots 530^\circ$) შედეგები წარმოდგენილია ცხრილში 12.

ცხრილი 1.2.

ლენტური კონვეიერის ამძრავების უპირატესი საანგარიშო სქემები						
	№	1	2	3	4	5
გრად./რად.	180°/3,14	270°/4,71	420°/7,326	480°/8,373	530°/9,245	
$\mu\alpha$						
0,2	0,628	0,942	1,4652	1,6746	1,849	
0,3	0,942	1,413	2,1978	2,5119	2,7735	
0,4	1,256	1,884	2,9304	3,3492	3,698	
0,5	1,57	2,355	3,663	4,1865	4,225	
0,6	1,884	2,826	4,3956	5,0238	5,547	
0,7	2,198	3,297	5,1282	5,8611	6,4715	
0,8	2,512	3,768	5,8608	6,6984	7,396	
0,9	2,826	4,239	6,3954	7,5357	8,3205	
1,0	3,14	4,17	7,236	8,373	9,245	
$\text{წავლის ფაქტორი } e^{\mu\alpha}$						
0,2	1,87	2,558	4,309	5,309	6,317	
0,3	2,558	4,09	8,945	12,234	15,88	
0,4	3,498	6,542	18,568	28,19	39,91	
0,5	4,784	10,463	38,549	64,957	100,32	
0,6	6,542	16,733	80,0,13	149,67	252,16	
0,7	8,947	26,76	166,094	344,88	633,81	
0,8	12,235	42,798	344,78	794,7	1593,09	
0,9	16,733	68,447	587,505	1831,16	4004,25	
1,0	22,88	109,47	1485,7	4219,4	10064,7	



ნახ. 1.1. ვაკუუმ-ამტრავების კლასიფიკაცია

1.2. ლენტური კონვეიერების ვაკუუმ-ამძრავების კონსტრუქციული სქემების კლასიფიკაცია და ანალიზი

დასახული მიზნის განხორციელებისათვის ჩავატარეთ საპატენტო და ლიტერატურული მოკვლევა ვაკუუმ-ამძრავების კონსტრუქციების, კონსტრუქციული სქემების, თეორიული და ექსპერიმენტული კვლევების სფეროში. მოკვლეული მასალების ანალიზმა აჩვენა, რომ კონკრეტული პირობებისათვის ამძრავების საკონტაქტო ზედაპირის პარამეტრების დადგენა, ხდებოდა ნახვრეტებში, მიღსადენებში, რეციპიენტების ფასონურ ნაწილებსა და რგოლურ ჭვრიტეში სითხის (ჰაერის) დინების წინააღმდეგობის გაუთვალისწინებლად, ხოლო ვაკუუმის ფორმირება საკონტაქტო ზედაპირებს შორის – პირობით რგოლურ ჭვრიტეში განიხილებოდა რადაც **t₀** დროში და არა დოლის (ამძრავის, ბრტყელის) ბრუნვის სიხშირის შესაბამისად. აღნიშნულია რეინოლდსის, პრანდტლის და ნუსსელტის კრიტერიუმების გამოყენების შესახებ [93, 20]; მიუხედავად ამისა, არაფერია ნახსენები კრუდსენის კრიტერიუმის, ვაკუუმ-ტუმბოს მოქმედების სისწრაფის, საკონტაქტო რგოლური ჭვრიტის ეფექტური ამოტუმბებისა და რთული ლაბირინთული რეციპიენტების გამტარობის შესახებ. ბუნდოვნადაა წარმოდგენილი კოლექტორების (ურთიერთის მიმართ) მოძრავი ნაწილების ჰერმეტიზაციის ხარისხი, მათი რესურსები და საიმედოობა. ყურადსალებია კოლექტორიანი ვაკუუმ-ამძრავების კონსტრუქციების ნაკლები ეფექტურობაც იმ ცნობილი ფაქტის გათვალისწინებით, რომლის მიხედვით, ბლანტ რეჟიმში გაზების (სითხეების) დინებისას, წრიული კვეთის მიღსადენებისადმი გამტარობა უკუპროპორციულია მისივე სიგრძისა და გაზის დინამიკური სიბლანტის კოეფიციენტის [22].

ნაირსახეობათაგან ამორჩეული და განხილული რამდენიმე სახასიათო ნიმუშის საშუალებით მოვახდინოთ ვაკუუმ-ამძრავების კონსტრუქციათა და კონსტრუქციულ სქემათა კლასიფიკაცია და მათი შემდგომი ანალიზი. კლასიფიკაცია მოვახდინეთ: (1)* – კონსტრუქციის ნიშნით; (2) – კონვეიერის დგარში განლაგების ნიშნით; (3) – ვაკუუმის შექმნის პრინციპის ნიშნით და (4) – ზედაპირის კონსტრუქციის ნიშნით (**ნახ. 1.1**).


პირველი ნიშნის მიხედვით არსებობს (5) სათავის, (6) შუალედური და (7) – კუდის ამძრავები.

მეორე ნიშნის მიხედვით არსებობს (8) – დოლური [18, 61, 62] და (9) – რგოლურად შეკრული ამძრავები წრფივი საწევი ბრტყელათი [15, 18].

მიზანშეზონილად მიგვაჩნია, რომ გარდა დოლური ამძრავებისა, სათავისა და კუდის ამძრავებად გამოვიყენოთ რგოლურად შეკრული წრფივი საწევი ბრტყელათი წარმოდგენილი სრულყოფილი შუალედური ამძრავებიც. ეს საშუალებას მოგვცემს, გამოვიყენოთ ერთი ტიპის ამძრავი მექანიზმები სიგრძეში პრაქტიკულად შეუზღუდავი


*ნახ.1.1-ზე მითითებულია, კლასიფიკაციის საფეხურის ნომერი 1, 2, 3, ... 36.

კონვეიერის მთელ დგარში. შესაბამისად კონვეიერის მთელი სიმძლავრე თანაბრად განაწილდება დგარის უბნებში, რაც შეამცირებს საკონვეიერო ლენტის დაჭიმულობას (S_b) და მის საჭირო სიმტკიცეს (S_a). ამძრავების აღნიშნული სახით წარმოდგენა უზრუნველყოფს უნიფიკაციის მაღალ დონეს და უფრო მოხერხებულს გახდის ექსპლუატირებისა და რემონტის პროცესს.




ნახ. 1.2

მესამე ნიშნის მიხედვით ვაკუუმ-ამძრავების კონსტრუქციებისა და კონსტრუქციული სქემების ფართო ასორტიმენტში გამოკვეთილია სამი ძირითადი ჯგუფი: (10) – ამძრავები ვაკუუმის ბუნებრივი წარმოქმნით; (11) – ამძრავები ვაკუუმის გარეგანი წყაროთი – ვაკუუმ-ტუმბოთი და (12) – ამძრავები ავტონომიური ვაკუუმური მექანიზმებით. საკონტაქტო რგოლურ ჭვრიტეში ვაკუუმის (10) ბუნებრივად წარმოქმნის იდეა (10'), რომელიც ელასტიკური მასალით ან მისი საწოვარებით ხორციელდება (ნახ. 1.2) [52] (ს.მ. 543573), მათივე დაბალი სიმტკიცის გამო არაპრეტიკულია. (11) – ვაკუუმ-ტუმბოთი და (13) – წრფივი ან (14) – წრიული, (15) – ცენტრალური და თუნდაც (16) – პერიფერიული განლაგების კოლექტორებით გაუხშოების შექმნას (17) – საერთო რეზერვუარში, მისი შემდგომი დაპავშირებით საკონტაქტო ზედაპირთან (18) – ბურთულა-ზამბარული სარქველებით (ნახ. 1.3) (პ.1054010), (19) – მკვეთარ-გამანაწილებლით (ნახ. 1.4) [49]; ან უშუალოდ (20) – პერფორაციებით [15] (ს.მ. 1104070) ნაკლებად საიმედოა, ვინაიდან თუნდაც ერთი ელემენტის (18,




ნახ. 1.3

19 ან 20) მტკუნება (ან ატმოსფეროსთან მოკლედ შერთვა) გამოიწვევს გაუხშოების საერთო (17) – რეზერვუარში გაკუშმის კარგისა და შესაბამისად წევის ძალების არასტაბილურობას (შემცირებას). რაც შეეხბა 3, 11, (13 ან 14), (15 ან 16), 21 სქემებით (იხ. ნახ. 1.1) რგოლურ ჭვრიტეში ვაკუუმის შექმნის (ცხრ. 1.1) მრავალგზის ნაცადი პრაქტიკულად განხორციელებული [7, 8] ხერხებია.



ნახ. 1.4


ლიტერატურული წყაროებიდან [71, 54, 55] ცნობილია, რომ ბლანტ რეჟიმში გაზების (სითხეების) დინებისას, მრგვალი კვეთის მიღების გამტარუნარიანობა უკუპროპორციულ დამოკიდებულებაშია მისივე სიგრძისა და გაზის დინამიკური სიბლანტის კოეფიციენტისადმი ზემოთ აღნიშნულისა და ვაკუუმ-ამძრავი სადგურის (ნახ. 1.6) [12] (ს.მ.581030) გარე ქსელის მიხედვით შეიძლება გაკეთდეს დასტანა ასეთი კოლექტორიანი ამძრავების საექსპლუატაციო და სარემონტო ხარჯების ნაკლებად ეკონომიკურობაზე. თუ დოლის რეციპიენტების ლაბირინთებსა (ნახ. 1.7) [11] (ს.მ.543572) და



ნახ. 1.5

საკმარისად დიდი სიგრძის ვაკუუმ-არხების მცირე (U) გამტარუნარიანობის გამო გამაუხშოებელი მექანიზმის მოქმედების სისწრაფისა (S_δ) და საკონტაქტო ზედაპირებშორისი

რგოლური ჭვრიტედან სითხის დრენაჟირების (გაწოვის) ანუ ეფექტური ამოტუმბვის სისტრაფის (ს. 1.6) შეუსაბამოდ მცირე მნიშვნელობა ამძრავის საკონტაქტო ზედაპირის ხაზოვან




ნახ. 1.6

ქსელი [12] (ს. მ. 581030), კოლექტორის წრფივი ან რგოლური საკანი, ამძრავის ტორსული ბადროს რადიალური ნახვრეტები, დოლის მსახველის პარალელური გრძივი არხები მასში ჩამონტაჟებული გამოსაცვლელი ფილტრებით (ნახ. 1.7) [11] (ს. მ. 543572) და ბოლოს, რგოლურ ჭვრიტესთან დამაკავშირებელი პერფორაციები ან გრძივი დარები).

1.1 კრებსითი ცხრილი, რომელშიც წარმოდგენილია საავტორო მოწმობის ან პატენტის ყველა სახასიათო ვარიანტი, მათ შესაბამის გრაფიკულ ნაწილთან ერთად უფრო ნათელს ფენს პრობლემის აქტუალურობას.



სიჩქარესთან, და ბოლოს, როგორც კოლექტორიანი ვაკუუმ-ამძრავების კვლევის შედეგებიდან ჩანს [5, 17], კოლექტორი მნიშვნელოვნად ამცირებს ტუმბოს გამოყენების კოეფიციენტს, რადგან ამძრავის საკონტაქტო ზედაპირების რგოლური ჭვრიტიდან სითხის გაწოვა და მასში საჭირო გაიშვიათების მიღება ხორციელდება (რეციპიენტების) როტული, დიდი სიგრძის ვაკუუმ-არხების საშუალებით (რეციპიენტს ადგენს: ვაკუუმ-ტუმბოს გარე



ნახ. 1.7


მეოთხე ნიშნის მიხედვით ვაკუუმ-ამძრავების საკონტაქტო ზედაპირების კონსტრუქციის ნიშნით (იხ. ნახ. 1.1) შვიდი ძირითადი სახეა გამოკვეთილი. (29) – გამჭოლი გრძივი ჭრილებით (ნახ. 1.8 და 1.9); (30) – პერფორირებული ზედაპირით (იხ. ნახ. 1.6, 1.7, 1.17, 1.18); (31) – გრძივი დარებიანი განაპირა გაწოვით (ნახ. 1.10, 1.11, 1.12, 1.13, 1.14)*, სადაც დარები (32) ერთრიგად ან (33) ორრიგად – ამძრავი ზედაპირის მსახველის პარალელურადაა განლაგებული (მაგ. ნახ. 1.12, 1.13, 1.14); სხვა კონსტრუქციაში დარები (34) შევრონული განლაგებისაა (მაგ. ნახ. 1.11). კონსტრუქციებსა და კონსტრუქციულ სქემებში მრავლადაა წარმოდგენილი (35) – გრძივდარებიანი ცენტრალური გაწოვის საკონტაქტო ზედაპირები (მაგ. ნახ. 1.15, 1.16) და ბოლოს (36) – გრძივდარებიანი დოლის სეგმენტებისაგან შედგენილი ზედაპირები (იხ. ნახ. 1.10).

*1.14 ნახაზში – ვინაიდან კოლექტორი ცენტრალური განლაგებისაა, ამიტომ მიიღება ცენტრალური გაწოვის იმიტაცია და განსხვავდება ნახ. 1.11-ზე ნაჩვენები კონსტრუქციისაგან, ვინაიდან ამ კონსტრუქციულ სქემაში კოლექტორები პერიფერიული განლაგებული.





ნახ. 1.8

საკონტაქტო ზედაპირებით შექმნილ რგოლურ ჭვრიტეში საჭირო და სტაბილური ვაკუუმის მიღების გარანტია, მოძიებული სამეცნიერო-კვლევითი მასალების გათვალისწინებით, განსაკუთრებით კოლექტორიანი ვაკუუმ-ამძრავებისათვის, შეუძლებელია ან ნაკლებად ეფექტური. ეს იმით აიხსნება, რომ (ჰიდრო)აეროდინამიკური წინაღობები ლითონებრუნვის შორის (რგოლურ ჭვრიტეში) გაცილებით დიდია (პლასტიკურობისა და დრეკადი დეფორმაციის გამო), ვიდრე კოლექტორის მოძრავ კვანძებს (ლითონი-ლითონი) შორის. წინა შრომებში [17, 18, 21] საკონტაქტო რგოლურ ჭვრიტეში ვაკუუმის ფორმირების საკითხი შეისწავლებოდა სტატიკაში, ზონდირების მეთოდით, ამძრავისა და საკონვეიერო ლენტის ზედაპირების რგოლურ ჭვრიტეში კოლექტორით, მუდმივად ჩართული ვაკუუმ-ტუმბოს მაგალითზე, რაც ნიშნავს ამძრავის ბრუნვის სიხშირის გაუთვალისწინებლობას ანუ მყისიერი ვაკუუმის ფორმირების ცნების უხეშ დარღვევას. ეს საკითხი შედარებით კარგადაა წარმოდგენილი საკვალიფიკაციო ნაშრომში [60] სადაც დოლის ბრუნვის სიხშირის მიხედვით მიღებულია ვაკუუმის ფორმირების ოსცილოგრამები საკონტაქტო ზედაპირების მშრალი, ზღვრული და სველი ხახუნის პირობებისათვის. ექსპერიმენტების შედეგები ნათლად ადასტურებს იმ აუცილებლობას, რომ ვაკუუმის შემქმნელი მექანიზმების, ამ შემთხვევაში უკუკლევით-წინსვლით მოძრავი ელემენტების ჰერმეტიზაციის ხარისხი (მსგავსად კოლექტორის მოძრავი




ნახ. 1.9

საკონტაქტო ზედაპირებით შექმნილ რგოლურ ჭვრიტეში საჭირო და სტაბილური ვაკუუმის მიღების გარანტია, მოძიებული სამეცნიერო-კვლევითი მასალების გათვალისწინებით, განსაკუთრებით კოლექტორიანი ვაკუუმ-ამძრავებისათვის, შეუძლებელია ან ნაკლებად ეფექტური. ეს იმით აიხსნება, რომ (ჰიდრო)აეროდინამიკური წინაღობები ლითონებრუნვის შორის (რგოლურ ჭვრიტეში) გაცილებით დიდია (პლასტიკურობისა და დრეკადი დეფორმაციის გამო), ვიდრე კოლექტორის მოძრავ კვანძებს (ლითონი-ლითონი) შორის. წინა შრომებში [17, 18, 21] საკონტაქტო რგოლურ ჭვრიტეში ვაკუუმის ფორმირების საკითხი შეისწავლებოდა სტატიკაში, ზონდირების მეთოდით, ამძრავისა და საკონვეიერო ლენტის ზედაპირების რგოლურ ჭვრიტეში კოლექტორით, მუდმივად ჩართული ვაკუუმ-ტუმბოს მაგალითზე, რაც ნიშნავს ამძრავის ბრუნვის სიხშირის გაუთვალისწინებლობას ანუ მყისიერი ვაკუუმის ფორმირების ცნების უხეშ დარღვევას. ეს საკითხი შედარებით კარგადაა წარმოდგენილი საკვალიფიკაციო ნაშრომში [60] სადაც დოლის ბრუნვის სიხშირის მიხედვით მიღებულია ვაკუუმის ფორმირების ოსცილოგრამები საკონტაქტო ზედაპირების მშრალი, ზღვრული და სველი ხახუნის პირობებისათვის. ექსპერიმენტების შედეგები ნათლად ადასტურებს იმ აუცილებლობას, რომ ვაკუუმის შემქმნელი მექანიზმების, ამ შემთხვევაში უკუკლევით-წინსვლით მოძრავი ელემენტების ჰერმეტიზაციის ხარისხი (მსგავსად კოლექტორის მოძრავი



ნახ. 1.10


ნაწილების ჰერმეტიზაციისა) გაცილებით მაღალი უნდა იყოს რგოლური ჭვრიტის ჰერმეტიზაციასთან შედარებით. უნდა აღინიშნოს, რომ გაგულმის სიღილის ოსცილოგრამები ჩაწერილია არა უშუალოდ რგოლურ ჭვრიტებში, არამედ განივი ლარების მოცულობებში, რის გამოც შეიძლება ოსცილოგრამების შედეგებსა და საკონტაქტო ზედაპირების რგოლურ ჭვრიტების მიმდინარე პროცესებს შორის იყოს გარკვეული შეუსაბამობა, თუმცა ექსპერიმენტულ მონაცემებზე დაყრდნობით, ლოგი-



ნახ. 1.11

კური ანალიზის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნები [60] პირობით რგოლურ ჭვრიტები თანაბრად განაწილებული ვაკუუმის წარმოქმნის შესახებ. ამასთან, უნდა შევნიშნოთ, რომ საკითხის უფრო დრმა ანალიზისათვის საკონტაქტო რგოლურ და ცილინდრ-დგუშის ჭვრიტები სითხის (წვეთოვანის, აირის) მოძრაობის ექსპერიმენტული და თეორიული შესწავლა

საჭიროა ელასტოიდროდინამიკის, მაკროელასტო-პიდროდინამიკის, ჰისტერეზისის და ადგეზიის მოვლენების გათვალისწინებით.



ნახ. 1.12.

სახუნის კლასიკური თეორიისა და მაღალი სიზუსტის ექსპერიმენტული კვლევების [54] მიხედვით, დატვირთვის ქვეშ მყოფი ცილინდრის ელასტომერზე სრიალის სახუნის კოეფიციენტი შედგება ორი ადგეზიური და ჰისტერეზისული კომპონენტებისაგან, ხოლო სახუნის განზოგადოებული კოეფიციენტი $f/tg\delta$ წნევისა და დრეკადობის მოდულის ფარდობის (P/E) ფუნქციაა. სრიალის სიჩქარის გაზრდით ეს თანაფარდობა პრაქტიკულად არ იცვლება. და სახუნის განზოგადებული კოეფიციენტი მშრალი სახუნისას (შეზეთვის გარეშე) რჩება დაახლოებით ერთ დონეზე. გრინვუდისა და ტეიბორის [54]


მიხედვით ლითონის ელასტომერზე სრიალისას ან გორვისას ერთნაირ გავლენას ახდენს ჰისტერეზისის მოვლენა. ნორმანმა კი ხისტი ცილინდრის ელასტომერზე გორვის სახუნის

კოეფიციენტის კვლევისას თეორიულად დაადგინა, რომ პისტერეზისით (დეფორმაციით) [54] განპირობებული ხახუნის კოეფიციენტი არის რბილი მასალის (მაგ. რეზინის) მექანიკური დანაკარგის კუთხის ტანგენის როტაციი ფუნქცია, ხოლო ხახუნის ადგეზიური მდგრელის გავლენა ელასტომერზე შეისწავლეს ბალდეინმა და შალამახმა. მათ დასკვნებში აღნიშნულია, რომ ადგეზიური ხახუნის კოეფიციენტი პირდაპროპორციულ დამოკიდებულებაშია ელასტომერის მექანიკური დანაკარგის კუთხის ტანგენისა და


უკუპროპორციულია მისი სიმაგრისა.

ჩვენი სამუშაოს სწორი მიმართულების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მამტკიცებელ ფაქტად მიგვაჩინია დ. მურის [54] განზოგადებული თეორია გადაჯერებულად სველი საკონტაქტო ზედაპირებისათვის. მასში აღნიშნულია, რომ საკონტაქტო ზედაპირების უხვად დასველებისას, მაღალი ხახუნის კოეფიციენტის უზრუნველსაყოფად


საჭიროა ზედაპირიდან სითხის მნიშვნელოვანი სადრენაჟო ეფექტის ღონისძიებების ჩატარება [54]. ზემოთ მოყვანილი ანალიზის მიხედვით, კვლევის მოდელად ვირჩევთ კლასიფიკაციით (იხ. ნახ. 1.1) გათვალისწინებულ ვაკუუმ-ამძრავის შემდეგ სქემას: 5, 8, 12, 24, 25, 35+წრიული ამონაჩარხები (ამძრავის საკონტაქტო ზედაპირი ახალი კონსტრუქციაა იხ. ნახ. 3.4ო).



ნახ. 1.13.




ნახ. 1.14




ნახ. 1.15

ვაკუუმ-ამძრავების კონსტრუქციებისა და კონსტრუქციული სქემების კლასიფიკაციამ და მათმა ანალიზმა (შესწავლამ) გვიჩვენა, რომ საკონტაქტო ზედაპირებს შორის ვაკუუმის შექმნის ქვემოთ წარმოდგენილი მექანიკური მოდელები [66] სრულად მოიცავს ამძრავის რგოლურ ჭვრიტები გაუხმოების დღემდე არსებულ ყველა მეთოდს. კერძოდ დღეისათვის

ცნობილი ყველა სახის მოდელი შესაძლებელია დავყოთ ოთხ მექანიკურ მოდელად.




ნახ. 1.17



ნახ. 1.18

პირველი მექანიკური

მოდელით მომუშავე ვაკუუმ-ამძრავები (წრიული ან წრფივი) კოლექტორში ამძრავის საკონტაქტო ზედაპირზე და ტორსულ ბადროში (ბადროებში) არსებული ვაკუუმ-არხების ერთობლიობაა რასაც ემატება ვაკუუმ-ტუმბოს შიგა და გარე ქსელი კოლექტორამდე (იხ. ნახ. 1.6). ამ მოდელის სრული დახასიათება მოცემულია §1.2-ში, რომლის მიხედვით და მეცნიერული დებულებების (იხ. შესავალი) ზოგიერთი პუნქტის გათვალისწინებით, რეციპიენტების სირთულისა და ტუმბოს გამოყენების კოეფიციენტის სიმცირის გამო აღნიშნული მოდელი ნაკლებად ეფექტურია.



მესამე მექანიკური მოდელით მომუშავე ვაკუუმ-ამძრავები (იხ. ნახ. 1.17. და 1.18.) მუშაუნარიანია და თითქოს უქვემდებარება არხების თვითგაწმენდასაც, მაგრამ ვაკუუმ-არხების დიდი საწყისი მოცულობა, გაწმენდას დაქვემდებარებული რთული ფორმის საკნები და ვაკუუმის კომპენსაციის შეუძლებლობა კარგვების შემთხვევაში ამცირებს აღნიშნული კონსტრუქციის მუშაობის უნარს.

მეოთხე მექანიკური მოდელით მომუშავე ვაკუუმ-ამძრავებში (იხ. ნახ. 1.15.) რგოლური ჭვრიტის გაუხშოება ხდება ცილინდრ-დგუშიანი და მუშტამექანიზმებიანი მოწყობილობის გამოყენებით. მისი რეციპიენტების საწყისი მოცულობა თითქმის ნულის ტოლია, ხოლო გაიშვიათება ამძრავის საკონტაქტო რგოლურ ჭვრიტეში შეიძლება განხორციელდეს რეციპიენტების მოცულობებში წინასწარ მიწოდებული წვეთოვანი სითხის გაწოვით. გაიშვიათების ეს მოდელი ამცირებს დგუშების სვლის სიდიდეს, აუმჯობესებს საკონტაქტო ზედაპირზე თანაბრად განაწილებული გაიშვიათების შექმნის პირობებს და წინამორბედი მკვლევარების შედეგების მსგავსად ჩვენს შემთხვევაშიც ზრდის ვაკუუმში სველი ხახუნით გამოწვეულ წევით თვისებებს.

ამ მეოთვებიდან გამწევი ორგანოს (ამძრავის) საკონტაქტო ზედაპირების ოპტიმალური პარამეტრების კვლევისათვის ვირჩევთ მეოთხე მექანიკურ მოდელს, ჩვენი აზრით, ყველაზე სრულყოფილს, სადაც ვაკუუმის ფორმირებისათვის გამოყენებულია მრავალჯერ ნაცადი და მრავალმხრივ გამოცდილი, უტყუარი მოქმედების ტრადიციული ცილინდრ-დგუშიანი და მუშტამექანიზმებიანი მოწყობილობები. გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, კონსტრუქციული უპირატესობებიდან აღსანიშნავია ვაკუუმ-მექანიზმისა და გაუხშოების ობიექტის (რგოლური ჭვრიტის) ურთიერთკავშირი მარტივი ნახვრეტის საშუალებით. საკითხისადმი კომპლექსურად მიღვიმის მეთოდით – საკონტაქტო ზედაპირი (რგოლური ჭვრიტე) – ვაკუუმმექანიზმი, – ვიხილავთ თანაბრად განაწილებული გაუხშოების შექმნის უზრუნველყოფის აუცილებელ პირობებს:

1) ვაკუუმ-ტუმბოს მოქმედების სისტრაფე (S_0) უნდა ეთანადებოდეს ამძრავის საკონტაქტო ზედაპირებს შორის რგოლური ჭვრიტედან სითხის (წვეთოვანის, გაზისებრის) სრულფასოვანი დრენირების (გაწოვის) ანუ ობიექტის ეფექტური ამოტუმბვის სისტრაფის ($S_{\text{ფ}}$) უზრუნველყოფას;

2) ვაკუუმის წყაროსა და ამძრავის რგოლური ჭვრიტეს შემაერთებელი კვანძის (უმჯობესია იყოს ნახვრეტი და არა რთული ლაბირინთული რეციპიენტი) გამტარობა (U) უნდა უზრუნველყოფდეს ვაკუუმის შმქმნელი მექანიზმის გამოყენების (K_0) კოეფიციენტი დაახლოებით ერთის ტოლია ე.ი. $K_0=S_{\text{ფ}}/S_0 \approx 1$ ანუ $K_0=U/(U+S_0) \approx 1$, რაც ამძრავის კვლევისა და დაპროექტების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა.

3) ამძრავის რგოლური ჭვრიტედან სითხის (წვეთოვანის, გაზისებრის) მყისურად გამწოვი მექანიზმის (ვაკუუმ-მექანიზმის, ვაკუუმ-ტუმბოს კოლექტორის) ვაკუუმური სისტემის პერმეტიზაცია უნდა იყოს რგოლური ჭვრიტის პერმეტიზაციაზე უფრო

სრულყოფილი (მაღალი), ამასთან ამძრავის საკონტაქტო ზედაპირების პარამეტრები უზრუნველყოფდეს გარემოდან რგოლურ ჭვრიტეში სითხის მინიმალურ შეწოვას.

4) ტუმბოს მოქმედების სისწრაფე (S_ტ), ობიექტის ეფექტური ამოტუმბვის სისწრაფე (S_{ეფ}) და მათი შემაერთებელი მილსადენების (ნახვრეტის) გამტარობა (U) უნდა განიხილებოდეს აუცილებლად ამძრავისა და ტვირთმზიდი ლენტის შესაბამისი კუთხეური და ხაზოვანი სიჩქარეების გათვალისწინებით.

ნახ. 3.1.-ზე მოცემულია ვ.ა.აგუშევისა და სხვათა მიერ (ს.მ. №132536) შემოთავაზებული ავტ დოლის კონსტრუქცული სქემა. ამ სქემის მიხედვით ავტ დოლის ზედაპირზე - ლენტის ქვეშ, გაუხშოვება იქმნება ამ დოლზე შემოჭიმული ცვეთამედეგი ჰაერგაუმტარი მოქნილი გარსით, რომლის ჯიბეები რადიალური მიმართულების უკუკევით - წინსვლით მოძრაობას ასრულებენ მუშტა მექანიზმის საშუალებით. ამ კონსტრუქციის უპირატესობა ავტ დოლებში განისაზღვრება: სიმარტივით, სიიაფით რეციპიენტების თვითგასუფთავების შესაძლებლობით.

უარყოფითი მხარეებიდან კი საჭიროა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ცვეთამედეგი, ელასტიური, ჰაერგაუმტარი გარსი ერთდროულად ასრულებს: ამონაგის, ვაკუუმის შექმნის მექანიზმსა და მაჟერმეტიზირებელ ელემენტის როლს. ეს სამი თვისება ერთ ელემენტში შეუთავსებელია, ვინაიდან ამონაგისათვის გამოყენებული მასალა უნდა იყოს ხისტი - მხები ძალის მოდებისას მცირე დეფორმაციის უნარით. სამაგიეროდ, ვაკუუმის შექმნის შექმნის მექანიზმი უნდა იყოს მოქნილი და არ უნდა ზიანდებოდეს ნიშანცვლადი დატვირთვის მოქმედებით. ამგვარად, ასეთი კონსტრუქციის პრაქტიკული რეალიზაცია წვენის აზრით ნაკლებად ეფექტური იქნება.

ზემოთ მოყვანილი კონსტრუქციის ნაკლოვანი მხარეები ნაწილობრივ გამოსწორებულია ავტ დოლში, რომელიც შემოთავაზებულია № 475323 საავტორო მოწმობაში (ნახ. 3.2).

ამ კონსტრუქციაში პერფორირებულ ზედაპირზე, ლენტის ქვეშ გაუხშოვება იქმნება დოლის რკალის ქვეშ დამონტაჟებული სამჭედლო საბერველის ტიპის მექანიზმით, რომელიც უკუკევით-წინსვლით მოძრაობას ასრულებს ზამბარულ-ბერკეტული მოწყობილობის მეშვეობით. ამასთან, ვაკუუმის შექმნისთვის საბერველი მოძრაობაში მოდის ბერკეტულ სისტემაზე საკონვეირო ლენტის მოქმედებით, ხოლო უკუსვლა ხორციელდება ზამბარული მოწყობილობის საშუალებით მას შემდეგ, რაც რაც ბერკეტული სისტემა გათავისუფლდება ლენტისაგან. ამ ლენტის დადებითი მხარეებიდან უნდა აღინიშნოს სიმარტივე და რეციპიენტების მტვრისაგან ნაწილობრივი გაწმენდის შესაძლებლობა. უარყოფითი მხარეებიდან კი ისეთი სერიოზული ნაკლოვანები, როგორიცაა: რეციპიენტების საწყისი მოცულობა, ვაკუუმის სიდიდის რეგულირების შეუძლებლობა და, რა თქმა უნდა, ვაკუუმ-არხებისა და მთლიანად რეციპიენტების არასრული გასუფთავება. უარყოფით მხარეებვე შეიძლება ჩაითვალოს ასევე ის, რომ

საბერველის ამძრავი ბერკეტის ბოლო და საკონვენციო ლენტის ქვედა შემონაფენი უშალო ურთიერთკავშირშია, რაც იწვევს ლენტის დამატებით ცვეთას.

ვაკუუმ-დოლის ერთ-ერთ კონსტრუქციაში (**ნახ. 33** ს.მ. № 543573) ლენტის ქვეშ ამძრავის საკონტაქტო ზაღაპირზე გაუხშოება იქმნება კონსტრუქციული ელემენტების ლენტის ქვედა შემონაფენთან ურთიერთქმედების შედეგად. კონსტრუქციულ ელემენტებში შედის დოლის რკალის ნახვრეტებში ჩასმული რადიალური მიმართულებით (ლენტის ქვედა შემონაფენის ან ზამბარის მოქმედების შედეგად) მოძრავი ღეროები, რომელთა ერთ - დოლის ზედაპირზე გამომავალ მხარეს დამაგრებულია სფერული თასისმაგვარი ელესტიკური ელემენტები, დია პირით ლენტის ქვედა შემონაფენისაკენ, ხოლო მეორე მხარეს გათვალისწინებულია ზამბარები და ქანჩები, რომელთა საშუალებითაც ხორციელდება დეროს სვლის სიდიდის რეგულირება და მისი უკუსვლა.

ბრუნვის დროს დოლის შიგნით მოცულობაში ლილვზე საკისრებით უძრავად დამაგრებული ცილინდრული კორპუსისა და ლენტის სწრაფობის ზონაში მასზე დასმული რეგულირებადი მუშტანების საშუალებით ხორციელდება ელასტიკური ელემენტების რადიალურად ზევით გადაადგილება და ვაკუუმის შექმნა. როგორც **3.3 ნახაზის** აღწერილობიდან ჩანს, დოლის კონსტრუქცია საქმაოდ რთული და არატექნოლოგიურია, ხოლო ამ კონსტრუქციით შექმნილი და საკონტაქტო ზედაპირების ურთიერთქმედების მთვლი პერიოდის მანძილზე შენარჩუნებულმა ვაკუუმის სიდიდემ (დრეკადი სრიალის რკალზე ხდება რგოლური ჭვრიტის ჰერმეტიზაციის რღვევა დრეკადი სრიალის უცილობელი არსებობის გამო) საეჭვოა, რომ გამოიწვიოს წევის ძალების მნიშვნელოვანი ნაზარდი.

3.4 ნახაზზე ს.მ.№ 753727 მიხედვით წარმოდგენილია ვაკუუმ-დოლის გრძივი ჭრილი. საავტორო მოწმობის მიხედვით დოლის გრძივ დარებში გაუხშოება იქმნება პერიფერიული ხერეტების ქვეშ განლაგებული ცილინდრებისა და დგუშების საშუალებით, ამასთან რადიალურად განლაგებულ ცილინდრებში დგუშები უგუცევით-წინსვლით მოძრაობებს ასრულებს ზამბარული და მუშტა მექანიზმების კომპლექტების მეშვეობით. მას შემდეგ, რაც გრძივი დარი დაიფარება ლენტით, მამოძრავებელი მექანიზმების კონსტრუქცია ლენტის სწრაფობის წერტილში უზრუნველყოფს დგეუშების მაქსიმალურ სვლას და, მაშასადამე, მაქსიმალური სიდიდის ვაკუუმის შექმნას, რაც აგტორთა შეხედულებით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კონსტრუქციული დირსებაა. ჩვენი მხრიდან კი უნდა აღვნიშნოთ, რომ კონსტრუქციაში შემცირებული ვაკუუმის საკომპენსაციო მექანიზმის უქონლობა და გრძივი დარებიდან პაერის პერიფერიული გაწოვა ამცირებს მექანიზმის საიმედო და უმტკუნო მუშაობის უნარს.

ნახ. (3.5.) წარმოდგენილ ტულის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტორთა ჯგუფის საავტორო მოწმობის № 967896 თანახმად, გრძივი დარებიდან პაერის გაწოვა ხორციელდება დოლის ცენტრალურ წრეხაზზე განლაგებული ნახვრეტების საშუალებით, ამით გაუმჯობესებულია ე.წ. პირობითი რგოლური ჭვრიტეს ჰერმეტიზაცია. გრძივ დარებში ლენტის ქვეშ გაიშვიათება ხდება № 475323 საავტორო მოწმობაში აღწერილი სამჭედლო

საბერვლის ტიპის მექანიზმების საშუალებით, იმ განსხვავებით, რომ აქ ვაკუუმის შემქმნელი მექანიზმის უკუჭცევით-წინსვლითი მოძრაობა ხორციელდება იძულების წესით, ამასთან მხოლოდ დოლის ორივე მხარეს განლაგებული მუშტა მექანიზმების საშუალებით. აღნიშნული ვაკუუმური მექანიზმის დადგებით მხარედ უნდა ჩაითვალოს ვაკუუმის საკომპენსაციო მექნიზმის შექმნის შესაძლებლობაც. ავტორთა აზრით აწყობის თვალსაზრისით კონსტრუქცია უფრო ტექნოლოგიურია, ვინაიდან ვაკუუმური მექანიზმები დამონტაჟებულია დოლის ტორსულ ბადროებზე, მოსახსნელი რკალების ქვეშ; შესაძლებელია მაქსიმალური ვაკუუმის შექმნა და ვაკუუმური არხების გასუფთავებაც. ავტორების ეს დასკვნა ეჭვს იწვევს, ვინაიდან ვაკუუმის მექანიზმები მოქმედებეს ცალ მხარეს და პერიფერიული ტორსული ბადროების დემონტაჟის ფარეშე მათთან მიღდომა შეუძლებელია. გარდა ამისა, ვაკუუმ-მექანიზმებს აქვს დიდი საწყისი მოცულობის მქონე რეციპიენტები, ხოლო ვაკუუმ-მექანიზმის კონსტრუქციის სპეციფიკურობის გამო კოჭის სვლაც შეზღუდულია.

რაც შეეხება ამ კონსტრუქციის პრაქტიკულ რეალიზაციას, ის დამოკიდებულია ვაკუუმ- დოლის ელემენტთა საკომპოზიციო მასალების შერჩევასა და შექმნილი ვაკუუმის სიდიდეზე, რომელიც ზემოაღნიშნული ნაკლოვანენბების გამო არცთუ ისე დიდი იქნება.

№ 475323 საავტორო მოწმობის (**იბ. ნახ. 3.2.**) ავტორებმა, ვაკუუმ-მექანიზმების მამოძრავებელი ბერკეტული სისტემის გამარტივების მიზნით შექმნეს ახალი, სრულიად განსხვავებული კონსტრუქციის ვაკუუმ-დოლი (ს.მ. №823238), რომელიც წარმოდგენილია **ნახაზზე 3.6.** აქ ელასტიკური საკნები, რომელთა მოცულობის გაზრდით იქმნება ვაკუუმი, მოცულობას ცვლიან ელექტრომაგნიტების საშუალებით, რომლებიც უშუალოდ მოქმედებენ ელასტიკური საკნის ფერომაგნიტური თვისებების მქონე ფსკერზე. ფსკერის უკუსვლა აქაც ზამბარების საშუალებით ხორციელდება.

აღნიშნულ კონსტრუქციაში, ავტორებმა, მართალია გააუმჯობესეს ვაკუუმ-მექანიზმის ამძრავი მოწყობილობა, მაგრამ უარყოფით მხარეედ რჩება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა დიდი საწყისი მოცულობა, ვაკუუმის მაკომპენსირებელი მექანიზმების უქონლობა და ვაკუუმ-არხების თვითგაწმენდის შეუძლებლობა.

ავმ დოლების დამახასიათებელ კონსტრუქციათა განხილვის საფუძველზე და ავტორთა სხვა მრავალი მოსაზრების მიხედვით შეიძლება გაკეთდეს შემდეგი წინასწარი დასკვნები:

1. ლენტის გამოყენების ვადის გაზრდის მიზნით უმჯობესია, გრძივდარებიანი ან პერფორირებული ზედაპირის მქონე ვაკუუმ-დოლის ლენტი ქვედა შემონაფენით უშუალოდ ეხებოდეს, სხვა ელემენტებთან (ბერკეტები, სფერული ელასტიკური ელემენტები და ა.შ.) ურთიერთკონტაქტის გარეშე;

2. კონსტრუქციაში ვაკუუმ-მექანიზმის ნორმალური მუშაობის აუცილებელი პირობაა გაუხშოების მაკომპენსირებელი მექანიზმის არსებობა;

3. კომპაქტური ამძრავის შექმნის წინაპირობაა აგვ დოლების რეციპიენტების მცირე საწყისი მოცულობა;

4. როლური ჭვრიტის პერმეტიზაციის თვალსაზრისით უმჯობესია რეციპიენტების მოცულობათა გაუხმოება ცენტრალური გაწოვით;

5. რეციპიენტებში გაუხმოების შექმნა უმჯობესია განხორციელდეს უკუმშველი (წვეთოვანი) სითხის საშუალებით, რისთვისაც დოლის საკონტაქტო ზედაპირს სითხე გამუდმებით უნდა მიეწოდოს წვეთოვანი სახით;

6. გრძივდარებიანი საკონტაქტო ზედაპირების გამოყენება მაქსიმალურად უნდა შეიზღუდოს და გამოყენებულ იქნეს უკიდურეს შემთხვევაში;

7. დაცული უნდა იქნეს აქამდე ჩამოყალიბებული ყველა მოთხოვნა (იხ. გვ. 7. მეცნიერული დებულებები ხასუნის კვანძების კონსტრუქციებისა და ვაკუუმის ჰიგიენისადმი მოთხოვნების შესახებ).

ზემოაღნიშნული წინასწარი დასკვნების გათვალისწინებისა და ზოგიერთი დეტალის კონსტრუქციის ტექნოლოგიურობის წინასწარი პრაქტიკული მოსინჯვის შემდეგ ავტორთა მიერ შეიქმნა აგვ ტიპის ვაკუუმ-დოლის კონსტრუქციები, ს.მ. №543574 და ს.მ. №676506, რომლებიც წარმოდგენილია ნახ. 3.7. და 3.8.

ამ კონსტრუქციაში, როგორც ნახაზებიდან ჩანს, რეციპიენტებში გაუხმოება ხორციელდება დგუშიანი და მუშტამექანიზმის საშუალებით, ხოლო ნახ. 3.8.-ზე ნაჩვენები კონსტრუქცია დამატებით აღჭურვილია 9 ფრენევანით (საქშენით), რომლის საშუალებითაც ამძრავის საკონტაქტო ზედაპირს მიეწოდება სითხე. ამით იზრდება რგოლურ ჭვრიტები პერმეტიულობა და მცირდება რეციპიენტების საწყისი მოცულობა, ვინაიდან მის უდიდიეს ნაწილს იჭერს ფრენევანით (საქშენით) მიწოდებული სითხე. შემდგომში დგუშების პერიფერიულისაკენ გადაადგილებისას საკონტაქტო ზედაპირებიდან და რეციპიენტებიდან გაიწოვება არა პაერი (როგორც ეს ხორციელდება ყველა სხვა ვაკუუმ დოლებში), არამედ უკუმშველი სითხე (მაგალითად წყალი).

2. ვაკუუმ-ამძრავის ავტონომიურ ვაკუუმურმექანიზმებიანი (ავმ) ვაკუუმ-დოლის კონსტრუქციული სქემების დამუშავება და კვლევა

2.1. ტექნიკური მოთხოვნები ვაკუუმ-ამძრავების მიმართ

ვაკუუმ-ამძრავების ხახუნის კვანძები წარმოდგენილია სხვადასხვა კომპოზიციური მასალების კონსტრუქციული გადაწყვეტების სახით. ამ კვანძების საკონტაქტო, ერთმანეთის მიმართ გადაადგილებადი ზედაპირებით ხდება არხებსა (რეციპიენტებსა) და რგოლურ ჭვრიტებში ვაკუუმის შექმნაც და გარკვეული პერიოდით მისი შენარჩუნებაც-დღემდე ცნობილ ვაკუუმ-ამძრავებში შეიძლება გამოიყოს ხახუნის სამი ძირითადი კვანძი:

1. ნებისმიერი კონსტრუქციის კოლექტორი, რომლითაც ხდება ვაკუუმის გარე წყაროსთან ვაკუუმ-ამძრავის მუშა რეციპიენტების დაკავშირება;

2. ამძრავისა და ლენტის საკონტაქტო ზედაპირებით შექმნილი რგოლური ჭვრიტე, რომლითაც ხდება წევის ძალების რეალიზაცია. ამ კვანძში რგოლური ჭვრიტის დოლისეულ ზედაპირებში წარმოდგენილია (განხილული გვაქვს) ყველა ცნობილი საკონტაქტო ზედაპირის კონსტრუქცია [1], მათ შორის ჩვენ მიერ შემოთავაზებული – გრძივდარიანიც წრიული ამონაჩარხებით. [2].

3. ცილინდრ-დგუშიანი ავმ (აპტომატური ვაკუუმური მექანიზმი), რომლითაც დოლის ბრუნვის თანხვდენილად, დგუშების უკუქცევით-წინსვლითი მოძრაობით მარტივი ვაკუუმ-არხებისა და ნახევრების საშუალებით, რგოლურ ჭვრიტეში გაუხმოება იქმნება [3].

მიუხედავად წინამორბედ მკვლევართა (ა.ვ. ეგნევიჩი, კ.ა. ვასილევი, ი.ბ. ვოლჩეკი, ვოკუანგ-ფენი, დ.ა. იუნგმეისტერი, რ.ნ. მოლოდინი. და სხვ.) მიერ მიღებული მაღალი ტექნიკური მაჩვევენებლებისა, ვაკუუმ-ამძრავები საჭიროებს კონსტრუქციისა და ვაკუუმის შექმნის ტექნოლოგიური პროცესის შემდგომ სრულყოფას. განსაკუთრებით ეს ეხება ვაკუუმ-დოლებს, რომელთა რგოლურ ჭვრიტეში, ლენტის ქვეშ ვაკუუმის შექმნის ტექნოლოგიური პროცესი მიმდინარეობს ვაკუუმ-ტუმბოზე მიერთებული განაპირა განლაგების, კოლექტორისა და რთული პროფილის გრძელი ლაბირინთული არხების (რეციპიენტების) საშუალებით. მათი უარყოფითი მხარეები და ის პრობლემური ამოცანები, რის გამოც უმჯობესია ამგვარ კონსტრუქციაზე უარი განვაცხადოთ, კრცლადაა წარმოდგენილი [4] ნაშრომში. ვითვალისწინებოთ რა ჩვენ მიერ ჩატარებული საპატენტო და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ანალიზის შედეგებს, მიზანშეწონილად მიღვაჩნია, ვაკუუმ-ამძრავის საკონტაქტო ზედაპირების კონსტრუქციისა და ოპტიმალური პარამეტრების დამუშავება-გაანგარიშებისას გავითვალისწინოთ შემდეგი ტექნიკური მოთხოვნები:

1. ვაკუუმ-ამძრავის საკონვეირო ლენტან საკონტაქტო რგოლურ ჭვრიტეში ვაკუუმის ფორმირება უმჯობესია განხორციელდეს აპტომომიზრი ვაკუუმური

მექანიზმებით (ამ), რომლებიც (რომელთა დგუშისეული სივრცე) საკონტაქტო ზედაპირის ვაკუუმ-არხებთან დაკაგშირებული იქნება ექსპლუატაციისა და რემონტისათვის მოხერხებული და მარტივი კვანძების საშუალებით;

2. ამძრავი ვაკუუმ-დოლის მარგი ქმნების კოეფიციენტის გაზრდის მიზნით, აუცილებელია საკონტაქტო რგოლურ ჭრიიტები ვაკუუმი იქმნებოდეს ავთ-ის პიდროდინამიკურ რეჟიმში მუშაობის უზრუნველყოფით;

3. ხახუნის პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია მექანიკური ურთიერთქმედების ბუნება, ამიტომ საკონტაქტო ზედაპირების კონსტრუირება-დამუშავებისას აუცილებელია, გათვალისწინებულ იქნება რგოლური ჭრიიტების წარმომქმნელი ზედაპირების (ლენტი – ამძრავი დოლი) სიმქისის ისეთი მნიშვნელობები, რომელთა დროსაც შენარჩუნდება სითხის მოცულობითი თვისებები (იხ. ბ. დერიაგინისა და 6. პეტროვის კვლევების შედეგები [5,6]) და უზრუნველყოფილი იქნება სწრაფი და სრულყოფილი დრენაჟირების პროცესი;

4. თანაბრად განაწილებული გაუხშოების შექმნის უზრუნველყოფისათვის აუცილებელია შემდგენ პირობების დაცვა:

ა) ვაკუუმ-ტუმბოს მოქმედების სისწრაფე (S_δ) უნდა ეთანადებოდეს ამძრავის საკონტაქტო ზედაპირებს შორის რგოლური ჭრიიტების სითხის (წვეთოვანის, გაზისებრის) სრულფასოვანი დრენაჟირების (გაწოვის) ანუ ობიექტის ეფექტური ამოტუმბვის სისწრაფის ($S_{\text{ფ}}$) უზრუნველყოფას;

ბ) ვაკუუმის წყაროსა და ამძრავის რგოლური ჭრიიტების შემაერთებელი კვანძის (უმჯობესია იყოს ნახვრეტი და არა რთული ლაბირინთული რეციპიენტი) გამტარობა (U) უნდა უზრუნველყოფდეს ვაკუუმის შექმნელი მექანიზმის გამოყენების კოეფიციენტის (K_δ)-ს დაახლოებით ერთთან ტოლობას, ე.ი. $K_\delta=S_{\text{ფ}}/S_\delta \approx 1$ ანუ $K_\delta=U/(U+S_\delta) \approx 1$ რაც ამძრავის კვლევისა და დაპროექტების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა;

გ) ამძრავის რგოლური ჭრიიტების სითხის (წვეთოვანის, გაზობრივის) მყისიერად გამწოვი მექანიზმის (ვაკუუმ-მექანიზმის, ვაკუუმ-ტუმბოს კოლექტორის) ვაკუუმური სისტემის ჰერმეტიზაცია უნდა იყოს რგოლური ჭრიიტების ჰერმეტიზაციაზე სრულყოფილი, ამასთან ამძრავის საკონტაქტო ზედაპირების პარამეტრები უზრუნველყოფდეს გარემოდან რგოლურ ჭრიიტების სითხის მინიმალურ შეწოვას;

დ) ტუმბოს მოქმედების სისწრაფე (S_δ), ობიექტის ეფექტური ამოტუმბვის სისწრაფე ($S_{\text{ფ}}$) და მათი შემაერთებელი ნახვრეტის გამტარობა (U), უნდა განიხილებოდეს ამძრავისა და ტვირთმზიდი ლენტის შესაბამისი კუთხური და საზოვანი სიჩქარეების გათვალისწინებით;

5. გრძელდგარიანი საკონვეირო დანადგარების სათავის, კუდისა და შუალედური ამძრავების დამუშავებისას, უმჯობესია გათვალისწინებულ იქნება ერთგვაროვანი ელემენტებისაგან შედგენილი ანაკრეფი მწევი ბტყელა (საკონტაქტო ზედაპირი), რაც

უზრუნველყოფს უნიფიკაციის მაღალ დონეს და უფრო მოხერხებულს გახდის აქტუალურისა და რემონტის პროცესს;

6. ვაკუუმ-ამძრავის საკონტაქტო ზედაპირის კონსტრუქცია უნდა უზრუნველყოფდეს რგოლური ჰერიტეს ჰერმეტიზაციის აუცილებელ პირობებს: **ავთ-ების ურთიერთდამოუკოდებელ მუშაობას** (არ უნდა ხდებოდეს მეზობელი რეციპიენტებიდან სითხის გაწოვა) და ლენტის ნაპირებიდან სითხის (ჰაერის) შეუდწევადობას;

7. ამძრავის ვაკუუმური რეციპიენტების გარე და შიგა მოცულობათა სიდიდე უნდა უზრუნველყოფდეს ვაკუუმის შემქმნელი მექანიზმების ოპტიმალურ რეჟიმში მუშაობას;

8. საკონტაქტო ზედაპირის გეომეტრიული პარამეტრების შერჩევა-გაანგარიშება უნდა მოხდეს ამძრავის (საკონვეიერო ლენტის) კუთხური სიჩქარის გათვალისწინებით;

9. **ავთ-ებიანი ვაკუუმ-დოლის დგუშების** (პლუნჯერების და ა.შ.) უკუქცევით-წინსვლითი მოძრაობის უზრუნველყოფი მუშტა მექანიზმების პროფილის გათვლა აუცილებლად უნდა მოხდეს ეწ. “შედარებითი სიმშვიდის” რკალის კონკრეტული პირობებისათვის დასაშვებ საზღვრებში;

10. საერთოდ ყველა დანარჩენი (მე-9 პუნქტის გარდა) ტიპის ვაკუუმ-ამძრავების რეციპიენტებსა და მის მიმდებარე საკონტაქტო ზედაპირების შესაბამის ნაწილზე, ვაკუუმის პროგრამული მნიშვნელობის ფორმირება უნდა დასრულდეს კოლექტორების (წრიული, წრფივი) ვაკუუმური საკნის საშუალებით ა.შ. – “შედარებითი სიმშვიდის” რკალის ფარგლებში;

11. საკონტაქტო ზედაპირების ოპტიმიზაციის მიღწევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა ამძრავის განხილვა ლენტური საკისრის რანგში ამასთან, **ავთ-ის დგუშისეული სივრცის ზედაპირთან შემაერთებელი ცენტრალური ნახვრების შერჩევი** დიამეტრი უნდა უზრუნველყოფდეს სითხის ნაკადის უწყვეტად გადადინებას ვაკუუმ-სისტემის რეციპიენტებში – საკონტაქტო ზედაპირზე განლაგებული გარე მოცულობებიდან (დარებიდან, პერფორაციებიდან და ა.შ.) ვაკუუმის შემქმნელი მექანიზმის მუშა მოცულობამდე (მაგალითად დგუშისეულ სივრცემდე).

საკონტაქტო ზედაპირებისა და მთლიანად ვაკუუმ-ამძრავის კონსტრუქციისათვის წაყენებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნაა ამძრავი სადგურის დაშლა-აწყობისას მისი თითოეული კვანძისა (ცოლექტორიან ვაკუუმ-დოლებში იგი წარმოადგენს საკმარისად გრძელ და რთულ ლაბირინთულ რეციპიენტებს-ვაკუუმ-არხებს) და შემადგენელი ნაწილის ადვილი მისადგომობა, კომპაქტურობა, სარემონტოდ ვარგისიანობა, ხანგამძლეობა და ა.შ.

2.2. ავმ ტიპის ვაკუუმ-ამძრავი საკონტაქტო ზედაპირიდან სითხის ცენტრალური გაწოვით

ვაკუუმის ცნება, ფიზიკასა და ტექნიკაში განისაზღვრება, როგორც სითხეების (გაზისებრის, წვეთოვანის) მდგომარეობა ატმოსფერულზე გაცილებით დაბალი წნევის პირობებში, ე.ი. ვაკუუმი რაოდენობრივად განისაზღვრება სითხის აბსოლუტური წნევით. ვაკუუმის ფიზიკაში გამოყენებული ძირითადი პოსტულატები ჩამოყალიბებულია შემდეგი სახით:

1. სითხეები შედგება ცალკეული მოლეკულებისაგან;
2. არსებობს სიჩქარის მიხედვით სითხის მოლეკულების მუდმივი განაწილება ანუ მოლეკულების ერთნაირ რიცხვს ყოველთვის ერთი და იგივე სიჩქარე აქვს;
3. სითხეების მოლეკულების მოძრაობისას არ არსებობს უპირატესი მიმართულება ანუ სითხის მოლეკულების სივრცე იზოტროპიულია;
4. სითხის ტემპერატურა არის მისი მოლეკულების საშუალო კინეტიკური ენერგიის განმსაზღვრელი პარამეტრი;
5. მყარი ტანის ზედაპირთან ურთიერთქმედებისას სითხის მოლეკულა ადსორბციონდება.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ვაკუუმში მიმდინარე მრავალი ფიზიკური პროცესი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული რეციპიენტების კედლებზე მოლეკულების დაჯახებათა საშუალო რიცხვისა (K_d) და მოლეკულების ურთიერთდაჯახებათა რიცხვის (K_a) ფარდობაზე – $K_d = K_a/K_a$, სადაც K_d არის კნუდსენის კრიტერიუმის უგანზომილებო კოეფიციენტი, რომლის მიხედვით განისაზღვრება ვაკუუმის ხარისხი: დაბალი, საშუალო, მაღალი და ზემაღალი.

დაბალი ვაკუუმის დროს $K_d \ll 1$, მოლეკულების რეციპიენტის კედლებისა და დაჯახებისას განვლილი მანძილი (L) ვაკუუმ-კამერის რაციონალურ ზომაზე ($d_{\text{შვ}}$) მნიშვნელოვნად მცირეა.

საშუალო ვაკუუმი არის სითხის მდგომარეობა, რომლის დროსაც მოლეკულების ურთიერთდაჯახებათა რიცხვი და რეციპიენტების კედლებთან მოლეკულების დაჯახებათა რიცხვი ერთნაირია, ამ დროს $L \approx d_{\text{შვ}}$, ხოლო $K_d \approx 1$.

მაღალი და ზემაღალი ვაკუუმისას ანუ პირობისათვის, როდესაც $K_d \gg 1$ და $L/d_{\text{შვ}} \gg 1$, საკმარისია აბსოლუტური წნევის მნიშვნელობა p_3 იყოს არაუმეტეს 10^{-9} პა-ისა.

ამგარად, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ვაკუუმ-ამძრავებში შექმნილი ვაკუუმი დაბალი და საშუალო ხარისხის ფარგლებშია კნუდსენის კრიტერიუმის მიხედვით და ვაკუუმით მიღებული დოლზე ლენტის მიჭრის კუთრი ძალა $(0,1-0,95) \times 10^5$ პასკალის ფარგლებშია მოქცეული.

ვაკუუმ-ამძრავების თეორიის კვლევით სამუშაოებში [1, 2, 3] საკონტაქტო რგოლურ ჭვრიტებში ვაკუუმის თანაბარი განაწილება გათვალისწინებულია დოლის როგორც განივი, ასევე წრიული მიმართულებით. თუმცა, შრომებში [3, 4] ხაზგასმითაა მითითებული ლენტისა და ვაკუუმ-დოლის საკონტაქტო ზედაპირების „ელასტიკურ

კბილანურ მოდებაზე“, რაც ეწინააღმდეგება ვაკუუმის თანაბარი განაწილების პირობას. ამგარად, აღნიშნულ შრომებში გაკუუმის თანაბრად განაწილების იდეა არავითარ მამტკიცებელ დებულებებს არ შეიცავს, პირიქით, „ელასტიკური კბილანური მოდებით“ უფრო მეტ წინააღმდეგობაში ვარდება.

პერფორირებულ საკონტაქტო ედაპირიანი ვაკუუმ-დოლის კლევებში [2] მითითებულია წინამორბედ მკვლევართა უზუსტობები, რომლებიც ოთხ პუნქტადაა ჩამოყალიბებული [2]. სამუშაოს მიზნია ვაკუუმ-დოლის რეციპიენტებში სითხის მოლექულების მოძრაობის წინააღმდეგობის თეორიული შესწავლით საკონტაქტო რგოლურ ჭვრიტებით თეორიული ვაკუუმის განსაზღვრა და შემდგომ მისი ექსპერიმენტის გზით შემოწმება. წარმოდგენილია ვაკუუმ-დოლის სისტემაში ნარჩენი წნევის ცვლილების განმსაზღვრელი ფორმულები: პაერის ტურბულენტური მოძრაობისას მართვულთხა ფორმის გრძივი დარებისათვის, წრიული კვეთის რეციპიენტებისათვის, საკონტაქტო რგოლურ ჭვრიტები ვაკუუმ-დოლის პერფორაციების ირგვლივ და შემოთავაზებულია გასაშუალოებულ თეორიულ წნევათა სხვაობის განმსაზღვრელი ფორმულა, რომლითაც დოლის ზედაპირს აწვება ლენტი. მიღებული ნორმალური ძალების საფუძველზე განსაზღვრულია ამძრავი ვაკუუმ-დოლის წევითი შესაძლებლობა (W₀) და მოცემულია ფორმულა პაერის პოლიტროპული პროცესით გაფართოებაზე მომუშავე ვაკუუმ-ტუმბოს მწარმოებლურობის (Q) განსაზღვრისათვის:

$$W_0 = S_B(e^{f_\alpha} - 1) + K_1 K_3 [0.8 K_2 R \alpha' B + m n F_1 (1 - K_2)] (e^{f_\alpha} - 1) / 736 \alpha';$$

$$Q = 60 K_{\varrho} (V_{\text{არხ}} \alpha' + V_{\text{ქოლ}} \alpha'') \times 2.31 g P_b / P_d / R \alpha'' t,$$

სადაც **K₁** არის კოეფიციენტი, რომელიც ახასიათებს წნევის ცვალებადობას ვაკუუმ-დოლის ვაკუუმ-სისტემის შემავალ მილტუჩისა და მისი საკონტაქტო ზედაპირის პერფორაციას შორის; **K₂** – კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს რგოლური ჭვრიტეს ნებისმიერ წერტილში ვაკუუმის ვარდნისას ვაკუუმის განვითარების ზონის ცენტრიდან (პერფორაციიდან) ამ წერტილის დაშორების შესაბამისად; **P₃** – ვაკუუმმეტრის ჩვენება, მმ ვერცხლის წყ. სგ; **R** – ამძრავი ვაკუუმ-დოლის რადიუსი, სმ; **m** – პერფორაციის რიცხვი მსახველის გასწვრივ რეციპიენტებზე; **n** – რეციპიენტების რიცხვი რგოლურ ჭვრიტეში; **α'** – რგოლურ ჭვრიტეში ცენტრალური კუთხე, რომელზეც იქმნება ვაკუუმი, გრადუსი, **α''** – ბიჯი ვაკუუმ-დოლის ორ მეზობელ რეციპიენტებს შორის; **F₁** – პერფორაციის ფართობი, სმ²; **B** – ლენტის სიგანე, სმ; **K_ρ** – კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს, რგოლური ჭვრიტედან და ვაკუუმ-სისტემის სხვა დრენირებიდან შეწოვილი პაერის რაოდენობას; **V_{არხ}** – ერთი დარის ერთეულოვანი ვაკუუმ-სისტემის, – რეციპიენტის მოცულობა, სმ³; **V_{ქოლ}** – კოლექტორის საკის მოცულობა, სმ³; **R** – პოლიტროპიის მაჩვენებელი; **t** – ამოტუმბვის დრო, წმ; **P_b** და **P_d** – ამძრავი ვაკუუმ-დოლის რეციპიენტებში საწყისი და საბოლოო წნევები, პა.

ექსპერიმეტულ ნაწილში პერფორაციებს შორის საკონტაქტო ზედაპირზე ვაკუუმი იზომებოდა ზონდირებით და მიღებული შედეგი ედარებოდა კოლექტორის წინ ვაკუუმ-

ტუმბოს ქსელში ჩართული ვაკუუმმეტრის ჩვენებას. ექსპერიმენტები ტარდებოდა სხვადასხვა სიდიდის ვაკუუმისა და საკონვეიურო ლენტის დაჭიმულობისას, აგრეთვე მშრალი და სველი საკონტაქტო რგოლური ჭვრიტეს შემთხვევებისათვის. დაკვირვებები მიმდინარეობდა გავლენაზე, რომელსაც ახდენდა ლენტის სიხისტე და დაჭიმულობა თანაბრადგანაწილებული ვაკუუმის ფორმირებაზე. თეორიული და ექსპერიმენტული შედეგების ანალიზის საფუძველზე გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები.

საკონტაქტო ზედაპირის კონფიგურაცია და მისი პარამეტრები განსაზღვრულია მხოლოდ ამძრავის კონსტრუქციული (კოლექტორის საკის ზომები, რეციპიენტის ბიჯი და ა.შ.) შესრულების მოსაზრებით, სადაც არ ფიგურირებს ისეთი აუცილებელი პარამეტრები, როგორებიცაა: დოლის ბრუნვის სიხშირე, კოლექტორული რგოლის პერმეტიზაციის ხარისხი, ვაკუუმ-ტუმბოს გარე ქსელისა და საკუთრივ ვაკუუმ-დოლის რეციპიენტების ჰაერის გამტარუნარიანობა. ნაშრომში [2] წარმოდგენილი $\text{VR}=55\times10^{-3}$ სმ სისქის რგოლური ჭვრიტეს შემთხვევაშიც კი კოლექტორული რგოლის ღრებოს (ლითონი-ლითონთან) ჰიდრავლიკური წინაღობა გაცილებით მცირე იქნება ამძრავის საკონტაქტო რგოლური ჭვრიტეს წინაღობასთან შედარებით, რაც საგრძნობლად გაზრდის $K_{\text{დ}}$ -კოეფიციენტს (იხ. ვაკუუმ-ტუმბოს მწარმოებლურობის გამოსახულება) და არარაციონალურს გახდის კონსტრუქციას. დასკვნებში ნათქვამია, რომ სველი რგოლური ჭვრიტეს შემთხვევაში უმჯობესდება ვაკუუმ-დოლისა და ლენტის ჩაჭიდულობის პირობა, ვაკუუმის ზონის პერმეტიზების დონის ამაღლების ხარჯზე. ჩვენი მოსაზრებები ამ საკითხზე სრულად ემთხვევა ხახუნის კლასიკურ თეორიას და განხილულიც გვაქვს თანაბარგანაწილებული ვაკუუმის შექმნის უზრუნველყოფის აუცილებელ პირობებში.

ვაკუუმ-ამძრავების რგოლურ ჭვრიტეებსა და ფრიქციულ საკონტაქტო ფართობებზე ვაკუუმის ფორმირების პროცესის აღწერის შესახებ (მიძღვნილ) შრომებში [5-9] გამოყენებულია რეინოლდსის, პრანდტლის და ნუსსელტის კრიტერიუმები [9], ხოლო ლაბორატორიული ექსპერიმენტებისათვის სტატიკურ რეჟიმში ტარდებოდა ვაკუუმის სიდიდის გაზომვა პერფორაციებში ზონდირებით, გრძივ ღარებში მათ შორის საკონტაქტო ფართობებზე, რაც არ შეესაბამება ვაკუუმის მყისიერად ფორმირების რეალურ სურათს.

ვაკუუმ-ტუმბოს თეორიული მწარმოებლურობის განმსაზღვრელი ფორმულა წარმოდგენილია ვაკუუმ-არხებში (რეციპიენტებში - მიღსადენებში) სითხის მოძრაობის წინააღმდეგობის გაუთვალისწინებლად და აქვს სახე [7] :

$$Q = \frac{V}{t_0} \ln \frac{P_1}{P_2},$$

სადაც V არის გასაუხმოებელი (რგოლური ჭვრიტეს, რეციპიენტების, კოლექტორის) მოცულობა; t_0 - გასაუხმოებელი მოცულობიდან ამოტუმბვის დრო (არამოძრავი რეციპიენტის კოლექტორის საკანში ყოფნის დრო ($t_0=L_{\text{ს.ფ}}/v$), სადაც $L_{\text{ს.ფ.}}$ - შეალები ამძრავის სიგრძეა, სმ; v - ამძრავის ბრტყელას მოძრაობის სიჩქარე, მ/წმ; P_1 და P_2 - აპარატში შესაბამისად საწყისი და საბოლოო წნევები, პა.

ამ შრომების ნაკლოვან მსარეებს შეიძლება მიეკუთვნოს იგივე, რაზეც მსჯელობაა შრომის [2] ანალიზისას.

მიუხედავად მე-[10] ნაშრომში განხილული თეორიული და ექსპერიმეტული კვლევებისა, რომელიც მიეძღვნა საკონტაქტო რგოლურ ჭვრიტეში მიმდინარე პროცესებს, მცირე კურადღება აქვს დათმობილი ავტონომიურ ვაკუუმურ-მექანიზმებიანი (აგმ) ამძრავების საკონტაქტო ზედაპირების მთელ ფართობზე ვაკუუმის გავრცელების ხასიათის თეორიულ შესწავლას. იქვე მითითებულია, რომ ვაკუუმი მთელ საკონტაქტო ზედაპირზე თანაბრად ვრცელდება იმის გამო, რომ ზედაპირების მაკრომოცულობები და ვაკუუმარხები შევსებულია – დასველებულია სითხით, რომლის გაწოვით ხდება ვაკუუმის შექმნა რგოლური ჭვრიტეს მთელ ფართობზე. მტკიცება სარწმუნოა, და მაინც, ვაკუუმის გავრცელების სიჩქარისა და ხასიათის თეორიული შესწავლა ამ შემთხვევაშიც აქტუალურია და კვლევის საინტერესო ამოცანად მიიჩნევა. ჩვენი აზრით, მხოლოდ ამ ამოცანის სრულფასოვანი გადაწყვეტა მოგვცემს ვაკუუმამძრავების საკონტაქტო ზედაპირების ოპტიმალური პარამეტრების განსაზღვრის სრულყოფილ მეთოდიკას. ნაშრომში [10] წარმოდგენილია ზოგადი დასკვნები : 1) ახალი მეთოდით ვაკუუმის შექმნის; 2) ცენტრალური გაწოვის მარტივრეციპიენტებიანი აგმ-იანი ამძრავის უპირატესობის; 3) ვაკუუმის ფორმირების ზონად “შედარებითი სიმშვიდის რკალის” აღიარება; 4) ვაკუუმამძრავების გამოყენების ეფექტურ ზონად **S_b≤2pRB** – პროგრამული (ლენტის საწყისი) დაჭიმულობის მიჩნევაის; 5) “დრეკადი სრიალის რკალზე” მყისიერი “საშუალო” სიდიდის ვაკუუმის შენარჩუნებით, ამძრავისათვის შესაძლებელი ყველაზე დიდი წევითი თვისებების უზრუნველყოფაისა და 6) ვაკუუმ-ამძრავის დახასიათებელი საკუთარი წევის ფაქტორების შესახებ – **S_b/pRB** სავსებით მისაღებია და მათი გათვალისწინებით ვირჩევთ თეორიული და ექსპერიმენტული კვლევის შემდგომ ეტაპს. ამ ეტაპზე ძირითადი მიზანია ვაკუუმის წყაროსთან და ვაკუუმ-ამძრავთან კომპლექსში საკონტაქტო ზედაპირის რაციონალური კონსტრუქციისა და მისი ოპტიმალური პარამეტრების საანგარიშოდ ისეთი მეთოდების დამუშავება, რომელიც მართებული იქნება ნებისმიერი თანამედროვე სტანდარტული ტიპის საკონვენიერო ამძრავის საანგარიშოდ.

ახალი საკონტაქტო ზედაპირის ყველა პარამეტრის გაანგარიშება და მათი შემდგომი შემოწმება ექვემდებარება შერჩეული ბაზისური ვაკუუმ-დოლის მისადაგებას და შემდეგ მიღებული ახალი, მოდიფიცირებული ამძრავის იტერაციულ გაანგარიშებას, რამაც საშუალება მოგვცა, შეგვექმნა ამძრავის საკონტაქტო ზედაპირის გეომეტრიული ზომებისა და სხვა აუცილებელი პარამეტრების გაანგარიშების მეთოდები.

სპეციალური ლიტერატურული წყაროებისა და საპანტენტო ფონდების მოკვლევისა და გაანალიზების საფუძველზე მიღებული შედეგებიდან **დასკვნების** სახით შეიძლება გამოიყოს ვაკუუმამ-ძრავების კონსტრუირების რამდენიმე ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, ხოლო საკონტაქტო რგოლურ ჭვრიტეში თანაბრად განაწილებული ვაკუუმის მიღებისათვის – **კვლევის შემდგომი ამოცანები.**

დ ა ს პ ვ ნ ე ბ ი:

- ვაკუუმის ფორმირების ერთ-ერთი პერსპექტიული ტექნოლოგიური სქემა არის უმარტივესი რეციპიენტებითა და ავტოს რგოლურ ჭვრიტესთან შემაერთებელი კვანძებით აღჭურვილი ავტონომიური ვაკუუმ-მექანიზმებიანი (ავტ) ვაკუუმ-ამძრავების კონსტრუქ-ციებში მიმდინარე გაუხშოების პროცესი;
- ვაკუუმის შექმნის ეფექტურ (აეფ) ზონად მივიღოთ “შედარებითი სიმშვიდის” რკალი (დგუშის სვლის სიდიდეზე დამოკიდებულებით $\alpha_{\text{ფ}} \approx (0,05-0,2) \cdot \alpha_{\text{გ}}$), ხოლო წევის ძალების რეალიზაციის ეფექტურ საკონტაქტო უბნად – “დრეკადი სრიალის რკალი”, სადაც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს ვაკუუმის პარგვების კომპენსაცია;
- ავტ-იანი ვაკუუმ-დოლის რგოლურ ჭვრიტეში ვაკუუმის ფორმირება და მისი თანაბრად განაწილება უნდა განვიხილოთ კომპლექსურად, ავტ-იანი დოლის ბრუნვის სიხშირისა და დგუშის სვლის სიდიდის გათვალისწინებით;
- ყველა ტექნიკური მოთხოვნა, რომელიც ჩამოყალიბებულია ნაშრომში [10], მიზანშეწონილად მიგვაჩნია ვაკუუმ-ამძრავის კონსტრუირების ნებისმიერი ეტაპისათვის;
- ვაკუუმის შექმნის ყველაზე ხელსაყრელი პირობაა რეციპიენტებში ჩაკეტილი სითხის აღიაბატური ან ჰიპერადიაბატური გაფართოება, რომლის დროს ოპტიმალური სიდიდის ვაკუუმია $P=(0,9-0,95) \cdot 10^5$ პა. ვაკუუმ-ამძრავის საკონტაქტო ზედაპირის კონსტრუქცია უნდა უზრუნველყოფდეს რგოლური ჭვრიტეს პერმეტიზაციის აუცილებელ პირობებს: ავტ-ების ურთიერთდამოუკიდებელ მუშაობას (არ უნდა ხდებოდეს მეზობელი რეციპიენტებიდან სითხის გაწოვა) და ლენტის ნაპირებიდან სითხის (ჰაერის) შეუღწევადობას.

კვლევის შემდგომი ამოცანები:

- კონსტუირების თვალსაზრისით რგოლური ჭვრიტეს საკონტაქტო ზედაპირებზე ხახუნის წყვილში – ლითონი-საკონვეირო ლენტი (ელასტომერი) – ფრიად მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რა პირობებია – მოჭარბებული შეზეთვა თუ მშრალი ხახუნი. შესაბამისად შესწავლილ უნდა იქნეს ჰიდროდინამიკურ, ზღვრულ და დრეკად ჰიდროდინამიკურ რეჟიმებში სითხის (წვეთოვანის ან გაზისებრის) მოძრაობის კანონზომიერება;
- რგოლურ ჭვრიტეში ხახუნის ძალის წარმომშობი მექანიზმი განხილული იქნეს საინჟინრო კვლევისათვის მისაღებ მაკროსკოპულ დონეზე, შედარებით უხეში, მაგრამ სარწმუნო მოდელის საფუძველზე (სიმქისე უნდა გაიზომოს მმ-ში);
- დამუშავდეს მეთოდიკა, რომელიც საშუალებას მოგვცემს, ვიანგარიშოთ საკონტაქტო ზედაპირის ოპტიმალური პარამეტრები: ვაკუუმ-არხების ბიჯი – t , საკონვეირო ლენტის საყრდენი სეგმენტის გრძელება და სიგანე, დარის გრძელება და სიგანე, პერფორაციის a დიამეტრი და A ;;
- მიღებული თეორიული შედეგებისა და მირითადი პარამეტრები შემოწმდეს ლაბორატორიის ფიზიკურ და კომპიუტერულ მოდელზე.

2.3. ვაკუუმ-დოლის წევის ფაქტორზე მუშა განივი კილოების მდებარეობის გავლენის ანალიზური განსაზღვრა

მეცნიერ მკვლევართა [1, 2] და ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაოების მიხედვით მაქსიმალური წევის ძალა მიიღება ვაკუუმის ზონის განლაგებით (მდებარეობისას) შედარებითი სიმშვიდის რგალზე. დრეკადი სრიალის რგალზე მის არსებობას უარყოფენ იმის გამო, რომ “ამ საკონტროლო ზონაში მიმდინარე დრეკადი სრიალის გამო ისედაც დიდია ლენტის ცვეთა” [4]. პეტროვ-ჟუკოვსკის ამოცანის თანახმად წევის ძალების რეალიზაცია ხახუნის ამძრავებში მიმდინარეობს დრეკადი სრიალის ხარჯზე. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ვაკუუმის ზონის ადგილმდებარეობის ასეთი პირობით შეცვლა ვერ შეამცირებს დრეკად სრიალსა და შესაბამისად ლენტის ცვეთას. ამიტომ, ამჯერად კვლევას ვატარებთ მხოლოდ მაღალი წევის ძალის მისაღებად. კოლექტორიანი ვაკუუმ-დოლების შემთხვევაში ამ ამოცანის ექსპერიმენტით შემოწმებას და ასევე ანალიზური წესით განსაზღვრას აზრი არა აქვს, ვინაიდან კოლექტორის ვაკუუმური საკანი ვაკუუმ-დოლის საკონტაქტო ვაკუუმურ ზედაპირს უერთდება დიდი წინაღობის რეციპიენტებით. ამდენად, უფრო მართებულია კვლევები ჩავატაროთ ისეთი კონსტრუქციის ვაკუუმ-დოლისათვის, სადაც მთელი საკონტაქტო ზედაპირის ვაკუუმური ზონა დაყოფილი იქნება ცალკე მომუშავე ვაკუუმურ-ქვეზონებად. ამ მიზნისათვის მიზანშეწონილია **პპ** (ავტონომიურ ვაკუუმურ მექანიზმებიანი) ვაკუუმ-დოლის კვლევა შემდეგი დაშვევების გათვალისწინებით:


1. ამძრავი დოლი არის R - რადიუსიანი იდეალურად წრიული ცილინდრი;
2. ამძრავის ყველა ელემენტი განიხილება, როგორც აბსოლუტურად ხისტი;
3. ჩამოქანების შტოს ლენტის მონაკვეთის წინაღობა გამორიცხულია;
4. ამძრავზე ლენტის შემთხვევის კუთხის საწყისად მიღებულია ჩამოქანების წერტილი (წერტილი A იხ. ნახ. 2.1)

მოქნილი ძაფის ელემენტარული უბნისათვის, როდესაც საკონტაქტო ზედაპირზე ვაკუუმი არ იქმნება, წონასწორობის განტოლებას აქვს ხახე $dS = \mu S d\alpha$

$$\text{ვაკუუმის შემთხვევაში კი გვექნება } dS = \mu(Sd\alpha + pRBd\alpha) \quad (2.1)$$

საიდანაც $dS/d\alpha = S\mu + pRB\mu$;

სადაც S არის საკონვეირო ლენტის დაჭიმულობა; μ – ჩაჭიდულობის (ხახუნის) კოეფი-



ციენტი; p – ვაკუუმის სიდიდე; B – საკონვეირო ლენტის სიგანე;

(2.1) განტოლება არის S -ის მიმართ პირველი რიგის წრფივი არაერთგვაროვანი დიფერენცია-

ლური განტოლება, რომელიც ზოგადად შეგვიძლია ჩავწეროთ ასე:

$$S' = A(\alpha)S + Q(\alpha) \quad (2.2)$$

შესაბამის ერთგვაროვან დიფერენციალურ განტოლებას ექნება სახე:

$$S' = A(\alpha)S, \quad \text{ან} \quad S'/S = A(\alpha)$$

იმის გათვალისწინებით, რომ $dS/S = S'$ ანუ $S'd\alpha = dS$,

$$\text{შეგვიძლია დავწეროთ: } \int \frac{dS}{S} = \int A(\alpha)d\alpha + c; \quad \text{ანუ} \quad \ln S = \int A(\alpha)d\alpha + c;$$

სადაც $c_1 = f(\alpha)$, რომელსაც ვირჩევთ ისე, რომ დაგმაყოფილდება (2) განტოლება.

$$S = e^{\int A(\alpha)d\alpha} \cdot c_1(\alpha) \quad (2.3)$$

$$\text{ანუ} \quad S' = A(\alpha)e^{\int A(\alpha)d\alpha} \cdot c_1(\alpha) + e^{\int A(\alpha)d\alpha} \cdot c'_1(\alpha) \quad (2.4)$$

(3) და (4) მნიშვნელობები შევიტანოთ (2) განტოლებაში, მივიღებთ

$$A(\alpha)e^{\int A(\alpha)d\alpha} \cdot c_1(\alpha) + e^{\int A(\alpha)d\alpha} \cdot c'_1(\alpha) = A(\alpha)e^{\int A(\alpha)d\alpha} \cdot c_1(\alpha) + Q(\alpha)$$

საიდანაც

$$c'_1(\alpha)e^{\int A(\alpha)d\alpha} = Q(\alpha)$$

ანუ შეგვიძლია დავწეროთ:

$$c'_1(\alpha) = Q(\alpha)e^{-\int A(\alpha)d\alpha},$$

ხოლო

$$c_1(\alpha) = Q(\alpha)e^{-\int A(\alpha)d\alpha} \cdot d\alpha + c \quad (2.5)$$

თუ (2.5) გამოსახულებას შევიტანოთ (2.3) ფორმულაში, მივიღებთ

$$S = e^{\int A(\alpha)d\alpha} \left[\int Q(\alpha)e^{-\int A(\alpha)d\alpha} d\alpha + c \right] \quad (2.6)$$

თუ (2.6) გამოსახულებას ჩავწეროთ ჩვენ მიერ მიღებული აღნიშვნებით,

$$\mu = A(\alpha) \text{და } pRB\mu = Q(\alpha)$$

მაშინ მივიღებთ (2.1) განტოლების ამოხსნას, რომელსაც ექნება სახე:

$$S = e^{\int_0^\alpha \mu d\alpha} \left(\int_0^\alpha pRB\mu R^{-\int_0^\alpha \mu d\alpha} d\alpha + c \right) \quad (2.7)$$

ჩავთვალოთ, რომ $\mu = \text{const}$, მაშინ (2.7) განტოლება შეიძლება ჩავწეროთ სემდეგნაირად

$$S = e^{\mu\alpha} \left(RB\mu \int_0^\alpha p(\alpha)e^{-\mu} d\alpha + c \right) \quad (2.8)$$

როდესაც $\alpha = 0$, $S_1 = c = S_C$; და როდესაც $\alpha = \alpha_{\max}$, $S = S_{sw}$

მაშინ (2.8) განტოლება ჩაიწერება შემდეგი სახით:

$$S_{sw} = e^{\mu \alpha_{\max}} \left(RB\mu \int_0^{\alpha_{\max}} p(\alpha) e^{-\mu \alpha} d\alpha + S_C \right) \text{ აქედან გაკუჭმ-დოლის წევის ძალა } \\ F_{\max} = e^{\mu \alpha_{\max}} RB\mu \int_0^{\alpha_{\max}} p(\alpha) e^{-\mu \alpha} d\alpha + S_C (e^{\mu \alpha_{\max}} - 1) \quad (2.9)$$

მიღებული (2.9) განტოლება, საკონტროლო რგოლურ ჭვრიტები ნულოვანი ($P=0$) ვაკუუმის შემთხვევაში გვაძლევს ეილერის ცნობილ განტოლებას

$$F_{\max} = S_C (e^{\mu \alpha_{\max}} - 1)$$

ხოლო თუ მივიღებთ, რომ საკონვეიერო ლენტისა და ამძრავი ვაკუუმ-დოლის საკონტაქტო ზედაპირების მიერ შექმნილ რგოლურ ჭვრიტები თანაბრად განაწილებული ($P(\alpha) = \text{const}$) და მაქსიმალური მნიშვნელობის ვაკუუმი იქმნება, მაშინ (9) განტოლება შეიძლება ჩავწეროთ ასე:

$$F_{\max} = e^{\mu \alpha_{\max}} p RB \mu \int_0^{\alpha_{\max}} e^{-\mu \alpha} d\alpha + S_C (e^{\mu \alpha_{\max}} - 1); \quad (2.10)$$

ეს შედეგი შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგნაირადაც

$$F_{\max} = P (e^{\mu \alpha_{\max}} - 1) + S_C (e^{\mu \alpha_{\max}} - 1) \quad (2.11)$$

სადაც

$$P = p RB \quad (2.12)$$

ვაკუუმ-ამძრავის საკონტაქტო ზედაპირზე საკონვეიერო ლენტის ერთეულოვანი კუთხის შესაბამის რკალზე შექმნილი ვაკუუმით მიღებული დამატებითი მიჭერის ძალაა, ხოლო გამოსახულება (2.11), რომელშიც გავითვალისწინებთ (2.12)-ს


$$F_{\max} = p RB (e^{\mu \alpha_{\max}} - 1) + S_C (e^{\mu \alpha} - 1)$$

ნახ. 2.2.

რაც შეესატყვისება ა.ვ. ევნევიჩის [3] ფორმულას.

თუ ვაკუუმ-დოლის განხილვისას, რომლის მთელი საკონტაქტო ზედაპირი ზონა დაყოფილია მომუშავე ცალკე ვაკუუმ-ქვეზონებად, დავუშვებთ, რომ: а) პსიდიდის ვაკუუმი იქმნება და გრცელდება მხოლოდ δ ცენტრალური კუთხით მოჭიმულ ვაკუუმ-ქვეზონაზე (იხ. ნახ. 2.2), ხოლო მის საზღვრებს გარეთ $p = 0$; ბ) ვაკუუმქვეზონაში ვაკუუმი წყდება ამძრავიდან ტვირთმზიდი ლენტის ჩამოქანების წერტილიდან მისი α_0 კუთხერ მანძილზე განლაგებისას. მაშინ (2.10) გამოსახულება შეიძლება გადავწეროთ შემდეგი სახით:

$$F_{\max} = e^{\mu \alpha_{\max}} p RB \mu \int_{\alpha_0}^{\alpha_0 + \delta} e^{-\mu \alpha} d\alpha + S_{\beta} (e^{\mu \alpha_{\max}} - 1);$$



$$\text{ან} \quad F = e^{\mu\alpha_{\max}} P \left(e^{-\eta(\alpha_0 + \delta)} + S_C (e^{\mu\alpha_{\max}} - 1) \right) \quad (2.13)$$

ხოლო იმ არის მუშა ქვეზონებით ვაკუუმის შექმნისას წევის ძალების საანგარიშო ფორმულა მიიღებს სახეს:

$$F = e^{\mu\alpha_{\max}} \sum_{k=1}^{n_m} P \left[e^{-\mu[\alpha_0 + (k-1)(\beta+\delta)]} - e^{-\mu[\alpha_0 + (k-1)(\beta+\delta)+\delta]} \right] + S_C (e^{\mu\alpha_{\max}} - 1); \quad (2.14)$$

სადაც k არის ვაკუუმური ქვეზონის ნომერი (ნახ. 2.2);

β – ვაკუუმ-ქვეზონებსშორისი რკალის მომჭიმავი კუთხე.

ვაკუუმ-ქვეზონების კუთხურ ბიჯს თუ აღვნიშნავთ $t = \beta + \delta$, მაშინ ჩავწერთ, რომ

$$F = e^{\mu\alpha_{\max}} \left(1 - e^{-\mu\delta} \right) \sum_{k=1}^{n_m} P e^{-\mu[\alpha_0 + t(k-1)]} + S_C (e^{\mu\alpha_{\max}} - 1); \quad (2.15)$$

(2.15) გამოსახულება საშუალებას გვაძლევს, ვაკუუმის ზონის ნებისმიერ ქვეზონაში შექმნილი ვაკუუმისას განვსაზღვროთ განვითარებული წევის ძალა.

ამ გამოსახულების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ვაკუუმ-ქვეზონის მდებარეობა ვაკუუმ-დოლის მთელ საკონტაქტო ზედაპირზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მის მიერ განვითარებულ წევის ძალაზე – კერძოდ, რაც უფრო ახლოს არის განლაგებული ვაკუუმ-ქვეზონა დანერტის ვაკუუმ-დოლიდან ჩამოქანების წერტილიდან (წერტილი A ნახ. 2.1), მით მეტია წევის ძალის ზრდის ეფექტი.

ამგვარად, ვაკუუმდოლის საკონტაქტო ზედაპირზე განლაგებული ერთნაირი რაოდენობის ვაკუუმ-ქვეზონებისას, იმის მიხედვით, საით არის განლაგებული, ჩამოქანების თუ სწრაფობის წერტილისაკენ, მნიშვნელოვნად განსხვავებულ წევის ძალებს იძლევა. წევის ძალების ეს განსხვავება შეიძლება გამოითვალოს ფორმულით:

$$\Delta F = e^{\mu\alpha_{\max}} \left(1 - e^{-\mu\delta} \right) P \left[\sum_{k=n}^{n+n_m-1} e^{-\mu[\alpha_0 + t](k-1)} - \sum_{k=\xi}^{\xi-n_m+1} e^{-\mu[\alpha_0 + t](k-1)} \right], \quad (2.16)$$

სადაც ξ - ვაკუუმ-დოლზე დანერტის სწრაფობის წერტილში განლაგებული პირველი მუშა ვაკუუმქვეზონის ნომერია და ჩაწერილია ზოგადი სახით

$$\xi = n_s - n + 1;$$

n_s - ვაკუუმ-დოლის საკონტაქტო ზედაპირზე დანერტის ქვეშ განლაგებული ვაკუუმ-ქვეზონების რაოდენობა;

n - დოლიდან დანერტის ჩამოქანების მხარეს პირველი მუშა ვაკუუმ-ქვეზონის ნომერია;

n_a - თანამიმდევრულად განლაგებული ვაკუუმქვეზონების რაოდენობა;

აღნიშნული ეფექტის რაოდენობრივი შეფასება საშუალებას გვაძლევს, განვსაზღვროთ ავმ ვაკუუმ-დოლის ოპტიმალური პარამეტრები.

(2.15) და (2.16) განტოლებები ამოიხსნა კომპიუტერული პროგრამებით შემდეგი მონაცემებისას (ლაბორატორიული ვაკუუმდოლის დიამეტრი, სიგანე და ა.შ. შეირჩა [3,4] სამუშაოების შესაბამისად):

ვაკუუმ-დოლზე საკონვეირო ლენტის შემოხვევის კუთხე $\alpha_{\max} = \pi$, დოლის საკონტაქტო ზედაპირზე ლენტის ჩაჭიდების (ხახუნის) კოეფიციენტი $\mu = (0,1 - 1,2)$;

ვაკუუმურ-ქვეზონების კუთხური ბიჯი $t = \beta + \delta = 0,33$ რად.;

ვაკუუმურ-ქვეზონის მომჭიმავი ცენტრალური კუთხე $\beta = 0,11$ რად.;

ვაკუუმურ-ქვეზონებს შორისი სეგმენტის მომჭიმი ცენტრალური კუთხე $\delta = 0,22$ რად;

ვაკუუმის შექმნის დოლზე ლენტის დამატებითი მიჭერის ძალა $P = pRB$.

ვაკუუმ-დოლის რადიუსი $R=0,18$ მ;

საკონვეირო ლენტის სიგანე $B=0,50$ მ.

გაანგარიშება სრულდებოდა როგორც ცალკეული ვაკუუმური ქვეზონებისათვის 1-დან 9-მდე, ასევე მათი ერთობლივი მუშაობისას, როგორც რაოდენობრივი, ასევე მათი ვაკუუმის ზონაში სხვადასხვა მდებარეობითი განლაგებისათვის.

(2.15) ფორმულით შესრულებული გაანგარიშების მონაცემები წარმოდგენილია (2.1-2.8) ცხრილებში, რომელთა ანალიზი გვიჩვენებს:

ცხრილი 2.1 – ვაკუუმის დოლისა და ლენტის ჩაჭიდების (ხახუნის) კოეფიციენტის ზრდით იზრდება $e^{\mu\alpha_{\max}}$ და $(1-e^{-\mu\delta})$ თანამამრავლები;

ცხრილი 2.2 – ვაკუუმურ-ქვეზონის რაოდენობა – ერთი; $\alpha_0 = 0$; $e^{-\mu t(k-1)}$ თანამამრავლის სიდიდე მცირდება, როგორც ჩაჭიდების კოეფიციენტის ზრდით, ასევე ვაკუუმ-ქვეზონის გადაადგილებით ამძრავიდან საკონვეირო ლენტის ჩამოქანების წერტილიდან სწრაფობის წერტილისაკენ;

აქვე აღვნიშნავთ, რომ მიღებული დაშვება $\alpha_0=0$, მიზანშეწონილია დავიცვათ იმ შემთხვევისათვის, როდესაც $K \geq 2$.

ვაკუუმ-დოლის წევის ძალვაზე ვაკუუმქვეზონის ადგილმდებარეობისა და ჩაჭიდების კოეფიციენტის მნიშვნელობის კომპლექსური ანალიზი გვიჩვენებს შემდეგს: როდესაც $\mu=0,9$; №9 ვაკუუმ-ქვეზონისათვის $e^{-\mu t(k-1)} = 0,092$, ხოლო, როდესაც $\mu=0,1$, №2 ვაკუუმ-ქვეზონისათვის $e^{-\mu t(k-1)} = 0,968$; ანუ თანამამრავლის სიდიდე იზრდება $\frac{0,968}{0,092} \approx 11$, რაც გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ თუ არ არის საშუალება მთელი შემოხვევის კუთხის რგოლურ ჭვრიტეში ვაკუუმის შექმნისა, მაშინ მაქსიმალური წევის ძალების მიღების მიზნით უმჯობესია ვაკუუმ-ზონა განვალაგოთ ვაკუუმ-დოლიდან საკონვეირო ლენტის ჩამოქანების მხარეს.

ცხრილი 2.3 – ვაკუუმ-ქვეზონების რაოდენობა იზრდება თანამიმდევრულად ერთიდან ცხრამდე სწრაფობის წერტილიდან ლენტის ჩამოქანების წერტილისაკენ;

ცხრილი 2.4 – ვაკუუმ-ქვეზონების რაოდენობა იზრდება თანამიმდევრულად ერთიდან ცხრამდე ლენტის ჩამოქანების წერტილიდან სწრაფობის წერტილისაკენ. $\mu = 0,1$

მე-3 და მე-4 ცხრილების მონაცემების შედარება გვიჩვენებს, რომ როდესაც ვაკუუმ-ქვეზონების ორიდან ცხრამდე გაზრდისას მე-4 და მე-3 ცხრილების მონაცემების

შეფარდება იცვლება $1,97/1,56=1,26$ -დან $7,92/7,92=1$ -მდე, ხოლო $\mu=0,9$. ეს შეფარდება იცვლება $1,74/0,22=7,91$ -დან $3,62/3,62=1$ -მდე.

მიღებული შედეგების მიხედვით შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა: რაც მეტია ჩაჭიდების კოეფიციენტი ან მცირეა მუშა ვაკუუმ-ქვეზონების რაოდენობა, მით აუცილებელია ვაკუუმის ზონის განლაგება ვაკუუმ-დოლიდან ლენტის ჩამოქანების წერტილთან ახლოს. გარდა აღნიშნულისა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება ვაკუუმ-ქვეზონების ოპტიმალური რაოდენობის, მათი განლაგების და სხვა ტექნიკური მაჩვენებლების ოპტიმალური პარამეტრების განსაზღვრა, მაღალი წევის ფაქტორიანი ვაკუუმ-დოლის მიღების მიზნით.

2.5 ცხრილში მოცემულია (2.15) ფორმულით გაანგარიშებული ვაკუუმ-დოლის წევის ძალები, სხვადასხვა საწყისი დაჭიმულობისა და სხვადასხვა რაოდენობის ვაკუუმ-ქვეზონებისას, რომლებიც განლაგებულია ვაკუუმ-დოლზე საკონვეირო ლენტის შემოხვევის კუთხის სხვადასხვა მხარეს, როგორც ჭვრიტები მუდმივი მნიშვნელობისაა. ვაკუუმი $p=0,94$ ბარი და ჩაჭიდების კოეფიციენტი $\mu=0,63$ (განისაზღვრება ცდების შედეგებით).

ამ ცხრილის მონაცემების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ ვაკუუმ-დოლზე საკონვეირო ლენტის შემოხვევის კუთხებზე რგოლურ ჭვრიტები ვაკუუმ-ქვეზონების მუშა რაოდენობებისა და განლაგების შესახებ.

(2.15) ფორმულის საშუალებითვე შეიძლება განისაზღვროს ვაკუუმ-დოლის წევის ფაქტორი.

ფარდობას, როდესაც $\frac{S_{b\varphi}}{P} = \frac{S_{b\varphi}}{pRB}$ ეწოდება ვაკუუმ-დოლის საკუთარი წევის ფაქტორი.

(2.15) განტოლების მიხედვით, საკუთარი წევის ფაქტორი

$$\frac{S_{sw}}{P} = \frac{S_{sw}}{pRB} = \left(e^{\mu\alpha} - \frac{e^{\mu\alpha}}{e^{\mu\delta}} \right) \sum_{n=1}^{n_m} e^{-\mu t(k-1)} \quad (2.17)$$

ხოლო ვაკუუმ-დოლის საერთო (ზოგადი) წევის ფაქტორი, როდესაც კონვეირის კონტურში, ამა თუ იმ პირობებიდან გამომდინარე, ლენტის საწყისი დაჭიმულობა არის შექმნილი

$$\frac{S_{sw}}{S_c} = e^{\mu\alpha} \left[\frac{pRB}{S_c} \left(1 - e^{-\mu\delta} \right) \sum_{k=1}^{n_m} e^{-\mu t(k-1)} + 1 \right], \quad (2.18)$$

მოცემული კონკრეტული ამძრავისათვის, ამ გამოსახულებაში ცვლადი სიდიდეები შეიძლება იყოს ლენტის საწყისი $S_{b\varphi} = S_b$ დაჭიმულობა და ლენტის ქვეშ რგოლურ ჭვრიტები ვაკუუმის p მნიშვნელობა.

(2.18) ფორმულის ამონახსნები, როდესაც $p=0,94$ ბარს. $\mu=0,63$ (განისაზღვრება ცდის შედეგებით) და $S_b=10-3400$ დკნ, – დაფიქსირებულია 2.6 ცხრილში, რომელიც საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ ვაკუუმ-დოლის მოცემული ტიპზომის გამოყენების არე მიზანშეწონილია განისაზღვროს აუცილებელი საწყისი დაჭიმულობის S_b მნიშვნელობისა

და ამძრავის საკონტაქტო ზედაპირზე საკონვეიერო ლენტის დამატებითი მიჭერით შექმნილი ძალის მიხედვით.

ავმ ვაკუუმ-დოლის რაციონალური გამოყენების არე განისაზღვრება $S_b = pRB$ გამოსახულებიდან უფრო დიდი საწყისი დაჭიმულობისას ვაკუუმის შექმნით მიღებული საკონვეიერო ლენტის ამძრავ დოლზე დამატებითი მიჭერის ძალის ეფექტი მცირდება, თუმცა ვაკუუმ-დოლის ეფექტურად გამოყენების ზონად შეიძლება მივიღოთ $S_b \leq 2pRB$.

2.7 და 2.8 ცხრილებში მოყვანილია (2.17) ფორმულის საშუალებით გამოვლილი ვაკუუმ-დოლის საკუთარი წევის ფაქტორი, ლენტისა და დოლის საკონტაქტო ზედაპირების სხვადასხვა ჩაჭიდების კოეფიციენტისას, ვაკუუმ-ქვეზონის რაოდენობისას და საკონტაქტო ზედაპირზე მათი შემოხვევის კუთხის სხვადასხვა მხარეს განლაგებისას.

მოცემული ცხრილების ანალიზით შეიძლება დავასკვნათ, რომ ვაკუუმ-დოლის საკუთარი წევის ფაქტორის მინიმალურად შემცირებისა და ერთდოლიანი კომპაქტური ამძრავი ვაკუუმ-დოლის დაპროექტების მიზნით ლენტის სწრაფობის მსარეს მთელი შემოხვევის კუთხის 1/5 ნაწილზე შესაძლებელია ვაკუუმ-ქვეზონების შემცირება, სწორედ ეს ზონა არის საკონტაქტო ზედაპირის შედარებითი სიმშვიდის ზონა ანუ ამძრავი ვაკუუმ-დოლის წევის ძალების მარაგი.

ცხრილი 2.1.

ჩაჭიდების (ხახუნის) კოეფიციენტი μ	0,1	0,2	0,3	0,4	0,5	0,6	0,7	0,8	0,9
$e^{-\mu\alpha_{max}}$	1,369	1,87	2,56	3,51	4,81	6,586	9,01	12,34	16,9
$e^{-\mu\delta}$	0,977	0,955	0,933	0,912	0,893	0,872	0,861	0,838	0,813
$\alpha_{max}=\pi$	$\delta = 0,22$ რად								
$1-e^{-\mu\delta}$	0,023	0,045	0,067	0,088	0,117	0,128	0,139	0,170	0,187

ცხრილი 2.2.

$e^{-\mu[\alpha_0+(K-1)(\beta+\delta)]}$	$t = \beta + \delta = 0,33; \alpha_0 = 0; \beta = 0,11; \delta = 0,22$ რად								
გრძივი დარის ნომერი K ჩაჭიდების კოეფიციენტი μ	1	2	3	4	5	6	7	8	9
0,1	1,0	0,968	0,936	0,905	0,876	0,848	0,820	0,793	0,768
0,2	1,0	0,936	0,876	0,820	0,768	0,719	0,673	0,630	0,590
0,3	1,0	0,905	0,820	0,743	0,673	0,609	0,552	0,500	0,453
0,4	1,0	0,876	0,768	0,673	0,590	0,516	0,453	0,396	0,347
0,5	1,0	0,848	0,719	0,609	0,516	0,438	0,371	0,315	0,267
0,6	1,0	0,820	0,673	0,552	0,453	0,371	0,304	0,250	0,205
0,7	1,0	0,793	0,630	0,500	0,396	0,315	0,250	0,198	0,157
0,8	1,0	0,768	0,590	0,453	0,347	0,267	0,205	0,157	0,121
0,9	1,0	0,743	0,552	0,410	0,304	0,226	0,168	0,125	0,092

ცხრილი 2.3.

$\sum_{K=9}^1 e^{-\mu[\alpha_0+(K-1)(\beta+\delta)]}$	$\alpha_0=0; \quad \beta=0,11; \quad \delta=0,22; \quad t=0,33 \text{ რაღ}$								
გრძივი დარის \sum ნომერი ჩაჭიდების μ კოეფიციენტი	$n=1$ 9	$n=2$ 9, 8	$n=3$ 9, 8, 7	$n=4$ 9÷6	$n=5$ 9÷5	$n=6$ 9÷4	$n=7$ 9÷3	$n=8$ 9÷2	$n=9$ 9÷1
0,1	0,7679	1,5617	2,3820	3,2299	4,1063	5,0120	5,9481	6,9157	7,9157
0,2	0,5897	1,2198	1,8928	2,6117	3,3797	4,2000	5,0764	6,0125	7,0125
0,3	0,4529	0,9530	1,5051	2,1146	2,7877	3,5307	4,3511	5,2563	6,2568
0,4	0,3478	0,7447	1,1977	1,7145	2,3043	2,9773	3,7453	4,6216	5,6216
0,5	0,2671	0,5821	0,9537	1,3920	1,9088	2,5184	3,2373	4,0852	5,0852
0,6	0,2051	0,4552	0,7600	1,1316	1,5845	2,1366	2,8096	2,6300	4,6300
0,03	0,0143	0,0298	0,0462	0,0631	0,0799	0,0955	0,1084	0,1164	0,1164
0,7	0,1575	0,3560	0,6061	0,9211	1,3181	1,8181	2,4482	3,2419	4,2419
0,8	0,1209	0,2785	0,4837	0,7508	1,0986	1,5516	2,1414	2,9093	3,9093
0,9	0,0929	0,2129	0,3862	0,6127	0,9176	1,3276	1,8799	2,6230	3,6230

ცხრილი 2.4.

$\sum_{K=1}^9 e^{-\mu[\alpha_0+(K-1)(\beta+\delta)]}$	$\alpha_0=0; \quad \beta=0,11; \quad \delta=0,22; \quad t=0,33 \text{ რაღ}$								
გრძივი დარის \sum ნომერი ჩაჭიდების μ კოეფიციენტი	$n=1$ 1	$n=2$ 1, 2	$n=3$ 1, 2, 3	$n=4$ 1÷4	$n=5$ 1÷5	$n=6$ 1÷6	$n=7$ 1÷7	$n=8$ 1÷8	$n=9$ 1÷9
0,1	1,000	1,9675	2,9036	3,8094	4,6857	5,5336	6,3540	7,1477	7,9157
0,2	1,000	1,9361	2,8124	3,6328	4,4008	5,1197	5,7927	6,4227	7,0125
0,3	1,000	1,9057	2,7261	3,4691	4,1421	4,7517	5,3038	5,8039	6,2568
0,4	1,000	1,8763	2,6443	3,3173	3,9071	4,4239	4,8768	5,2738	5,6216
0,5	1,000	1,8478	2,5668	3,1763	3,6932	4,1314	4,5030	4,8181	5,0852
0,6	1,000	1,8203	2,4933	3,0454	3,4984	3,8700	4,1748	4,4249	4,6300
0,03	1,000	0,00825	0,0208	0,0365	0,0533	0,0702	0,0867	0,1022	0,1164
0,7	1,000	1,7937	2,4237	2,9238	3,3207	3,6358	3,8858	4,0843	4,2419
0,8	1,000	1,7679	2,3577	2,8106	3,1585	3,4256	3,6308	3,7883	3,9093
0,9	1,000	1,7430	2,2951	2,7054	3,0102	3,2367	3,4050	3,5300	3,6230

ცხრილი 2.5.

ვაკუუმ-დოლის თეორიული წევის ძალა, დან (სველი ხახუნის პირობებში)									
გრძივი დარის $\sum \text{ნომერი}$ ლენტის დაჭიმ. S_b , დან	$n=1$	$n=2$	$n=3$	$n=4$	$n=5$	$n=6$	$n=7$	$n=8$	$n=9$
	$\frac{1}{9}$	$\frac{1-2}{9-8}$	$\frac{1-3}{9-7}$	$\frac{1-4}{9-6}$	$\frac{1-5}{9-5}$	$\frac{1-6}{9-4}$	$\frac{1-7}{9-3}$	$\frac{1-8}{9-2}$	$\frac{1-9}{9-1}$
50	$\frac{1114}{465}$	$\frac{1756}{653}$	$\frac{2292}{885}$	$\frac{2719}{1168}$	$\frac{3076}{1519}$	$\frac{3361}{1950}$	$\frac{3586}{2479}$	$\frac{3778}{3131}$	$\frac{3930}{3930}$
200	$\frac{2050}{1401}$	$\frac{2692}{1589}$	$\frac{3228}{1821}$	$\frac{3655}{2105}$	$\frac{4012}{2455}$	$\frac{4297}{2886}$	$\frac{4522}{3415}$	$\frac{4714}{4067}$	$\frac{4866}{4866}$
400	$\frac{3298}{2649}$	$\frac{3940}{2837}$	$\frac{4476}{3069}$	$\frac{4903}{3353}$	$\frac{5260}{3703}$	$\frac{5545}{4134}$	$\frac{5770}{4663}$	$\frac{5962}{5315}$	$\frac{6114}{6114}$
500	$\frac{3927}{3278}$	$\frac{4569}{3466}$	$\frac{5105}{3698}$	$\frac{5532}{3982}$	$\frac{5889}{4332}$	$\frac{6174}{4763}$	$\frac{6399}{5292}$	$\frac{6591}{5944}$	$\frac{6743}{6743}$

ცხრილი 2.6.

N	S_b , დან	$\frac{S_c}{S_{sw}}$	N	S_b , დან	$\frac{S_c}{S_{sw}}$
1	10	326,7	16	1000	9,80
2	20	166,65	17	1200	9,27
3	30	113,3	18	1300	9,06
4	40	86,63	19	1400	8,88
5	50	78,6	20	1500	8,74
6	100	38,61	21	1600	8,60
7	150	27,94	22	1800	9,37
8	200	24,33	23	2000	8,20
9	300	17,27	24	2200	8,05
10	400	15,28	25	2400	7,93
11	500	13,49	26	2600	7,83
12	600	11,93	27	2800	7,74
13	700	11,12	28	3000	7,67
14	800	10,60	29	3200	7,60
15	900	10,16	30	3400	7,54

ცხრილი 2.7.

$\text{გავკვეთ-დოლი} \quad b_{\alpha} \text{ მარი} \quad F' / P_K = \left(e^{\mu\alpha} - \frac{e^{\mu\alpha}}{e^{\mu\delta}} \right) \sum_{K=9}^1 e^{-\mu[\alpha_0 + (K-1)(\beta+\delta)]}$ $\alpha_0 = 0; \quad \alpha_{\max} = \pi$									
$\begin{array}{l} \text{გრძივი დარის} \\ \sum \text{ ნომერი} \\ \text{ჩაჭიდ.} \\ \mu \text{ კოეფიციენტი} \end{array}$	$n=1$	$n=2$	$n=3$	$n=4$	$n=5$	$n=6$	$n=7$	$n=8$	$n=9$
	9	9, 8	9, 8, 7	9÷6	9÷5	9÷4	9÷3	9÷2	9÷1
0,1	0,0242	0,0492	0,0750	0,1017	0,1293	0,1578	0,1873	0,2177	0,2492
0,2	0,0496	0,1026	0,1593	0,2198	0,2844	0,3534	0,4272	0,5059	0,5901
0,3	0,0777	0,1638	0,2581	0,3627	0,4781	0,6056	0,7465	0,9016	1,0732
0,4	0,1074	0,2300	0,3699	0,5296	0,7117	0,9196	1,1568	1,4275	1,7364
0,5	0,1503	0,3276	0,5367	0,7834	1,0742	1,4173	1,8218	2,2990	2,8618
0,6	0,1729	0,3837	0,6406	0,9539	1,3357	1,8012	2,3685	3,0601	3,9031
0,7	0,1972	0,4458	0,7591	1,5381	1,6508	2,2770	3,0661	4,0601	5,3125
0,8	0,2536	0,5342	1,0147	1,5750	2,3046	3,2549	4,4922	6,1031	8,2009
0,9	0,2936	0,6886	1,2205	1,9363	2,8999	4,1962	5,9410	8,2895	11,4497

ცხრილი 2.8.

$\text{გავკვეთ-დოლი} \quad b_{\alpha} \text{ მარი} \quad F' / P_K = \left(e^{\mu\alpha} - \frac{e^{\mu\alpha}}{e^{\mu\delta}} \right) \sum_{K=1}^9 e^{-\mu[\alpha_0 + (K-1)(\beta+\delta)]}$ $\alpha_0 = 0; \quad \alpha_{\max} = \pi$									
$\begin{array}{l} \text{გრძივი დარის} \\ \sum \text{ ნომერი} \\ \text{ჩაჭიდ.} \\ \mu \text{ კოეფიციენტი} \end{array}$	$n=1$	$n=2$	$n=3$	$n=4$	$n=5$	$n=6$	$n=7$	$n=8$	$n=9$
	1	1, 2	1, 2, 3	1÷4	1÷5	1÷6	1÷7	1÷8	1÷9
0,1	0,031487	0,0619	0,0914	0,0199	0,1475	0,1742	0,2000	0,2250	0,2492
0,2	0,08415	0,1629	0,2366	0,3057	0,3703	0,4308	0,4874	0,5404	0,5901
0,3	0,17520	0,3263	0,4676	0,5950	0,7104	0,8150	0,9097	0,9955	1,0732
0,4	0,30888	0,5795	0,8168	1,0240	1,2068	1,3664	1,5063	1,6290	1,7364
0,5	0,56277	1,0399	1,4445	1,7875	2,0784	2,3250	2,5341	2,7115	2,8618
0,6	0,843008	1,5345	1,1018	2,5673	2,9492	3,2624	3,5194	3,7302	3,9031
0,7	1,25239	2,2464	3,0354	3,6617	4,1588	4,5534	4,8665	5,1151	5,3123
0,8	2,0278	3,7087	4,9460	5,8960	6,6259	7,1862	7,8167	7,9471	8,2009
0,9	3,1603	5,5084	7,2532	8,5499	9,5131	10,2289	10,7608	11,1558	11,4497

2.4. ამძრავი ვაკუუმ-დოლის ვაკუუმური მექანიზმების ძირითადი გეომეტრიული პარამეტრების გაანგარიშება

ამძრავი ვაკუუმ-დოლის საკონტაქტო ზედაპირის პარამეტრები: გრძივი დარის სიგანე განისაზღვრება დამოკიდებულებებით [1]: $b = (0.045 - 0.055) \cdot D$ (სადაც D დოლის დიამეტრია); გრძივი დარის სიგრძე - $l = (0.8 - 0.85) \cdot B$ (სადაც B საკონვეიერო ლენტის სიგანეა); თუ გრძივი დარის სიღრმეს აღვნიშნავთ h_1 -ით, მაშინ დარის მოცულობა $V = b \cdot h_1 \cdot l = 0.055 \cdot D \cdot 0.85 \cdot B \cdot h_1 = 0.047 \cdot B \cdot D \cdot h_1$.


ავტონომიური ვაკუუმურმექანიზმებიანი (ავმ) ამძრავი ვაკუუმ-დოლების ერთ-ერთი საპასუხისმგებლო კონსტრუქციული ელემენტი, რომელიც უზრუნველყოფს ვაკუუმის პროგრამულ ცვლილებას და რომლის საშუალებითაც მიიღწევა მაღალი წევის ფაქტორი, ვაკუუმური მექანიზმებია. ამ მექანიზმების გაანგარიშებისას, თუ გავითვალისწინებთ ამძრავი დოლის საკონტაქტო ზედაპირის პარამეტრებს, მივიღებთ მაღალი წევისფაქტორიანი კომპაქტური ლენტური კონვეიერის ამძრავის დაპროექტების რეალურ შესაძლებლობას. ვაკუუმ-დოლის ცნობილ კონსტრუქციებში მისი ზედაპირის კონსტრუქციული კოფიციენტი ანუ ზედაპირზე განთავსებული გრძივი დარისა და ორ გრძივ დარს შორის სეგმენტის სიგანეთა ურთიერთობარდობა არის $K = 0.45 - 0.55$ -ის ფარგლებში.

ვაკუუმური სისტემის სრული მოცულობა ერთი გრძივი დარისათვის, ცილინდრ-დგუშისა და გრძივი დარის შემაერთებელი ცენტრალური ხვრების გათვალისწინებით, იქნება

$$V = 0.047 \cdot B \cdot D \cdot h_1 + \frac{\pi d^2}{4} \cdot m, \quad (2.19)$$

სადაც d არის გრძივი დარის ვაკუუმურ მექანიზმებთან შემაერთებელი ცენტრალური ხვრების დიამეტრი; ის განისაზღვრება დამოკიდებულებით:

$$d = \frac{b}{2} = \frac{0.055}{2} \cdot D = 0.0275 \cdot D, \quad (2.20)$$



ნახ. 2.3. აგმ-ის საანგარიშო სქემა

m - ცენტრალური ხვრების სიგრძეა და იანგარიშება

$$m = h - h_1 + m_1 + h_2,$$

სადაც h_2 არის ვაკუუმური მექანიზმის ცილინდრის კედლის სისქე, მმ; h – ვაკუუმ-დოლის რკალის სისქე (იხ. ნახ. 2.3), მმ; m_1 – ვაკუუმ-დოლსა და ვაკუუმ-მექანიზმებს შორის დრეჩო, მმ.

ამრიგად, ვაკუუმური სისტემის სრული საწყისი მოცულობა ერთი ვაკუუმური გრძივი დარისათვის იქნება

$$V = (470 \cdot B \cdot D \cdot h_1 + 5.9 \cdot m \cdot D^2) \cdot 10^{-4}, \quad (2.21)$$

ავმ – ტიპის ავტონომიურ ვაკუუმურმექანიზმებიან ვაკუუმ-დოლისა და საკონვეირო ლენტის მიერ შექმნილ რგოლურ ჭვრიტეში, ვაკუუმის ფორმირება უზრუნველყოფილია დარებით წარმოდგენილი საწყისი მოცულობების ცვლილების (გაზრდის) საშუალებით, რაც ხორციელდება მასთან (საწყის მოცულობებთან) მიერთებული ვაკუუმური მექანიზმების დგუშების პერიფერიებისაკენ გადაადგილებით მიღებული დამატებითი მოცულობების ხარჯზე [2]. ამგვარად ამძრავის საკონტაქტო ზედაპირზე ლენტის ქვეშ ვაკუუმის ფორმირება შეიძლება ორი წესით:

ა) საწყის მოცულობებში არსებული ჰაერის გადანაწილებით ვაკუუმური მექანიზმის ცენტრალური ხვრებიდან დგუშების პერიფერიებისაკენ გადაადგილებით მიღებულ დამატებით მოცულობებში;

ბ) საწყის მოცულობებიდან ჰაერის ნაწილობრივი იძულებით გამოდევნით, მფრქვევანით მიწოდებული (წვეოვანი) სითხის ხარჯზე, რომელიც შემდგომში გაიწოვება ვაკუუმური მექანიზმების საშუალებით [3,4].

წვენი სამუშაოს ამოცანა არის (ბ) მეთოდის შესაბამისად, ანუ ელასტოპიდროდინამიკურ რეჟიმში მომუშავე ლენტური კონვეირის ვაკუუმ-დოლური ამძრავების დამუშავება და კვლევა.

სხვადასხვა ფაქტორზე დამოკიდებულებით (ვაკუუმური მექანიზმების კედლების მასალების თვისებები, სითხის ტემპერატურა, გარემო პირობები და ა.შ.) ვაკუუმის ფორმირების პროცესი შეიძლება განვითარდეს სხვადასხვა კანონზომიერებით. თუ ჩავთვლით, რომ ჰაერის გაფართოება ხორციელდება პოლიტროპული კანონის შესაბამისად, მაშინ შეგვიძლია დავწეროთ:

$$pV^n = \Delta p \cdot V_1^n, \quad (2.22)$$

$$\text{საიდანაც} \quad V_1 = \sqrt[n]{\frac{p}{\Delta p}} \cdot V,$$

სადაც p არის ატმოსფერული წნევა, პა; Δp – ნარჩენი წნევის მნიშვნელობა ვაკუუმ-მექანიზმებში, პა; V_1 – პროგრამული ვაკუუმის მიღებისათვის საჭირო ვაკუუმური სისტემის საბოლოო მუშა სიგრცის (მოცულობის) მნიშვნელობა, მ³; თუ ვაკუუმური მექანიზმების დგუშების გადაადგილებით მიღებული დამატებითი მოცულობის სიდიდე

$$V_{\varphi} = V_1 - V = \frac{p^{\frac{1}{n}} - \Delta p^{\frac{1}{n}}}{\Delta p^{\frac{1}{n}}} \cdot V, \quad (2.23)$$

მაშინ ვაკუუმური მექანიზმების დგუშების დიამეტრები განისაზღვრება გამოსახულებით

$$d_{II} = \sqrt{\frac{2 \cdot V \cdot (p^{\frac{1}{n}} - \Delta p^{\frac{1}{n}})}{\Delta p^{\frac{1}{n}} \cdot \pi \cdot l_1}} \quad (2.24)$$

$$\text{ან} \quad d_{II} = \sqrt{\frac{2 \cdot (470 \cdot B \cdot D \cdot h_1 + mD^2) \cdot 10^{-4} \cdot (p^{\frac{1}{n}} - \Delta p^{\frac{1}{n}})}{\Delta p^{\frac{1}{n}} \cdot \pi \cdot l_1}} \quad (2.25)$$

სადაც l_1 არის თითოეული დგუშის სვლა, მმ.

ვაკუუმ-დოლის ტორსულ ბადროში ვაკუუმ-მექანიზმების განთავსების რადიუსი, რომელიც ჭოკის (ცილინდრის) დერძებზე გაივლის, იანგარიშება დამოკიდებულებით

$$R = \frac{D - 2 \cdot (h + m_1 + h_2) - d_{II}}{2} \quad (2.26)$$

მეორე მხრივ კონსტრუქციის კომპანოვკისა და სიმტკიცის მიხედვით ვაკუუმ-მექანიზმების ტორსულ ბადროში განთავსების შესაბამისად ჭოკის დერძებზე გამავალი წრებაზის სიგრძე ტოლი იქნება:

$$2\pi R = (d_{II} + 2 \cdot h_2 + \varepsilon) \cdot n', \quad (2.27)$$

საიდანაც, მოცემული პირობის მიხედვით, დგუშის დიამეტრი

$$d_{II'} = \frac{\pi \cdot [D - 2 \cdot (h + m_1 + h_2)] + n' \cdot (2 \cdot h_2 + \varepsilon)}{n' + \pi} \quad (2.28)$$

სადაც n' არის ვაკუუმ-მექანიზმების რიცხვობრივი მნიშვნელობა; ε – განთავსების წრებზე ვაკუუმ-მექანიზმებს შორის მანძილი (წრის რკალის სიგრძე ვაკუუმ-მექანიზმებს შორის), მმ (იხ. ნახ. 2.3.). ε -ის მნიშვნელობა შეგვიძლია ვიანგარიშოთ და ავიდოთ საზღვრებში – $\varepsilon = (0.015 - 0.02) \cdot D$, დგუშის შერჩეული დიამეტრი $d_{II'}$ კი უნდა იყოს საზღვრებში

$$d_{II} \leq d_{II'} \leq d_{II''} \quad (2.29)$$

ვიცით რა $d_{II''}$ -ის მნიშვნელობა დანაკარგების (გაუნველის) მხედველობაში მიღების გარეშე, (2.24) ფორმულიდან შეიძლება განვსაზღვროთ ვაკუუმ-მექანიზმის თითოეული დგუშის სვლის მნიშვნელობა (ნახ. 2.3)

$$l_1 = \frac{2 \cdot (470 \cdot B \cdot D \cdot h_1 + 5.9 \cdot mD^2) \cdot 10^{-4} \cdot (p^{\frac{1}{n}} - \Delta p^{\frac{1}{n}})}{\Delta p^{\frac{1}{n}} \cdot \pi \cdot d_{II''}^2} \quad (2.30)$$

თუ ჩავთვლით, რომ პაერის გაფართოების პროცესი მიახლოვებით იზოთერმულია ($n=1$), მაშინ (2.24), (2.25) და (2.30) ფორმულებიდან

$$d_{II} = \sqrt{\frac{2 \cdot V \cdot (p - \Delta p)}{\Delta p \cdot \pi \cdot l_1}} \quad (2.31)$$

ა6

$$d_{\pi} = \frac{2 \cdot (470 \cdot B \cdot D \cdot h_l + 5.9 \cdot mD^2) \cdot 10^{-4} \cdot (p - \Delta p)}{\Delta p \cdot \pi \cdot d_{\pi*}^2} \quad (2.32)$$

ხოლო

$$l_1 = \frac{2 \cdot (470 \cdot B \cdot D \cdot h_l + 5.9 \cdot mD^2) \cdot 10^{-4} \cdot (p - \Delta p)}{\Delta p \cdot \pi \cdot d_{\pi*}^2} \quad (2.33)$$

თუ ამავ ტიპის გრძივდარებიანი ვაკუუმ-დოლისა და საკონვეირო ლენტით შექმნილ რგოლურ ჭვრიტები გაიშვიათების ფორმირება ხორციელდება საწყისი მოცულობებიდან ჰაერის მაქსიმალურად შესაძლო გამოდევნით, მფრქვევანით მიწოდებული წვეთოვანი სითხის ხარჯზე, რომელიც შემდგომში გაიწოვება ვაკუუმური მექანიზმების საშუალებით, მაშინ საწყისი მოცულობის შემცირების შესაბამისად შემცირდება დგუშის საჭირო სვლაც და ამძრავი სადგურიც ასევე კომპაქტური იქნება; ხოლო პერმეტულობის გაზრდისა და სხვა მრავალი ფაქტორის გავლენით იზრდება წევის ფაქტორი და ამძრავი დოლის წევითი თვისებები. ზემოთ მოცემული მსჯელობის მიხედვით ვაკუუმური მექანიზმის დგუშის სვლის სიგრძე იქნება

$$l_1 = \frac{2 \cdot [(470 \cdot B \cdot D \cdot h_l + 5.9 \cdot mD^2) \cdot 10^{-4} - V_{bom}] \cdot (p^{1/n} - \Delta p^{1/n})}{\Delta p^{1/n} \cdot \pi \cdot d_{\pi*}^2} \quad (2.34)$$

ამ გამოსახულებაში V_{bom} სითხის ის მოცულობაა, რომელმაც შეავსო ვაკუუმ-დოლის შესაბამისი საწყისი მოცულობა. (2.33) ფორმულით დგუშის სვლა გამოთვლილია ჰაერის გაფართოების იზოთერმული პროცესისათვის, შესაბამისად, თუ (2.34) ფორმულით დგუშის სვლას ვიანგარიშებთ შემთხვევისათვის, როდესაც ჰაერის გაფართოების პროცესი ექვემდებარება პოლიტროპულს, მაშინ p და Δp -თვის ხარისხის მაჩვენებლები იქნება $1/n$.

იზოთერმული გაფართოვების დროს კი გამოსახულებას ექნება სახე

$$l_{1,bom} = \frac{2 \cdot [(470 \cdot B \cdot D \cdot h_l + 5.9 \cdot mD^2) \cdot 10^{-4} - V_{bom}] \cdot (p - \Delta p)}{\Delta p \cdot \pi \cdot d_{\pi*}^2} \quad (2.35)$$

ვაკუუმური მექანიზმების პარამეტრების გაანგარიშების მეთოდების საფუძველზე, უნდა მოხდეს ვაკუუმ-დოლის უძრავი მრუდწირული მიმმართველების ოპტიმალური პარამეტრების გაანგარიშება, რომელიც განაპირობებს რგოლურ ჭვრიტები პროგრამული ვაკუუმის მიღებას.

2.5. ვაკუუმ-დოლის ვაკუუმ-მექანიზმების ამძრავი მრუდწირული მიმმართველების ოპტიმალური პარამეტრების განსაზღვრა


კონკრეტული კონსტრუქციული პარამეტრების მქონე ავტონომიური ვაკუუმური მექანიზმებიანი (ამავ) ტიპის ვაკუუმდოლებისათვის [1] უძრავი მრუდწირული

მიმმართველების ოპტიმალური პარამეტრების გაანგარიშებისას, ქვემოთ მოყვანილ ჩვენ მოსაზრებებთან ერთად, მიზანშეწონილად მიღვაჩნია, გავითვალისწინოთ ლეონარდ ეილერის თეორიის (ფორმულის $S_{\text{ს}} \leq S_{\text{e}} \cdot e^{\mu}$) მიხედვით წარმოდგენილი მრავალჯერად კვლევათა შედეგებიც. კერძოდ, ლენტური კონვეიერების ამძრავი დოლების წევითი თვისების ანალიზმა, დიდი ხნის წინათ უტესარად აჩვენა, რომ საკონტაქტო რგოლურ ჭრიტებში საკონვეიერო ლენტის ქვეშ დოლზე ლენტის სწრაფობის წერტილიდან შედარებითი სიმშვიდისა და დრეკადი სრიალის რკალების თანმიმდევრულობა და მათი მომჭიმავი კუთხეების გამოკვეთილობა განაპირობებს სატრანსპორტო მექანიზმის მდგრად და შეუფერხებელ, საიმედო მუშაობას. მაშასადამე, წევის ძალებში უმნიშვნელო წაგების ხარჯზე, ლენტის ქვეშ, ამძრავი დოლის რგოლურ ჭრიტებში მაქსიმალური სიდიდის ვაკუუმის ზონის შემცირება შეიძლება მთელი შემოხვევის გეომეტრიული (α_g) კუთხის 1/5 – ნაწილით, შედარებითი სიმშვიდის რკალის ხარჯზე. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, ვერტიკალურ სიბრტყეზე, უძრავი მრუდწირული მიმმართველის იმ ნაწილის პროექციის სიგრძე, რომელიც ლენტის ქვეშ ამძრავი დოლის ზედაპირზე (შედარებითი სიმშვიდის რკალზე) უზრუნველყოფს მაქსიმალური სიდიდის პროგრამულ ვაცუუმს. ვაკუუმის ფორმირების ეფექტური ზონის სიგრძე (იხ. ნახ. 2.4) იქნება

$$\ell_{\text{ვ}} = 0.2 \alpha_g R_{\text{მ}} \quad (1)$$

სადაც α_g არის ამძრავ დოლზე საკონვეიერო ლენტის შემოხვევის კუთხე; $R_{\text{მ}}$ – მრუდწირული მიმმართველის ვერტიკალურ სიბრტყეზე პროექციის რადიუსი, რომელიც იმავ-დროულად ვაკუუმ-დოლის ცილინდრ-დგუშების დერძებს ემთხვევა და განისაზღვრება გამოსახულებით (იხ. ნახ. 2.4 [1])

$$R_{\text{მ}} \cdot R = \frac{D - 2(\hbar + m_1 + \hbar_2) - d_{\text{დღხები}}}{2}, \quad (2)$$



სადაც D არის ამძრავი დოლის დიამეტრი; $d_{\text{დღხები}}$ ვაკუუმ-მექანიზმის ცილინდრ-დგუშის სტანდარტული დიამეტრი და იმყოფება თანაფარდობაში $d_{\text{დღ}} \leq d_{\text{დგ}} \leq d_{\text{სიმტკ}}$, სადაც $d_{\text{დგ}}$ და $d_{\text{სიმტკ}}$ შესაბამისად ცილინდრ-დგუშების დიამეტრებია, საანგარიშო და ამძრავი დოლის საკვანძო ელემენტების სიმტკიციდან გამომდინარე.

პარალიტოროპული კანონის შესაბამისად გაფართოებისას შედარებითი სიმშვიდის რკალის ზონაში, უძრავი მრუდწირული მიმმართველის დახრის კუთხის ტანგენტი ერტიკალური სიბრტყის მიმართ (იხ. ნახ. 2.4) იქნება

$$\operatorname{tg} \alpha_{\text{ვ}} = \frac{\ell'_{\text{ვ}}}{\ell_{\text{ვ}}} = \frac{(470BD\hbar_1 + 5,9mD^2) \cdot 10^{-4} (p_{\text{ა}}^{1/n} - \Delta p^{1/n})}{\pi d_{\text{დღხები}} \cdot \alpha_g R_{\text{მ}} \Delta p^{1/n}}, \quad (3)$$

ნახ. 2.4. მრუდწირული
მიმმართველის საანგარიშო სქემა

სადაც $l'_\delta = l_1$ არის ამძრავი დოლის ვაკუუმუმექანიზმის დგუშის სვლის სიგრძე, რომელიც შეიძლება განისაზღვროს იმ შემთხვევისათვისაც, როდესაც პაერის გაფართოების პროცესი მიახლოებით იზოთერმულია ($n=1$) (იხ. განტოლება 15, 16) [1].

უძრავი მრუდწირული მიმმართველის შემდგომ l_δ უბანზე, რომელიც დოლიდან საკონვეირო ლენტის ჩამოქანების წერტილამდე გრძელდება, დგუშები სვლის l'_δ სიგრძით აგრძელებენ პერიფერიებისაკენ მოძრაობას, რის ხარჯზეც ხდება ვაკუუმის კარგის კომპენსაცია, თუ კი ეს აღინიშნება, (განსაკუთრებით მშრალი ხახუნისას), მაგალითად, ვაკუუმ-დოლისა და საკონვეირო ლენტის პირობითი რგოლური ჭვრიტედან და ა.შ.

უძრავი მიმმართველის ვერტიკალურ სიბრტყეზე რკალის პროექციის l_δ სიგრძე ანუ ვაკუუმის საკომპენსაციო ზონის სიგრძე,

$$\ell_\delta \leq 0,8R_{\text{გრ.}}\alpha_\delta \quad (4)$$

ვაკუუმ-მექანიზმების დგუშთა ჭოკების ბოლოვანების ℓ_δ რკალის გასწვრივ მოძრაობის დრო

$$t = \frac{0,8R_{\text{გრ.}}\alpha_\delta}{v}, \quad (5)$$

სადაც v არის ჭოკის ბოლოვანების წრიული სიჩქარის პროექცია. ვაკუუმ-სისტემის საბოლოო მოცულობაში გაზის მდგომარეობის (საკომპენსაციო ზონის დასაწყისში) განტოლებას ექნება სახე:

$$\Delta p V_1 = G_1 R_{\text{გრ.}} T_1, \quad (6)$$

ხოლო საკომპენსაციო ზონის ბოლო პოზიციაზე ეს განტოლება მიიღებს სახეს:

$$\Delta p V_2 = G_2 R_{\text{გრ.}} T_2, \quad (7)$$

სადაც $V_2 = V_1 + V_\delta$ არის ვაკუუმ-სისტემის მოცულობა საკომპენსაციო ზონის ბოლოში;

V_1 - ვაკუუმ-სისტემის მოცულობა გაუხშოების ფორმირების ეფექტური ზონის ბოლოში;

V_δ - ე.წ. საკომპენსაციო მოცულობა ანუ ის მოცულობა, რომელიც მიიღება დგუშის საკომპენსაციო ზონაში მოძრაობით; G_1 - გაზის წონა ჩატებილ ვაკუუმურ მოცულობაში;

$G_2 = G_1 + \gamma \Delta V t$, V_2 - მოცულობაში გაზის წონა; ΔV - პაერის (გაზის) მყისური მოდინება (ანუ გაპარვები); γ - ატმოსფერული პაერის მოცულობითი წონა; $R_{\text{გრ.}}$ - გაზის მუდმივა;

T_1 და T_2 - პაერის აბსოლუტური ტემპერატურა.

პაერის ტემპერატურის ცვლილების უგულებელყოფის შემთხვევაში, დგუშის მიერ საკომპენსაციო უბანში შესრულებული სვლის სიგრძე შეიძლება განვსაზღვროთ ფორმულით

$$\ell'_\delta = \frac{1,6\gamma\Delta V R_{\text{გრ.}} R_{\text{გრ.}} T \alpha_\delta}{\pi d_{\text{ლგ.}}^2 v \Delta p}, \quad (8)$$

მრუდწირული მიმმართველის საკომპენსაციო უბნის დახრის კუთხის ტანგენტი

$$\operatorname{tg}\alpha_{\delta} = \frac{\ell'_{\delta}}{\ell_{\delta}} = \frac{2\gamma\Delta VR_{\delta\alpha} T}{\pi d^2_{\text{ლგ(სტ)}} v \Delta p}, \quad (9)$$

საკომპენსაციო უბნის ℓ_{δ} სიგრძის ჭოკის ბოლოვანებით გავლის შემდეგ, ვაკუუმუმექანიზმის დგუშები იწყებს საწყისი მდგომარეობისაკენ სვლას (ამ მომენტისათვის ლენტი დოლის შესატყვის ზედაპირს აღარ ფარავს), რაც ხორციელდება უძრავი მრუდწირული მიმმართველის შესაბამისი პროფილის საშუალებით, რომლის სიგრძის პროექცია

$$\ell_{\text{საწყ.}} I = R_{\theta\alpha} (2\pi - \alpha_{\delta}) \quad (10)$$

დგუშის წინსვლით-უპუსვლითი მოძრაობის ჯამური სიგრძე იქნება

$$\ell'_{\text{საწყ.}} = \ell'_{\text{ვვ}} + \ell'_{\delta} \quad (11)$$

შესაბამისად მრუდწირულირული მიმმართველის ამ მონაკვეთის დახრის კუთხის ტანგენტი

$$\operatorname{tg}\alpha_{\text{საწყ.}} = \frac{\ell'_{\text{ვვ}} + \ell'_{\delta}}{\ell_{\text{საწყ.}}} = \frac{2(470BD\hbar_1 + 5,9mD^2) \cdot 10^{-4} \cdot (p_s^{1/n} - \Delta p^{1/n})}{\pi d^2_{\text{ლგ(სტ)}} R_{\theta\alpha} (2\pi - \alpha_{\delta}) \Delta p^{1/n}} + \frac{1,6\gamma\Delta VR_{\delta\alpha} T \alpha_{\delta}}{\pi d^2_{\text{ლგ(სტ)}} \Delta p v (2\pi - \alpha_{\delta})} \quad (12)$$

ხოლო საქმენის საშუალებით დოლისა და ლენტის საკონტაქტო ზედაპირებზე სითხის მიწოდების შემთხვევაში, როდესაც საწყისი მოცულობები ნაწილობრივად უკვე შევსებულია მიწოდებული სითხით, მრუდწირული მიმმართველის სხვადასხვა (ეფექტურის, საკომპენსაციოსა და საწყის მდგომარეობამდე დაბრუნების) ნაწილის შესაბამისი უბნების დახრის კუთხის საანგარიშო ფორმულებს (სითხის მიწოდებისას ნარჩენი ჰაერის გაფართოების პროცესი მიახლოებით იზოთერმულია) ექნება სახე:

$$\operatorname{tg}\alpha_{\text{ვვ}} = \frac{10[(470BD\hbar_1 + 5,9mD^2)10^{-4} - V_{\text{სით}}](p_s - \Delta p)}{\pi d^2_{\text{ლგ(სტ)}} R_{\theta\alpha} \alpha_{\delta} \Delta p}; \quad (13)$$

$$\operatorname{tg}\alpha_{\delta} = \frac{2\gamma\Delta VR_{\delta\alpha} T}{\pi d^2_{\text{ლგ(სტ)}} v \Delta p}; \quad (14)$$

$$\operatorname{tg}\alpha_{\text{საწყ.}} = \frac{2[(470BD\hbar_1 + 5,9m)10^{-4} - V_{\text{სით}}](p_s - \Delta p)}{\pi d^2_{\text{ლგ(სტ)}} R_{\theta\alpha} (2\pi - \alpha_{\delta}) \Delta p} + \frac{D\alpha_{\delta} B \hbar' (p_s - \Delta p)}{4\Delta p d^2_{\text{ლგ(სტ)}} R_{\theta\alpha} (2\pi - \alpha_{\delta})} + \frac{1,6\gamma\Delta VRT \alpha_{\delta}}{\pi d^2_{\text{ლგ(სტ)}} \Delta p v (2\pi - \alpha_{\delta})}, \quad (15)$$

სადაც h' არის დოლისა და საკონვერტო ლენტის რგოლურ ჭვრიტები სითხის შრის სისქე. ვაკუუმ-დოლის საკონტაქტო ზედაპირზე უწყვეტ ნაკადად სითხის მიწოდებისას, ატმოსფეროდან რეციპიენტების ვაკუუმ-მოცულობებში ჰაერის შეწყვას, ე.ი. ვაკუუმის კარგვა პრაქტიკულად არ აღინიშნება და შესაბამისად

$$\operatorname{tg}\alpha_{\delta} \approx 0; \quad \text{მაშინ} \quad \operatorname{tg}\alpha_{\text{საწყ.}} \approx \operatorname{tg}\alpha_{\text{ვვ}}.$$

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ყველა შემთხვევაში, როდესაც ამძრავის საკონტაქტო ზედაპირზე სითხეს უწყვეტ ნაკადად ვაწოდებთ, მაშინ ვაკუუმ-დოლის საწყისი მოცულობების შემცირების პარალელურად, ნულამდე დადის ვაკუუმის კარგვებიც და, მაშასადამე, ამ რეჟიმში მუშაობისას შესაძლებელია მნიშვნელოვნად გამარტივდეს მრუდწირული მიმმართველების ფორმა, რაც, თავის მხრივ, კომპაქტურს გახდის ვაკუუმ-დოლურ ამძრავს, რომელსაც იმავდროულად ექნება მაღალი წევითი თვისება.

დ ა ს კ ვ ნ ე ბ ი

1. ჩვეულებრივი გაჩარხულდოლებიანი ამძრავის სველი ზედაპირები განაპირობებს ძლიერ სრიალს (ბუქსაობას) და შესაბამისად საკონვეირო ლენტის მუშაობის ვადის შემცირებას.

2. სპეციალური ვაკუუმ-დოლებიანი ამძრავების გამოყენებისას სველი საკონტაქტო ზედაპირები აუმჯობესებს (ჰერმეტულობას) ვაკუუმის შექმნის პროცესს, ზრდის ადგეზიონ გამოწვეულ წევის ძალას და ზრდის მუშაობის ხანგრძლივობას.

3. დიდი წევითი თვისების მიღწევისათვის ავმ დოლებიანი ამძრავის შემთხვევაში სრულიად საქმარისია $S_f=2pRB$ დკნ საწყისი დაჭიმულობა; ამიტომ დიდმწარმოებლურ დანადგარებში შესაძლებელია ნაკლებმტკიცე, იაფი ლენტების გამოყენება, რომლის ეფექტური ექსპლუატაცია არ იქნება დამოკიდებული კლიმატურ პირობებსა და სატრანსპორტო მასალის დატენიანების ხარისხზე, რაც, თავის მხრივ, გაზრდის დანადგარების გამოყენების არეს და გააუმჯობესებს მის ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს.

4. კომპაქტური ამძრავის შექმნის წინაპირობაა ავმ დოლების რეციპიენტების მცირე საწყისი მოცულობა.

5. გაუხშოების შექმნა რეციპიენტებში უმჯობესია უპუმშველი (წვეოვგანი) სითხის საშუალებით, რისთვისაც დოლის საკონტაქტო ზედაპირზე გამუდმებით უნდა მიეწოდებოდეს სითხე, ე.ი. საკონვეირო ამძრავების მუშაობის საუკეთესო რეჟიმი ელასტოპიდროდინამიკურია.

2.6. ლენტური კონვეიერების ვაკუუმ-დოლების საიმედოობის ანალიზი

ლენტური კონვეიერების კონსტრუქციული და საანგარიშო სქემების შედგენისა და მათი შემდგომი საექსპლორატაციო ანალიზი უწვენებს, რომ დღევანდელი მონაცემებით, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ერთდოლიანი ამძრავებით მომოუშავე ლენტურ კონვეიერებს [3]. ეს დანაგარები, განსხვავებით მრავალამძრავდოლიანი დანადგარისაგან, ხასიათდებიან შემდეგი უპირატესი მონაცემებით: მცირეა გაბარიტულ ზომები, მეტალშემცველობა და ლენტის მუშაობის დიდი რესურსი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მეტად აქტუალურია

მაღალი ხარისხისა და საიმედოობის მქონე დიდი წევისფაქტორიანი ერთდოლიანი კომპაქტური ამძრვის შექმნა.

წევის ფაქტორისა და წევის ძალების გაზრდის ერთ-ერთი მიმართულებაა საკონტაქტო ზედპირებზე კუთრი ძალვის გაზრდა, რომელთაგან ერთადერთი მაღალი (და ამასთან საკუთარ) წევისფაქტორიანი ამძრავი არის ე.წ. ბავმ ტიპის ვაკუუმ-დოლური ამძრავები.

ამძრავების ხარისხობრივი და მუშაობაში იმედიანი მაჩვენებლების ანალიზისათვის ვადგენთ ტრადიციულ ხახუნისამძრავიანი, წარმოებაში ცნობილი და გამოცდილი ლენტური კონვეიერების მატრიცას (6×8), რომლის მონაცემთა მიხედვით ვსაზღვრავთ საუკეთესო მაჩვენებლიანს, შემდეგ ბავმ ტიპის ვაკუუმ-დოლურ ამძრავებს ვაერთიანებთ ერთდოლიანი ამძრავების ჯგუფში და ვსაზღვრავთ ყველა ამძრავის გათვალისწინებით ვაკუუმ-დოლიანი ამძრავის უპირატეს მონაცემებს. ხარისხიანი და იმედიანი მუშაობის მონაცემების განსაზღვრა ყოველი კონვეიერისათვის ხდება ქვემოთ მოცემული გამოსახულების [2] საშუალებით:

$$K_i = \frac{\sqrt{n \sum_{i=1}^n \left[K_{ij} \left(\sum_{j=1}^n K_{ij} - K_{ij} \right) \right]}}{(n-1) \sum_{j=1}^n K_{ij}} \quad (1)$$

სადაც K_i არის ლენტური კონვეიერების თითოეული ამძრავის ხარისხისა და იმედიანი მუშაობის განზოგადებული დონე; შემდეგ დავვარდეთ კონვეიერების მაჩვენებლების განზოგადებული დონე:

K_{ij} - ერთეულოვანი მაჩვენებლის ხარისხის დონე;

n - შესაფასებელი პარამეტრის რიცხვი.

ჰორიზონტალურ დგარიანი, ერთამძრავდოლიანი ლენტური კონვეიერების პარამეტრების მაჩვენებლები შეგარჩიეთ ცხრილებიდან (გვ. 137 ცხრ. 6) [3]. ეს პარამეტრებია: N - P_1 - ამძრავის დადგმული სიმძლავრე; G - P_2 - ამძრავი სადგურის წონა; S_d - P_3 - საკონვეიერო ლენტის სიმტკიცე გაგლეჭვაზე; V - P_4 - ამძრავი სადგურის გაბარიტები; D - P_5 - ამძრავი დოლის დიამეტრი; e^{ma} - m - P_6 ამძრავი სადგურის წევის ფაქტორი.

ყველა შერჩეული პარამეტრის ზრდა, გარდა წევის ფაქტორისა, იწვევს ხარისხისა და საიმედოობის K_i განზოგადებული მაჩვენებელის შემცირებას. ამძრავი სადგურის წევის ფაქტორის ზრდა კი - ხარისხისა და საიმედოობის K_i განზოგადებული მაჩვენებელის ზრდას, ამიტომ წევის ფაქტორის მნიშვნელობა შემოგვაჭვს, როგორც შებრუნებული სიდიდე.

ლენტური კონვეიერების ამძრავი სადგურის ხარისხისა და საიმედოობის განზოგადებული მაჩვენებელის საძიებო ამოცანის ამოხსნისათვის, კომპიუტერული პროგრამა **Matlab-ის** საშუალებით კომპიუტერში შეგვყავს ამძრავის პარამეტრები, მატრიცა

(6x8)-ის სახით, სადაც 6 – პარამეტრების რიცხვია, 8 კი – შესაფასებელი საკონვეირო დანადგარების ამძრავი სადგურების. ასევე შეგვყავს თითოეული კონვეირის ფუნდამენტური (ფუნქციური) კრიტერიუმი, რომელიც იანგარიშება ფორმულით $\lambda_i = Q \times L / \tau$, სადაც Q არის შესაფასებელი დანადგარის საათობრივი მწარმოებლურობაა, ხოლო L – მისი დგარის სიგრძე.

კომპიუტერული გაანგარიშების შედეგად თვითოეული დანადგარისათვის ვღებულობთ K_{ij} ერთეულოვანი მაჩვენებლის ხარისხის დონეს და ხარისხისა და საიმედოობის განზოგადებულ K_i მაჩვენებელს, რომელიც მოგვყავს ცხრილის სახით.

მატრიცა (6X8)

N ^o	P ₁	P ₂	P ₃	P ₄	P ₅	P ₆	λ_{1-8} , ტქ/სთ
1	90	29,75	32	50,4	0,8	0,67	320
2	180	135	36	29	0,8	0,67	630
3	40	32	26,5	131	0,5	0,67	270
4	100	50	37	58	0,8	0,458	378
5	100	120	35	62	0,63	0,67	672
6	200	150	42	79	0,63	0,67	285
7	500	250	120	172	0,8	0,67	570
8	500	250	120	160	0,8	0,67	630

ცხრილი 2.9

კონვეირის მოდელი	ხარისხისა და საიმედოობის ერთეულოვანი მაჩვენებელი						ხარისხისა და საიმედოობის განზოგადებული მაჩვენებელი K_i
	ამძრავის სიმძლავ- რეზე	ლენტის გაგლეჯის სიმტკიცეზე	ამძრავი სადგურის წონაზე	ამძრავის გაბარიტებ- ზე	ამძრავი დო- ლის დიამე- ტრის მიხე- დვით	წევის ფაქ- ტორის მი- ხედვით	
$K_{i,1}$	$K_{i,2}$	$K_{i,3}$	$K_{i,4}$	$K_{i,5}$	$K_{i,6}$		
КЛ 1 ₅	0,528	1,000	0,520	0,280	0,375	0,477	0,534
КРУ-260	0,528	0,429	0,912	1,000	0,780	0,911	0,774
1ЛБ-80	1,000	0,770	0,530	0,093	0,510	0,400	0,565
1Л100 К	0,560	0,696	0,532	0,290	0,144	0,820	0,559
1ЛБ-100	1,000	0,515	1,000	0,496	1,000	1,000	0,829
1ЛУ-100	0,210	0,114	0,350	0,184	0,420	0,424	0,298
2ЛУ-100	0,168	0,210	0,290	0,160	0,660	0,580	0,358
2ЛЛ-100	0,186	0,202	0,270	0,160	0,775	0,990	0,446

2.9 ცხრილის მიხედვით 1ЛБ-100 დანადგარისათვის ვღებულობთ ყველაზე მაღალი ხარისხისა და საიმედოობის განზოგადებულ მაჩვენებელს: $K_i=0,829$, ამასთან 6 მონაცემიდან 4 ეტალონური – ბაზისურია; ამიტომ 1ЛБ-100 დანადგარის ჩვეულებრივი ხახუნის ამძრავის ვცვლით მის შესაბამისი გეომეტრიული პარამეტრების მქონე ვაკუუმ-დოლით და ვანიჭებთ ახალ სახელწოდებას – БАВМ100.

მიღებული БАВМ100-თვის ვანგარიშობთ ამძრავის წევის ფაქტორს [4]:

$$\frac{S_{\beta}}{S_{\beta}} = e^{\mu\alpha} \left[\frac{pRB}{S_{\beta}} (1 - e^{-\mu\delta}) \sum_{K=1}^n e^{-\mu t(K-1)} + 1 \right], \quad (2)$$

სადაც p – ვაკუუმის (გაუხშოების) სიდიდეა ვაკუუმ-მექანიზმებში დან /ს θ^2

α – დოლზე ლენტის შემოხვევის კუთხე, რად;

B – ლენტის სიგანე, სმ;

δ – დოლის რკალის ცენტრალური კუთხე, რად;

t – განივი კილოების კუთხური ბიჯი, რად;

R – დოლის რადიუსი, სმ;

S_{β} – ლენტის დაჭიმულობა დოლზე სწრაფობის წერტილში;

S_{β} – ლენტის დაჭიმულობა დოლიდან ჩამოქანების წერტილში;

K – მუშა განივი კილოს ნომერი ლენტის ქვეშ.

კვლევის შედეგების მიხედვით მივიღეთ, რომ ვაკუუმ-ამძრავების რაციონალური გამოყენების ზღვარი არის ლენტის საწყისი დაჭიმულობის ცვლილება საზღვრებში:

$$P_{\beta} = S_{\beta} = pRB / 2pRB;$$

თუ მივიღებთ, რომ $S_{\beta}=1,5p$, მაშინ პარამეტრებისას: $p = 0,9$ დან/ს θ^2 , $R=31,5$ სმ, $B=100$ სმ, ბაბმ100-სთვის $S_{\beta}=1,5 \times 0,9 \times 31,5 \times 100 = 4252$ დან

ამ დროს, ჩატარებული კვლევების [4] მიხედვით ამძრავის წევის ფაქტორი ტოლია 9,2 და შესაბამისად ლენტის დაჭიმულობა სწრაფობის წერტილში იქნება:

$$S_{\beta} = S_{\beta} \times e^{\mu\alpha} = 9,2 \times 4252 = 39118 \text{ დან},$$

განვითარებული წევის ძალა კი

$$F = S_{\beta} - S_{\beta} = 39118 - 4252 = 34866 \text{ დან}.$$

მაშინ ამძრავის სიმძლავრე (პვ), როდესაც ლენტის სიჩქარე $v = 1,6$ მ/წმ,

$$N = \frac{Fv}{102\eta} = \frac{34866 \times 1,6}{102 \times 0,95} = 643$$

ამძრავზე მიღებული წევის ძალის მიხედვით განვსაზღვროთ საკონვეირო დგარის შესაძლო სიგრძე:

$$L = \frac{F}{1,1(q+2q_{\beta}+q_{\beta}'')} = \frac{34866}{1,1(73+2 \times 12,5+25+8,5) \times 0,03} = \frac{34866}{4,33} = 8052 \text{ ,}$$

სადაც $q = \frac{Q}{3,6v} = \frac{420}{3,6 \times 1,6} = 73$ დან/მ არის საკონვეირო დგარის გრძივი დატვირთვა;

$q_{\beta} = 12,5$ დან/მ – ერთი გრძივი მეტრი ლენტის წონა;

$q_{\beta}'' = 25$ დან/მ – დგარის ერთ გრძივ მეტრზე მოსული მუშა შტოს გორგოლაჭების წონა;

$q_{\beta}''' = 8,5$ დან/მ – დგარის ერთ გრძივ მეტრზე მოსული უქმი შტოს გორგოლაჭების წონა;

$\omega = 0,03$ – გორგოლაჭების ბრუნვის წინაღობის კოეფიციენტი.

მიღებული გაანგარიშება გვაძლევს შესაძლებლობას, კონვეირი ვაკუუმ-ამძრავით ბაბმ100 წარმოვადგინოთ შემდეგი პარამეტრებით: $L=5000$ მ, $Q=420$ ტ/სთ, $0,63$ მ დოლის დიამეტრი და $N_{\text{დაღ}}=500$ კვტ სიმძლავრე. ასეთი ამძრავი განავითარებს წევის ძალას

$$P = 1,1(q + 2q_{\varphi} + q_{\beta}' + q_{\beta}'')\omega L = 1,1(73 + 2 \cdot 12,5 + 25 + 8,5)0,03 \times 5000 = 21650 ;$$

ამასთან, მოთხოვნილი სიმძლავრე შეადგენს

$$N_{\text{ძოვ}} = 1,2 \frac{21650 \cdot 1,6}{102 \cdot 0,85} = 479$$

ამგვარად, პირობა $N_{\text{დადგ}} > N_{\text{ძოვ}}$, შესრულებულია ($500 > 479$).

შევიტანოთ ერთდოლიანი ლენტური კონვეიერების ამძრავების ჯგუფში ვაკუუმ-ამძრავიანი კონვეიერი БАВМ100 და განვსაზღვროთ ერთდოლიანი ლენტური კონვეიერების ამძრავთა განზოგადებული დონე.

მათემატიკური მოდელირებისათვის (6×9)-ზე მატრიცის სახით და ცხრა ფუნქციური კრიტერიუმით, პროგრამაში შეგვაგს ცხრა კონვეიერის პარამეტრები

მატრიცა (6×9)

№	P ₁	P ₂	P ₃	P ₄	P ₅	P ₆
1	90	29,75	32	50,4	0,8	0,67
2	180	135	36	29	0,8	0,67
3	40	32	26	131	0,5	0,67
4	100	50	37	58	0,8	0,458
5	100	120	35	62	0,63	0,67
6	200	150	42	79	0,63	0,67
7	500	250	120	172	0,8	0,67
8	500	250	120	160	0,8	0,67
9	500	120	110	160	0,63	0,102

λ_{1-9} , ტბ/სთ
320
630
270
378
672
285
570
630
420x5=2100

კომპიუტერული პროგრამა გვძლევს ხარისხის დონეებს, კერძოდ K_{ij} -ის ერთეულოვანი მაჩვენებლის ხარისხის დონეს და ხარისხისა და საიმედოობის განზოგადებულ K_i - მაჩვენებელს, რომელიც მოცემულია 2.10 ცხრილში.

ცხრილი 2.10

კონვეიერის მოდელი	ხარისხისა და საიმედოობის ერთეულოვანი მაჩვენებელი						ხარისხისა და საიმედოობის განზოგადე- ბული მაჩვენებელი K_i
	ამძრავის სიმძლავ- რებზე $K_{i,1}$	ლენტის გა- ბლეჭის სიმტკიცეზე $K_{i,2}$	ამძრავი სადგურის წონაზე $K_{i,3}$	ამძრავი გაბარი- ტებზე $K_{i,4}$	ამძრავი დო- ლის დამტ- ტრის მიხედ- ვით $K_{i,5}$	წვის ფაქ- ტორის მი- ხედვით $K_{i,6}$	
КЛ 1 ₅	0,528	0,61	0,52	0,28	0,188	0,022	0,37
КРУ-260	0,528	0,266	0,912	1,000	0,376	0,045	0,54
1ЛБ-80	1,000	0,483	0,530	0,093	0,250	0,019	0,41
1Л100 К	0,560	0,431	0,530	0,290	0,222	0,039	0,35
1ЛБ-100	1,000	0,319	1,000	0,496	1,505	0,049	0,58
1ЛУ-100	0,210	0,108	0,350	0,184	0,162	0,020	0,17
2ЛУ-100	0,168	0,181	0,290	0,160	0,335	0,020	0,19
2ЛЛ-100	0,186	0,143	0,270	0,160	0,015	0,045	0,14
БАВМ-100	0,621	1,000	0,994	0,592	1,000	1,000	0,87

მე-2.10 ცხრილის მონაცემებით, БАВМ100 კონვეიერს ხარისხის ერთეულოვანი მაჩვენებლების მიხედვით სამი საბაზო ეტალონური მაჩვენებელი 1-ის ტოლი აქვს, ხოლო მე-4 ახლოსაა ერთოან. ამ მაჩვენებლებმა განაპირობა მისი ყველაზე მაღალი ხარისხის ერთეულოვანი მაჩვენებელი – **K_i=0,87**.

БАВМ100-ის მაღალი განზოგადებული ხარისხის დონე გვაძლევს შესაძლებლობას აღვნიშნოთ, რომ ლენტური კონვეიერი ერთდოლიანი ვაკუუმ-ამძრავით მაღალხარისხიანი და საიმედო მექანიზმია.

3. საკონვენციო ამძრავების მოხახუნე ზედაპირების მაკროსიმქისისა და ლენტან საკონტაქტო ზედაპირის რგოლურ ჭვრიტეში ვაკუუმის ფორმირების საკითხებზე ჩატარებული სამუშაოების ანალიზი

ლენტური კონვენციების დღემდე ცნობილი ამძრავი ვაკუუმ-დოლების ლენტან საკონტაქტო რგოლურ ჭვრიტეში ვაკუუმის შექმნის პროცესების ანალიზით მიღებულია, რომ ვაკუუმის შექმნის ყველაზე ხელსაყრელი პირობაა რეციპიტიული ჩაკუტილი (წვეროვანი) სითხის აღიაბატური ან პიპრადიაბატური გაფართოება, რომლის დროს ოპტიმალური სიღრის ვაკუუმი – $p = (0,9 - 0,95) \cdot 10^5$ პა.

3.1. ზედაპირების ტექსტურის შესწავლის მეთოდები და პარამეტრები

სახუნის პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ზედაპირების მექანიკური ურთიერთქმედების ბუნება. აღნიშნულ საკითხზე, თუნდაც მხოლოდ წარმოდგენის შექმნისათვის, საჭიროა ზედაპირების ტექსტურის შესწავლა და სიმქისის გაზომვის მეთოდის შერჩევა. არსებობს სიმქისის გაზომვის მექანიკური, პიდრავლიკური და ოპტიკური მეთოდები [54, 55].

ზედაპირების ტოპოგრაფიის დახასიათებისათვის საჭიროა მისი აუცილებელი პარამეტრების დაზუსტება. დღეისათვის ცნობილია ერთპარამეტრიანი მოდელის 12 ვარიანტი, რომელთაგან პირველი იყო 1933 წელს ნიკურაძის მიერ შემოთავაზებული. მკვლევარები იმედოვნებდნენ, რომ ერთპარამეტრიანი მოდელირებით შესაძლებელი იქნება ზედაპირის პროფილის სრული აღწერა, მაგრამ ვერ შეთანხმდნენ, ამისათვის ყველაზე შესაფერის პარამეტრზე. ზედაპირების დახასიათებისათვის ერთპარამეტრიანი მოდელირების არასრულფასოვნებაში დარწმუნების შემდეგ რუზის, მურის და სხვა მკვლევართა მიერ შემოთავაზებული იყო სამ-სამ პარამეტრიანი მოდელები; უფრო მოგვიანებით ზედაპირის ტექსტურის სრულყოფილი აღწერისათვის მურმა ჩამოაყალიბა (მკაფიოდ გამოხატული) ხუთი პარამეტრისაგან შედგენილი მოდელი. არსებობს ზედაპირის ტექსტურის აღწერის სხვა მეთოდებიც, მაგალითად, ებოტის “საყრდენი ზედაპირის” ცნობილი მრუდი, რომელიც ასახავს ზედაპირის უსწორმასწორობების შესაბამის მიმართ შვერილებისა და ღრმულების პროცენტულ განაწილებას [54, 55].

ამგვარად ზედაპირის გეომეტრიის სრული დახასიათებისათვის, ზოგიერთს ცალკე შემთხვევაში, საკმარისია სამპარამეტრიანი მოდელირება, ხოლო ზედაპირის ტექსტურის განსაკუთრებულობების ზოგადი აღწერისათვის კი შემოთავაზებულია ხუთი შემდეგი პარამეტრი: 1. ზომა; 2. ფორმა; 3. შვერილებს შორის მანძილი; 4. უსწორმასწორობათა პიკების მიკროსიმქისე; 5. უსწორმასწორობების სიმაღლეთა განაწილება. ჩამოთვლილთაგან პირველი სამი ტექსტურის აღწერისათვის აუცილებელია. აღნიშნულის გამო რუზიმ და

მურიმ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შემოიტანეს შემდეგი პარამეტრები: 1. ზომის ფაქტორი – ε/L ; 2. ფორმის ფაქტორი – κ/ε (სპრ-საშუალო პიდრაგლიკური რადიუსი) და 3. შვერილებს შორის მანძილის ფაქტორი – $(1-a/as)$. ε არის ზედაპირის უსწორმასწორობების შვერილის სიმაღლე (ითვლება მუდმივად [54]), κ -განისაზღვრება სითხის ნაკადისათვის არხის ტიპურ მონაკვეთზე (ნაკადის ზედაპირის ფართობის შეფარდებით სველ პერიმეტრან); L – წარმოდგენილი პროფილის სიგრძეა, a – “პლატ” ანუ $L \times L$ ზედაპირის შვერილების წვეროების საერთო (ჯამური) ფართობი; as – ზედაპირის ნომინალური ფართობი ანუ L^2 .

ზედაპირის შვერილების სიმაღლის ცვალებადობა ნათლად აისახება კონტურული გრაფიკების საშუალებით [54], რომელიც შეიძლება აიგოს სამგანზომილებიანი ტვიფრის მოცულობითი რეპლიკების (მიკრორელიეფის გამომხატველი თხელი აპკის) საშუალებით. რეპლიკების მიღება შეიძლება შესასწავლ ზედაპირზე მასტიკის ჩაწერებით (მაგალითად, არალდიტის [55]) ან მეიერის მეთოდით – შესასწავლ ზედაპირზე ალუმინის ფოლგის (კოლიტას) ფურცლის მოთავსებით, შემდგომ მასზე რეზინის სადებით დარტყმითი მოქმედებით.

საკონტროლო ზედაპირების უწესრიგო ტექსტურის გამო, მისი აღწერისათვის საყოველთაოდ მიღებულია მათი წარმოდგენა იდეალური ფორმის ერთ ან რამოდენიმე შვერილთა ჯგუფად; ასევე მიღებულია კუბის, კონუსისა და სფეროს ფორმის შვერილები. არსებობს აზრი სხვა ისეთ იდიალიზებულ ფორმებზე როგორიცაა კუბი, პირამიდა და ნახევარსფერო [54]. რეალური ზედაპირის წარმოდგენისათვის უმჯობესია ყველა ფორმის შვერილის (კუბის, კონუსის პირამიდის...) ერთ მოდელში გაერთიანება. არსებობს სხვა მნიშვნელოვანი შეხედულებებიც [54]. ამის გამო ჩამოყალიბებულია მოთხოვნები ტექსტურის (პროფილის) უწესრიგობების შეზღუდვის თაობაზე. ჩვენი სამუშაოს შინაარსის მიხედვით მნიშვნელოვანი მოთხოვნაა ზედაპირზე დრენაჟის თვისებების შენარჩუნება, რისთვისაც აუცილებელია, რომ სარინი არხები არ იყოს ძალიან გრძელი, და ამასთან ძალიან დრმა.

დერიაგინის კვლევების მიხედვით „სითხის მოცულობითი თვისებები იკარგება მხოლოდ ღრებოს (არხის) 0,1 მკმ-მდე შემცირების შემდეგ“ [71]; 6. პეტროვმა ასეთ ღრებოებში სითხის მოძრაობის ლამინარულობის დაშვების სამართლიანობა დაამტკიცა; ლითონების მექანიკურად დამუშავებისას კი მათი ზედაპირების გეომეტრიის შესწავლამ [33] მაკროსიმქისის ზომების შემდეგი ხარისხობრივი მონაცემები აჩვენა: სახარატო ჩარხზე ჩარხებისას – 0,25÷2,0 მმ; ხეხვისას – 12,0÷75,0 მკმ; წმინდა ხეხვისას – 2,0÷25,0 მკმ; გაპრიალებისას – 0,2 მკმ. თუ იმასაც აღვნიშნავთ, რომ ვაკუუმ-ამძრავების ლენტან საკონტაქტო ზედაპირის დამუშავება ხდება ჩარხებით და სხვა მექანიკური ოპერაციებით, მაშინ აღნიშნულზე დაყრდნობით შეიძლება გაპერდეს დასკვნა, რომ საკონვეირო ლენტან წარმოქმნილ ჭვრიტეში სითხის მოძრაობა ძირითადად ლამინარული იქნება და შენარჩუნდება სითხის მოცულობითი თვისებები, ხოლო ჭვრიტეში სითხის დინების

ანგარიშისათვის შეიძლება ვისარგებლოთ უკუმშველი ბლანტი სითხის მოძრაობის ცნობილი განტოლებებით.

3.2. ვაკუუმ-ამძრავების ხახუნის კვანძების საკონტაქტო ზედაპირების დახასიათება


ვაკუუმ-ამძრავების ხახუნის კვანძები წარმოდგენილია სხვადასხვა საკომპოზიციო მასალების კონსტრუქციული შეთანწყობის სახით. ამ კვანძების საკონტაქტო, ერთმანეთის მიმართ მიმოძრავი ზედაპირებით ხდება არხებსა (რეციპიენტებსა) და რგოლურ ჭვრიტებში ვაკუუმის შექმნაც და გარკვეული პერიოდით მისი შენარჩუნებაც. დღემდე ცნობილ ვაკუუმ-ამძრავებში შეიძლება გამოიყოს ხახუნის სამი ძირითადი კვანძი:

1. ნებისმიერი კონსტრუქციის კოლექტორი, რომლითაც ხდება ვაკუუმის გარე წყაროსთან (ვაკუუმ-ტუმბოსთან) ვაკუუმ-ამძრავის მუშა რეციპიენტების დაკავშირება;
2. ამძრავისა და ლენტის საკონტაქტო ზედაპირებით შექმნილი რგოლური ჭვრიტები რომლითაც ხდება წევის ძალების რეალიზაცია. ამ კვანძში რგოლური ჭვრიტებს დოლისეულ ზედაპირებში წარმოდგენილია (განხილური გვაქვს) [67,68] საკონტაქტო ზედაპირის ყველა ცნობილი კონსტრუქცია, მათ შორის ჩვენ მიერ შემოთავაზებული – გრძივდარიანი, წრიული ამონაჩარხებით (იხ. ნახ. 3.4ო).
3. ცილინდრ-დგუშიანი აპმ (ავტომატური ვაკუუმური მექანიზმი), რომლითაც დოლის ბრუნვის თანხვდენილად, დგუშების უკუმცვით-წინსვლითი მოძრაობით მარტივი ვაკუუმ-არხებისა და ნახვრეტების საშუალებით, რგოლურ ჭვრიტებში იქმნება გაუხშოება.


განვიხილოთ თითოეული.

- 1) ვაკუუმ-დოლის კოლექტორის მოხახუნე ზედაპირები ლითონისაა და მისი წმინდა ხეხვით დამუშავებისას სიმქისე იქნება $2 \div 25$ მგმ-ის საზღვრებშია. ამ კვანძზე ლითონის ლითონზე ხახუნის კვლევების შედეგად მიღებული შეხედულებები გამოიყენება, როგორც ხახუნის თეორიის შესწავლისას, ასევე ზედაპირების ტექსტურის განხილვისას [54, 55, 76, 82, 83, 84].

ა)



ბ)




ნახ. 3.1.


3.1 ნახაზის მიხედვით თითოეული ზედაპირის სიმქისის მიერ შექმნილი „პლატო“ ზედაპირი მცირეა (განსაკუთრებით მაშინ, თუ ზედაპირები თერმულად დამუშავებულია და დრეგადი და დრეგადპლასტიკური ეფექტი შემცირებული). ამგვარად, დიდია რგოლური ჭვრიტის მაკროსიმქისე. შესაბამისად დიდი იქნება სიჩქარეც და ჭვრიტები გამავალი სითხის ხარჯიც. ყოველივე ეს მოითხოვს დამატებითი ჰერმეტიზაციის დონისძიებების ჩატარებას, კოლექტორიდან რეციპიენტების ატმოსფეროსთან მოკლედ შერთვის გამოსარიცხად.

2) დოლისა და ლენტის რგოლური ჭვრიტის გეომეტრიული მაკროზომები კოლექტორის ზედაპირებით შექმნილ ჭვრიტებთან შედარებით, ასეთ შესაბამისობაში იქნება: გაჩარჩვით დამუშავებისას დოლის ზედაპირის სიმქისის საზღვრები $0,25 \div 2$ მმ-ის ფარგლებშია, ხოლო თუ ელასტომერებზე ხახუნის კვლევების შედეგად მიღებულ შეხედულებებს გავითვალისწინებთ, მაშინ მას 3.2 ნახაზზე წარმოდგენილი სახე ექნება [54, 55].

გ)



ბ)



ნახ. 32.

როგორც 2.2 ნახაზე ჩანს მოცემულ შემთხვევაში დოლის ზედაპირის სიმქისეზე (მაკროშეკრილებზე) დიდია ელასტომერის დეფორმაციის ხარისხი. ამის შედეგად დიდია „პლატო“ ზედაპირი. ამგვარად საკონტაქტო ზედაპირზე გვექნება ერთმანეთთან კაპილარული არხებით დაკავშირებული, ორივე ზედაპირის სიმქისეებით წარმოქმნილი (ეწ. შემზეთი) სითხის ლოკალური რეზერვუარები.

3.1 და 3.2 ნახაზებისა, აგრეთვე ელასტომერიდინამიკური შეზეთვის თეორიის [76, 55] გათვალისწინებით ვაკუუმის სისტემებს დაქვემდებარებული ზედაპირები, ლითონისლითონთან ხახუნისას (კოლექტორების შემთხვევაში) (ნახ. 3.1) მაკროსიმქისეებში განუწყვეტლივ მიმდინარეობს შედუღების, წაკვეთისა და დაკაწვრის (დახვის) პროცესები, ხოლო ლითონის ელასტომერთან ხახუნისას ლითონის სიმქისეებზე დეფორმირდება და მჟიდროდ ებჯინება მას ელასტომერი, ამიტომ მიღებული ჭვრიტის კაპილარული არხები და ლოკალური რეზერვუარები კოლექტორის (ლითონის-ლითონთან) ჭვრიტის მაკროსიმქისეზე მცირე იქნება.

რეზერვუარებიდან გაწოვისათვის კი კაპილარულ არხებში სითხის ჰიდროაეროდინამიკური წინააღმდეგობები კოლექტორული მოწყობილობის ჭვრიტებს წინააღმდეგობაზე ნაკლები უნდა იყოს და თუ ასე არ იქნება სითხის (პაერის) შეწოვა ვაკუუმ-ტუმბოთი მოხდება კოლექტორს გარე სივრციდან (მაგ. ატმოსფეროდან) და არა ამძრავი დოლის და საკონვეირო ლენტის რგოლური ჭვრიტებან.

3) ცილინდრ-დგუმიანი მუშტა მექანიზმი, რომელიც შრომებში [60, 65, 66] მოხსენიებულია, როგორც აპტონომიური ვაპუუმური მექანიზმები (აპმ) სტანდარტული ზომის U-ს მაგვარი რეზინის (და მისთ.) სამაჯურების (მანქეტების) – დგუშების, მთლიანადგლინული უსანგავი მილების – ცილინდრებისა და დაკალიბრებული ღეროებისაგან (დგუშების ჭოკებისათვის) შედგენილი მექანიზმებია. ამ მექანიზმების დგუშისეული სივრცის ჰერმეტიზაციის გაუმჯობესებისათვის შეიძლება გამოვიყენოთ U-ს-მაგვარი სამაჯურების ერთობლიობა, ხოლო მისი მუშაობის საიმედოობის გაზრდის მიზნით (კონსტრუირებისას და ამძრავი დოლის საკონტაქტო ზედაპირების კონსტრუქციების კვლევისას), გავითვალისწინოთ აპმ-ის დგუშების ოპტიმალურად მცირე სვლა.

ფიზიკური და კომპიუტერული მოდელების საშუალებით ზემოთ მოყვანილი ხახუნის სამივე კვანძის მოხახუნე ზედაპირების მაკროსიმქისეებში, ლოკალურ რეზერვუარებსა და

კაბილარებში სითხის მოძრაობის თეორიული და ექსპერიმენტული შესწავლა განაპირობებს ვაკუუმ-ამძრავების საკონტაქტო ზედაპირების ოპტიმალური პარამეტრების დადგენას.

3.3. ვაკუუმ-ამძრავთა დოლების რგოლური ჭვრიტეს საკონტაქტო ზედაპირების დახასიათება

წარმოდგენილი ვაკუუმ-ამძრავთა კონსტრუქციებისა და კონსტრუქციული სქემების (იხ. ნახ. 1.1. და ცხრ. 1.2) შესწავლისას, საკონტაქტო ზედაპირების კონსტრუქციის ნიშნის მიხედვით გამოკვეთილი შვიდი ტიპიდან (ნახ. 1.1; 29, 30, 32, 33, 34, 35, 36) პრაქტიკული (ლაბორატორიული, ნახევრადსამრეწველო და სამრეწველო) გამოცდა გაიარა: პერფორირებულმა – (30) და გრძივლარებიანმა – (31, 32 და 35) საკონტაქტო ზედაპირებმა, რომელთაც დაწვრილებით განვიხილავთ ამ თავის დასკვნით ნაწილში. ქვემოთ კი მოცემულია დანარჩენი თითოეული ზედაპირების დახასიათება-შეფასება შესაბამის ვაკუუმის შემქმნელ მექანიზმთან კომპლექსში:

1. გამჭოლი გრძივჭრილებიანი (4-29) ზედაპირის რგოლურ ჭვრიტეში ვაკუუმის შექმნა (სქემა 1-5; 2-8; 3-12, 22, 25; 4-29; ნახ.1.8; ან 1-5; 2-8; 3-12,28; 4-29; ნახ. 1.9) ხორციელდება მარტივი კონსტრუქციით, მაგრამ მათი უარყოფითი მხარეებია: (ნახ. 1.8)-სთვის საკომპოზიციო მასალის – ელასტიკური გარსის, როგორც ამონაგის და ამავე დროს ვაკუუმის შემქმნელ ელასტიკად მუშაობის შეუძლებლობა გამოყენების სფეროთა ფიზიკური თვისებების შეუთავსებლობის გამო; (ნახ.1.9)-ისთვის – ამუშავებისათვის არასაკმარისი ცენტრიდანული ძალის განვითარება, დოლისა და ლენტის დაბალი სიჩქარისას და კომპენსაციის შეუძლებლობა ვაკუუმის კარგვისას. ამ ზედაპირის მიმართ თეორიული და ექსპერიმენტული კვლევები სამცნიერო ლიტერატურულ წყაროებში ვერ მოვიძიეთ. საპატენტო ფონდის წყაროებში [40] კი კარგადაა გადმოცემული კოლექტორიანი და ზოგიერთი ავტონომიურმექანიზმიანი ამძრავების უარყოფითი მხარეები.

2. გრძივლარებიანი სეგმენტებისაგან შედგენილი რკალები (4-36), რომლის ზედაპირის რგოლურ ჭვრიტეში ვაკუუმის შექმნა (სქემა 1-5; 2-8; 3-11, 14, 16, 21; 4-36; ნახ. 1.10) ხორციელდება ვაკუუმ-ტუბოსა და პერიფერიული განლაგების წრიული კოლექტორით, მოძიებული წყაროების მიხედვით, პრაქტიკულად არ გამოცდილა, მაგრამ კონსტრუქციული სქემის თეორიული და ლოგიკური ანალიზით შეიძლება აღვნიშნოთ მისი უარყოფითი მხარეები, რის მიხედვითაც განისაზღვრება პრაქტიკაში მისი გამოყენების ვარგისობა. კერძოდ, სეგმენტებს შორის ლრეზოების ხარჯზე საკონტაქტო ზედაპირების ურთიერთგადაფარვის კოეფიციენტის კიდევ უფრო შემცირება (ეს კი გამოიწვევს დოლის ზედაპირზე კუთრი ნორმალური ძალების სიდიდის გაზდას) და დოლის მსახველის მთელ სიგრძეზე სეგმენტთა ღრეზოებს შორის ლენტის ჩაღუნვა და მისი მოდება დოლის რკალის

მთელ განივ ჭრილზე. ეს ფაქტები უარყოფითად იმოქმედებს ლენტის მუშაობის ვადაზე. ამგვარად, გამოყენების ძირითადი აზრი – ლენტის თვითგაწმენდის შესაძლებლობა, რომლის მიხედვით ეს კონსტრუქციული სქემაა ცნობილი (რომელიც საფუძვლად უდევს გამოგონების ფორმულას), არაევექტურია იმის გამო, რომ ამ კონსტრუქციაში წევის ძალების რეალიზაცია მოხდება უფრო უშუალო მოდებით, ვიდრე გარეგანი ხახუნით.

3. განაპირა გაწოვის შევრონულდარებიანი (4-31,34) ზედაპირის ორკოლექტორიანი ვაკუუმ-დოლის კონსტრუქციული სქემა (ნახ. 1.11) შექმნილია ლენტის ცენტრირების გაუმჯობესების მიზნით. ცენტრირების პირობა შეიძლება მართლაც გაუმჯობესდეს, მაგრამ შევრონულდარებიანი ზედაპირის რგოლურ ჭვრიტეში, სადაც გაუხშოება ხორციელდება (სქემა. 1-5; 2-8; 3-11, 14, 16, 21; 4-31, 34. ნახ. 1.11) წრიული კოლექტორისა და ვაკუუმ-ტუმბოს საშუალებით, მთელი ვაკუუმ-სისტემის პერმეტიზაციის უზრუნველყოფის მიზნით საჭიროა ამძრავიდან ლენტის ჩამოქანებისა და სწრაფობის უბნებში თითო წყვილი შევრონული დარის ამორთვა. ეს გამოიწვევს ვაკუუმის გავრცელების ზონის შემცირებას, რაც დაუშვებელია, განსაკუთრებით რგოლური ჭვრიტის დრეპადი სრიალის რკალისათვის [60]. აღნიშნულის გამო შევრონულ დარებიანი საკონტაქტო ზედაპირები, არა რაციონალურად მიგვაჩნია.

4. ვაკუუმ-დოლი, მისი მსახველის პარალელური ორი რიგითა და განაპირა გაწოვის გრძივლარებიანი ზედაპირით (4-31, 33) და კოლექტორული რგოლის ცენტრალური განლაგებით (ნახ. 1.14). გაიშვიათების ეს სქემა (1-5; 2-8; 3-11, 14, 15, 21) შეიქმნა საკონტაქტო რგოლურ ჭვრიტეში თანაბრად განაწილებული ვაკუუმის ფორმირების მიზნით. ეს კონსტრუქციული სქემა ფაქტობრივად იმუშავებს, როგორც ცენტრალური გაწოვის გრძივლარიანი ვაკუუმ-დოლი. მაგრამ ამ სქემაშიც რჩება კოლექტორიანი და რთული – ლაბირინთური რეციპიენტები. ამასთან დოლი შედგება ორი ცილინდრისათვის, რომელთა შორის განლაგებულია ლენტის არამუშა ზედაპირის ფიგურული ნაწილი. მძლავრი საკონვეირო ამძრავებისათვის ასეთი კონსტრუქციის დოლი მიუღებელია [78, 79] მისი კონსტრუქციული არარაციონალურობის გამო. იმის გათვალისწინებით, რომ მის ლილვსა და რგოლურ ჭვრიტეზე იმოქმედებს რამდენიმე ათასი კილოვატი სიმძლავრის შესაბამისი მგრეხი მოქენტი. წინა კვლევით სამუშაოებში [60] მინიშნებულია ცენტრალური გამწოვი ნახვრეტების ანუ „დაბალი ვაკუუმის“ ცენტრალურ ნაწილში განლაგების კონსტრუქციულ უპირატესობაზე. ამ ჭეშმარიტად რეალურ ფაქტზეა დამყარებული (ნახ. 1.15) [61, 62] და მისი შემდგომი, პერიოდის სავტორო მოწმობები (იხ. ნახ. 1.14 და 1.16 და სხვ.). მიუხედავად აღნიშნული საკითხის წინა პლანზე წამოწევისა, განხილული კონსტრუქციული (იხ. ნახ. 1.14) სქემა, ვაკუუმის შექმნის რთული სისტემისა და საკონტაქტო ზედაპირის ფიზიკური არასრულყოფილი კონსტრუქციის გამო, პლატფორმის სუსტობიექტად ითვლება.


5. ვაკუუმ-დოლი მსახველის პარალელური, ერთი რიგითა და განაპირა გაწოვის გრძივლარებიანი (4-31, 32) ზედაპირით და ერთი პერიფერიულკოლექტორიანი ვაკუუმ-

არხებით (რეციპიენტებით) (სქემა: 1-5; 2-8; 3-11, 14, 16, 21; 4-31, 32; ნახ. 1.12), არის ლენტური კონვეირის სათავო დოლური გაცუმ-ამძრავი, მისი პარამეტრების შესწავლის პირველი ობიექტი, რაზეც ჩატარდა ფართომასშტაბიანი კვლევითი სამუშაოები [22]. და გამოვლინდა ვაკუუმ-დოლის მრავალი უპირატესობა. ეს შედეგები შემდგომ კვლევებში [21, 60] კიდევ უფრო გამოიკვეთა და ბევრად უფრო აღმატებული მნიშვნელობა მიიღო. ადრეული კვლევის მონაცემები წარმოდგენილია სამეცნიერო ლიტერატურულ წყაროებში [92]. ზოგიერთი გვიანი შედეგი მოყვანილი იქნება ამ ნაშრომშიც.


პარაგრაფის დასაწყისში აღვნიშნეთ, რომ დეტალური განხილვის ობიექტად მიგვაჩნია გრძივდარებიანი და პერფორირებული ზედაპირები, მათი თეორიული და ექსპერიმენტული კვლევების დაწვრილებითი ანალიზი. შედეგები მოცემულია ამ პარაგრაფის (6) და (7) პუნქტებში.

6. ვაკუუმ-დოლი, მსახველის პარალელური, ერთრიგა, ცენტრალური გაწოვის გრძივდარებიანი ზედაპირით (4-35) და რგოლურ ჭვრიტებში ავტონომიური ვაკუუმ-მექანიზმებიანი (ავმ) გაუხშოების წყაროთი (სქემა: 1-5; 2-8, 9; 3-12, 24, 25; 4-35; ნახ. 1.15) პირველი ავმ ამძრავია, – ობიექტი, რომელზედაც გაკეთდა შემაჯამებელი კვლევითი სამუშაოები [60]. ნაშრომის შედეგების მიხედვით, დასკვნით ნაწილში აღნიშნულია ცენტრალური გაწოვის გრძივდარებიანი (35) საკონტაქტო ზედაპირის უპირატესობა განაპირა გაწოვის გრძივდარებიანთან (31) შედარებით; პირველადაა ჩატარებული რგოლური ჭვრიტეს ვაკუუმური ზონის უპირატესი ადგილმდებარეობის თეორიული და ექსპერიმენტული დასაბუთება [60]; შემოტანილია ცნებები ვაკუუმ-ამძრავის საკუთარი წევის ფაქტორისა და ლენტის ოპტიმალური საწყისი (ჩამოქანების შტოს) დაჭიმულობის შესახებ ($S \leq 2 p_{\text{d}}$). აღსანიშნავია ის ფაქტორიც, რომ ამავე ნაშრომში გაკეთებულია მიმდინარე პარაგრაფის მე-5 და მე-6 პუნქტებში განხილული საკონტაქტო ზედაპირთა ტიპების ერთნაირი ტიპზომის ვაკუუმ-დოლების წევის ძალების ანალიზი (იხ. ნახ. 3.3). 3.3ა ნახაზე ასახულია [22, 32] კვლევის შედეგები, 3.3ბ ნახაზე კი იმავე დოლის წევითი თვისებები სპეციალური სამარჯვებით (თამასებით) ცენტრალური გაწოვის იმიტაციის გაკეთების შემდეგ [60]. 3.3გ ნახაზე კი იმავე ტიპზომის სტუ-ს სამთო მანქანების, მაღაროს სტაციონარული დანადგარებისა და ტრანსპორტის კათედრის ლაბორატორიაში შექმნილი ცენტრალური გაწოვის გრძივდარებიან წრფივკოლექტორიან ვაკუუმ-დოლზე შესრულებული ექსპერიმენტებით მიღებული წევითი თვისებები [60].


a)



b)



c)




6.5. b. 33

წარმოდგენილი შედეგების მიხედვით ცენტრალური გაწოვის გრძივლარებიანი ზედაპირის მქონე გაკუუმ-დოლის წევის ძალები თითქმის სამჯერ აღემატება (იხ. ნახ. 3.3; p=608 მმ.გ.წყ.სვ; S_ს=2800 დკნ, S_ჩ=200 დკნ) განაპირა გაწოვის გრძივლარებიანი ზედაპირის ვაკუუმ-დოლის წევის ძალებს (იხ. ნახ. 3.3; p=600 მმ.გ.წყ.სვ; S_ს=950დკნ., S_ჩ=200დკნ). გარდა აღნიშნულისა, ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომელიც შეინიშნება 3.3ა ნახაზზე, კერძოდ, საწყისი დაჭიმულობის (S_ჩ) ზრდით 0-დან რაღაც მნიშვნელობამდე, მცირედ, მაგრამ მაინც, ვაკუუმის თითქმის ყველა სიდიდისთვის იკლებს ლენტის დაჭიმულობა სწრაფობის წერტილში, ხოლო შემდეგ ზოგიერთ შემთხვევაში კვლავ მატულობს.

ეს მოვლენა არ აღინიშნება 3.3ბ და 3.3გ ნახაზზე დაფიქსირებულ ექსპერიმენტთა შედეგებში, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ „ჭვრიტული ელასტიკური მოდებით“ წევის ძალების რეალიზაცია (ამძრავის მუშაობისას, განსაკუთრებით, როდესაც S_ჩ≠0) ან არ არსებობს, ან უმნიშვნელოა. ამ საკითხის ანალიზსა და ნათელმოფენას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენ მიერ შემთავაზებული ახალი კონსტუქციის საკონტაქტო ზედაპირის დამუშავება-შექმნისას და ლენტის რესურსების ანგარიშისას.

7. პერფორირებულ ზედაპირიანი (4-30) კონსტრუქციის ვაკუუმ-ამძრავები კვლევის ერთ-ერთი საინტერესო ობიექტია (1-5 ან 1-6; 2-7, 2-8 ან 2-9; 3-10, 3-11 ან 3-12), რომელიც გამოყენებულია ვაკუუმ-ამძრავების თითქმის ყველა კონსტრუქციული ნიშნის შემთხვევაში. ამით აიხსნება მეცნიერულ კვლევებში [21, 19, 20, 93] მათზე ვრცლად წარმოდგენილი ნაშრომები, როგორც ვაკუუმის ფორმირების, ასევე ამძრავისა და მოქნილი საწევი ორგანოს უერთიერთქმედების საკითხებზე. თეორიული და ექსპერიმენტული კვლევების ბოლო მონაცემების მიხედვით [93] შეიქმნა და გამოიცადა შუალედური ვაკუუმ-ამძრავი, რომელმაც ერთხელ კიდევ თვალსაჩინოდ დაადასტურა რგოლური ჭვრიტის გაუხშოებაზე მომუშავე ამძრავების უპირატესობა სხვა ამძრავებთან შედარებით. უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე შესრულებულ ყველა კვლევით სამუშაოში მითითებულია წევის ძალების მნიშვნელოვან წილზე, რომელიც დოლის საკონტაქტო ზედაპირზე ლენტის ჭვრიტული მოდებით – „ელასტიკური კბილანური მოდებით“ ხორციელდება. ეს მოვლენა არასასურველია ამძრავის ნორმალური მუშაობის უზრუნველყოფისათვის და ყველანაირი ღონისძიებაა მოსაძებნი და მისაღები, რათა წევის ძალების რეალიზაცია ხდებოდეს გარეგანი ხახუნით, ამასთან, საკონტაქტო ზედაპირზე რგოლურ ჭვრიტები მაქსიმალური და თანაბრად განაწილებლი ვაკუუმის პირობებში. შრომებში მითითებულია, რომ გაიშვიათების გარე წყაროდ გამოყენებულ ვაკუუმ-ტუმბოებს შეუძლია 70-80 კპა გაიშვიათების უზრუნველყოფა [20]. სპეციალური ლიტერატურიდან [19] ისიც ცნობილია, რომ რაღაც მიზეზების დროს და არცოუ იშვიათად, საკონტაქტო ზედაპირზე ვაკუუმი მცირდება 5÷10 კპა-მდე. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ გამაუხშოებელი მექანიზმის, მაგალითად, ტუმბოს გამოყენება არასრულფასოვანია. ჩვენ მიერ მოძიებული მასალების მიხედვით კი მისი სტაბილიზაციისა და ამაღლების შესაძლებლობა მნიშვნელოვანია. ამის რეალური მაგალითია თუნდაც 3.3 ნახაზზე წარმოდგენილი შედეგები. ვითვალისწინებთ ყოველივე

ზემოთთქმულს და ვიზუალურად, წინასწარი ანალიზის გაადვილების მიზნით, საკონტაქტო ზედაპირების არსებული კონსტრუქციების შვიდივე ტიპის ილუსტრაციისათვის მოგეყვას მათი გამოკვეთილი ფრაგმენტები (ნახ. 3.4 ა, ბ, გ, დ, ე, ზ). არსებული თეორიული, აქსერიმენტული კვლევითი მასალებისა და საკონტაქტო ზედაპირების კონსტრუქციისა და კონსტრუქციული სქემების ანალიზის საფუძველზე ჩვენ მიერ შემოთავაზებულია ამძრავების ახალი საკონტაქტო ზედაპირი წრიული ამონაჩარნისა (პერფორაციის მსგავსი არაგამჭოლი) და გრძივი დარის სინთეზის სახით (ნახ. 3.4 თ).



ნახ. 3.4

3.4. საკონტაქტო ზედაპირების რგოლურ ჭვრიტეში ვაკუუმის ფორმირებისადმი მიძღვნილი სამუშაოების ანალიზი

ვაკუუმის ცნება ფიზიკასა და ტექნიკაში განისაზღვრება, როგორც გაზის მდგომარეობა, ატმოსფერულზე გაცილებით დაბალი წნევის პირობებში, ე.ო. ვაკუუმი რაოდენობრივად განისაზღვრება გაზის აბსოლუტური წნევით. ვაკუუმის ფიზიკაში ძირითადი პოსტულატები ჩამოყალიბებულია შემდეგი სახით:

1. გაზი შედგება ცალკეული მოლეკულებისაგან;
2. არსებობს სიჩქარის მიხედვით გაზის მოლეკულების მუდმივი განაწილება ანუ მოლეკულების ერთნაირი რიცხვს ყოველთვის ერთი და იგივე სიჩქარე აქვს;
3. გაზის მოლეკულების მოძრაობისას არ არსებობს უპირატესი მიმართულება ანუ გაზის მოლეკულების სივრცე იზოტროპულია;
4. გაზის ტემპერატურა არის მისი მოლეკულების საშუალო კინეტიკური ენერგიის საზომი;
5. მყარი ტანის ზედაპირთან ურთიერთქმედებისას გაზის მოლეკულა ადსორბციოდება.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ვაკუუმში მიმდინარე მრავალი ფიზიკური პროცესი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული კედლებზე მოლეკულების რეციპიენტების დაჯახებათა საშუალო რიცხვისა (K_d) და მოლეკულების ურთიერთდაჯახებათა რიცხვის (K_a) ფარდობაზე – $K_d = K_d/K_a$; K_d – არის კნუდსენის კრიტერიუმის უგანზომილებო კოეფიციენტი, რომლის მიხედვით განისაზღვრება ვაკუუმის ხარისხი: დაბალი, საშუალო, მაღალი და ზემაღალი.

დაბალი ვაკუუმის დროს $K_d \ll 1$, ხოლო მოლეკულების თავისუფალი გზის საშუალო სიგრძე (L) ვაკუუმ-კამერის ეფექტურ ზომაზე ($d_{\text{ეფ}}$) მნიშვნელოვნად მცირეა.

საშუალო ვაკუუმი – არის გაზის მდგომარეობა, რომლის დროს მოლეკულების ურთიერთდაჯახებათა რიცხვი და მოლეკულების რეციპიენტების კედლებთან დაჯახებათა რიცხვი ერთნაირია, ამ დროს $L \approx d_{\text{ეფ}}$ ხოლო $K_d \approx 1$;

მაღალი და ზემაღალი ვაკუუმისას $K_d \gg 1$, და $L/d_{\text{ეფ}} \gg 1$ ამ პირობისათვის საკმარისია აბსოლუტური წნევის მნიშვნელობა p_0 არაუმეტეს 10^{-9} პა იყოს.

ამგვარად, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ვაკუუმ-ამძრავებში შექმნილი გაუხშოება დაბალი და საშუალო ვაკუუმის ხარისხის საზღვრებშია კნუდსენის კრიტერიუმის მიხედვით და გაუხშოებით მიღებული დოლზე ლენტის მიჭერის კუთრი ძალა $(0,1 \div 0,95) \times 10^5$ პასკალის ფარგლებშია მოქცეული.

ვაკუუმ-ამძრავების თეორიის პილევით სამუშაოებში [39, 21, 22] საკონტაქტო რგოლურ ჭვრიტეში ვაკუუმის თანაბარი განაწილება გათვალისწინებულია დოლის როგორც განივი, ასევე წრიული მიმართულებით. თუმცა, [22, 32] შრომებში ხაზგასმითაა მითითებული ლენტისა და ვაკუუმ-დოლის საკონტაქტო ზედაპირების „ელასტიკურ კბილანურ მოდებაზე“, რაც ეწინააღმდეგება ვაკუუმის თანაბარი განაწილების პირობას.

მაშასადამე, აღნიშნულ შრომებში გაუხმოების თანაბრად განაწილების იდეა არავითარ მამტკიცებელ დაბულებებს არ შეიცავს, პირიქით, „ელასტიკური კბილანური მოდებით“ უფრო მეტ წინააღმდეგობაში ვარდება.

პერფორირებული საკონტაქტურდაპირიანი ვაკუუმ-დოლის კვლევებში [21] მითითებულია წინამორბედ მკვლევართა უზუსტობები, რომლებიც ოთხი პუნქტის სახითაა ჩამოყალიბებული [21]. სამუშაო ჩატარდა ვაკუუმ-დოლის რეციპიენტებში გაზის მოლექულების მოძრაობის წინააღმდეგობის თეორიული შესწავლით საკონტაქტო რგოლურ ჭვრიტები თეორიული გაუხმოების განსაღზდვრისა და შემდეგ მის ექსპერიმენტულად შემოწმების მიზნით. წარმოდგენილია ვაკუუმ-დოლის სისტემაში ნარჩენი წნევის ცვლილების განმსაზღვრელი ფორმულები: პაერის ტურბულენტური მოძრაობისას მართკუთხა გრძივი დარქბისათვის, წრიული კვეთის რეციპიენტებისათვის, საკონტაქტო რგოლურ ჭვრიტები ვაკუუმ-დოლის წრიული პერფორაციების ირგვლივ და შემოთავაზებულია გასაშუალოებული თეორიულ წნევათა სხვაობის განმსაზღვრელი ფორმულა, რომლითაც დოლის ზედაპირს აწვება ლენტი. მიღებული ნორმალური ძალების საფუძველზე განსაზღვრულია ამძრავი ვაკუუმ-დოლის წევითი შესაძლებლობა (W_0) და მოცემულია ფორმულა პაერის პოლიტროპული პროცესით გაფართოებაზე მომუშავე ვაკუუმ-ტუმბოს მწარმოებლობის (Q) განსაზღვრისათვის:

$$W_0 = S_b(e^{\mu\alpha} - 1) + K_1 P_3 [0.8 K_2 R \alpha' B + m n F_1 (1 - K_2)] (e^{\mu\alpha'} - 1) / 736 \alpha'$$

$$Q = 60 K_d (V_{ax} \alpha' + V_{kol} \alpha'') \times 2.3 \lg P_s / P_b / R \alpha'' t$$

ამ გამოსახულებებში:

K_1 არის კოეფიციენტი, რომელიც ახასიათებს წნევის ცვალებადობას ვაკუუმ-დოლის ვაკუუმ-სისტემის შემავალ მიღებულსა და მისი საკონტაქტო ზედაპირის პერფორაციას შორის;

K_2 – კოეფიციენტი, რომელიც აღნიშნავს რგოლური ჭვრიტის ნებისმიერ წერტილში ვაკუუმის ვარდნის ხარისხს ამ წერტილის გაიშვიათების ზონის ცენტრიდან (პერფორაციიდან) დაშორების შესაბამისად;

P_3 – ვაკუუმმეტრის ჩვენება, მმ.ვწყ.სვ;

R – ამძრავი ვაკუუმ-დოლის რადიუსი, სმ;

m – პერფორაციის რიცხვი მსახულის გასწვრივ (რეციპიენტებზე);

n – რეციპიენტების რიცხვი რგოლურ ჭვრიტებში;

α – რგოლურ ჭვრიტები ცენტრალური კუთხე, რომელზეც იქმნება ვაკუუმი;

α'' – ვაკუუმ-დოლის ორ მეზობელ რეციპიენტს შორის ბიჯი;

F_1 – პერფორაციის ფართობი, სმ²;

B – ლენტის სიგანე, სმ;

K_d – კოეფიციენტია რომელიც აღნიშავს რგოლური ჭვრიტებან და ვაკუუმ-სისტემის სხვა ლრეზოგბიდან შეწოვილი ჰაერის რაოდენობას;

V_{ax} – ერთი ლარის ერთეულოვანი ვაკუუმ-სისტემის – რეციპიენტის მოცულობა;

$V_{\text{გოდ}}$ – კოლექტორის საკნის მოცულობა;

R – პოლიტროპის მაჩვენებელი;

t – ამოტუმბვის დრო;

P_s და P_b – ამძრავი გაკუუმ-დოლის რეციპიენტებში საწყისი და საბოლოო წნევები.

ექსპერიმენტულ ნაწილში პერფორაციებს შორის საკონტაქტო ზედაპირზე გაკუუმის გაზომვა ხდებოდა ზონდირების საშუალებით და მიღებული შედეგი უდარდებოდა კოლექტორის წინ გაკუუმ-ტუმბოს ქსელში ჩართული გაკუუმეტრის ჩვენებას. ექსპერიმენტები შესრულებულია განსხვავებული სიდიდის გაკუუმისა და საკონვეირო ლენტის დაჭიმულობისას, აგრეთვე მშრალი და სველი საკონტაქტო რგოლური ჭვრიტეს შემთხვევებისათვის. მიმდინარეობდა დაკვირვებები გავლენაზე, რომელსაც ახდენდა ლენტის სიხისტე და დაჭიმულობა თანაბრად განაწილებული გაკუუმის ფორმირებაზე. გაკეთებულია თეორიული და ექსპერიმენტული შედეგების ანალიზი და მიღებულია შესაბამისი დასკვნებიც.

მაგრამ საკონტაქტო ზედაპირის კონფიგურაცია და მისი პარამეტრებიც განსაზღვრულია მხოლოდ ამძრავის კონსტრუქციული (კოლექტორის საკნის ზომები, რეციპიენტების ბიჯი და ა.შ.) მოსაზრებით, სადაც არ ფიგურირებს ისეთი აუცილებელი პარამეტრები, როგორებიცაა დოლის ბრუნვის სიხშირე, კოლექტორული რგოლის ჰერმეტიზაციის ხარისხი, გაკუუმ-ტუმბოს გარე ქსელისა და საკუთრივ გაკუუმ-დოლის რეციპიენტების ჰაერის გამტარუნარიანობა. ნაშრომში [21] წარმოდგენილი $\nabla \varphi = 55 \times 10^{-3}$ სმ სისქის რგოლური ჭვრიტის შემთხვევაშიც კი. კოლექტორული რგოლის ღრებოს (ლითონილითონთან) აეროდონამიკური წინაღობა გაცილებით მცირე იქნება ამძრავის საკონტაქტო რგოლური ჭვრიტის წინაღობასთან შედარებით, რაც საგრძნობლად გაზრდის **K_დ**-კოეფიციენტს (იხ. გაკუუმ-ტუმბოს მწარმოებლურობის გამოსახულება) და არარაციონალურს გახდის კონსტრუქციას. დასკვნებში ნათელია, რომ სველი რგოლური ჭვრიტის შემთხვევაში უმჯობესდება გაკუუმ-დოლისა და ლენტის ჩაჭიდულობის პირობა გაკუუმის ზონის ჰერმეტიზაციის ამაღლების ხარჯზე. ჩვენი მოსაზრებები ამ საკითხზე სრულად უმთხვევა ხახუნის კლასიკურ თეორიას და განხილულიც გვაქვს თანაბრად განაწილებული გაუსშოების შექმნის უზრუნველყოფის აუცილებელ პირობებში.

გაკუუმ-ამძრავების რგოლურ ჭვრიტებსა და ფრიქციულ საკონტაქტო ფართობებზე გაუხმოების ფორმირების პროცესის აღწერისადმი მიძრგნილ შრომებში [18, 19, 20, 17, 93] გამოყენებულია რეინოლდსის, პრანდტლისა და ნუსსელტის კრიტერიუმები [93], ხოლო ლაბორატორიული ექსპერიმენტებისათვის, სტატიკურ რეჟიმში ტარდებოდა ზონდირების მეთოდით გაკუუმის სიდიდის გაზომვა პერფორაციებში, გრძივ დარებში, მათ შორის საკონტაქტო ფართობებზე, რაც არ შეესაბამება გაკუუმის მყისერად ფორმირების რეალურ სურათს.

ვაკუუმ-ტუმბოს თეორიული მწარმოებლობის განმსაზღვრელი ფორმულა მოცემულია ვაკუუმ-არხებში (რეციპიენტებში-მილსადენებში) ჰაერის მოძრაობის წინააღმდეგობის გაუთვალისწინებლად და აქვს სახე [20].

$$Q = \frac{V}{t_0} \ln \frac{p_1}{p_2}$$

სადაც V არის გასაუხშოებელი (ობიექტის) აპარატის მოცულობა;

t_0 – გასაუხშოებელი მოცულობიდან ამოტუმბვის დრო (და არა მოძრავი რეციპიენტის კოლექტორის საკანში ყოფნის დრო ($t_0 = L_{\text{ს.ფ.}} / v$), სადაც $L_{\text{ს.ფ.}}$ – შუალედი ამძრავის სიგრძეა; v – ამძრავის ბრტყელას მოძრაობის სიჩქარე).

p_1 და p_2 – აპარატში საწყისი და საბოლოო წნევა.

ამ შრომების ნაკლოვან მხარეებში შეიძლება დაგასახელოთ იგივე, რაც წარმოდგენილია ზემოთ [21] შრომის ანალიზისას.

მიუხედავად სადისერტაციო თემაზე [60] ჩატარებული თეორიული და ექსპერიმეტული კვლევებისა, რომელიც მიეძღვნა საკონტაქტო რგოლურ ჭვრიტეში მიმდინარე პროცესებს, მაინც მცირე ყურადღება აქვს დათმობილი ავტონომიურ ვაკუუმ-მექანიზმებიანი (ავმ) ამძრავების საკონტაქტო ზედაპირების მთელ ფართობზე ვაკუუმის გავრცელების ხასიათის თეორიულ შესწავლას. ნაშრომში [60] მითითებულია, რომ ვაკუუმი მთელ საკონტაქტო ზედაპირზე თანაბრად ვრცელდება იმის გამო, რომ ზედაპირების მაკრომოცულობები და ვაკუუმ-არხები (შევსილია) დასველებულია სითხით, რომლის გაწოვით ხდება ვაკუუმის შექმნა რგოლური ჭვრიტის მთელ ფართობზე. მტკიცება სარწმუნოა, და მაინც, ვაკუუმის გავრცელების სიჩქარისა და ხასიათის თეორიული შესწავლა ამ შემთხვევაშიც აქტუალურია და კვლევის საინტერესო ამოცანას წარმოადგენს. ჩვენი აზრით, მხოლოდ ამ ამოცანის სრულფასოვანი გადაწყვეტა მოგვცემს ვაკუუმ-ამძრავების საკონტაქტო ზედაპირების ოპტიმალური პარამეტრების განსაზღვრის მეთოდიკას. სადისერტაციო ნაშრომში [60] წარმოდგენილი საერთო დასკვნები, როგორებიცაა: 1) ახალი მეთოდით ვაკუუმის შექმნა; 2) ცენტრალური გაწოვის მარტივ რეციპიენტებიანი ავმ-იანი ამძრავის უპირატესობა; 3) ვაკუუმის ფორმირების ზონად “შედარებითი სიმშვიდის რკალის” აღიარება; 4) ვაკუუმ-ამძრავების გამოყენების ეფექტურ ზონად $S_{\text{ჩ}} \leq 2p_{\text{დ}}$ პროგრამული (ლენტის საწყისი) დაჭიმულობის მიხნევა; 5) “დრეკადი სრიალის რკალზე” მყისეური “საშუალო” სიდიდის ვაკუუმის (იხ. 2.5 პარაგრაფის დასაწყისი) შენარჩუნებით, ამძრავისათვის შესაძლებელი ყველაზე დიდი წევითი თვისებების უზრუნველყოფა; 6) ის რომ ვაკუუმ-ამძრავი ხასიათდება $S_{\text{ჩ}}/p_{\text{დ}}$ საბუთარი წევის ფაქტორებით, – სავსებით მისაღებია და მათი გათვალისწინებით ვირჩევთ თეორიული და ექსპერიმეტული კვლევის შემდგომ ეტაპს. ამ ეტაპზე მირითადი მიზანია (ვაკუუმის წყაროსთან და ვაკუუმ-ამძრავთან კომპლექსში) საკონტაქტო ზედაპირის რაციონალური კონსტრუქციისა და მისი ოპტიმალური პარამეტრების საანგარიშოდ ისეთი

მეთოდიკის შემუშავება, რომელიც მართებული იქნება ნებისმიერი თანამედროვე სტანდარტული ტიპ-ზომის სკონვენიერო (გაკუუმ-) ამძრავის საანგარიშოდ.

ახალი საკონტაქტო ზედაპირის ყველა პარამეტრის ანგარიში და მათი შემდგომი შემოწმება ექვემდებარება ჩვენ მიერ შერჩეული ბაზისური ვაკუუმ-დოლის (ი.e. შესავლის დასკვნითი ნაწილი) მისადაგებას და შემდგომ მიღებული ახალი, მოდიფიცირებული ამძრავის იტერაციულ გაანგარიშებას, რომელმაც საშუალება მოგვცა, შეგვექმნა ამძრავის საკონტაქტო ზედაპირის გეომეტრიული ზომებისა და სხვა აუცილებელი პარამეტრების გაანგარიშების მეთოდიკა.

3.5. ვაკუუმ-ამძრავი როგორც ლენტური საკისარი

ავმ ვაკუუმ-ამძრავებში ვაკუუმის შექმნის პროცესის ოპტიმალური ვარიანტია რგოლურ ჭვრიტეში გაუხშოების შექმნის ორსაფეხურიანი მოდელი [60]. პირველ საფეხურზე გათვალისწინებულია დოლისა და ლენტის საკონტაქტო ზედაპირზე სითხის მიწოდება წნევით. საკონვენიერო ლენტისა და დოლის ზედაპირის მიმართ საწნევო საქმენი ისე უნდა იყოს განლაგებული, რომ სითხით უზრუნველყოფდეს ამძრავის რგოლური ჭვრიტისა და აპმ-ის დგუშისეული სივრცის მაქსიმალურად შევსებას. ამ პროცესით მთავრდება პირველი საფეხური, რომელიც მეორე საფეხურზე უზრუნველყოფს „თხევადი დგუშის“ არსებობას (სითხე, რომელიც დგუშისეულ სივრცესა და რგოლურ ჭვრიტეშია შეყვანილი). მეორე საფეხურზე, შედარებითი სიმშვიდის რკალზე, იწყებენ რა დგუშები (ელასტომერის U-ს მაგვარი სამაჯურები) მოძრაობას, აპმ-იანი დოლის ცენტრიდან პერიფერიულისაკენ, საწნევო საქმენის საშუალებით მოძრაობაში მოჰყავთ, რგოლურ ჭვრიტესა და დგუშისეულ სივრცეში, ჩვენ მიერ იძულებით (წნევით) შეყვანილი სითხე და ვაკუუმი ფორმირდება საკონტაქტო ზედაპირზე [62]. ეს პროცესი განუწყვეტლივ მეორდება ამძრავის მუშაობისას. როგორც ზემოთ აღწერილიდან ჩანს, ვაკუუმის შექმნის მოსამზადებელი პირველი საფეხურის ხარისხიან შესრულებას (დგუშისეული სივრცისა და რგოლური ჭვრიტის ლოკალური რეზერვუარების სითხით მაქსიმალურ შევსებას) უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამძრავის რგოლურ ჭვრიტეში გაუხშოების თანაბრად განაწილებასა და ფორმირებაში. ამიტომ ვაკუუმის შექმნის პროცესის შესწავლისას ჯეროვანი ყურადღება უნდა დაეთმოს პირველ საფეხურსაც. ვაკუუმის ფორმირების ეს ეპიზოდი შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც წევის ძალებისა და ლენტის მოძრაობის სიჩქარის რეგულირების ერთ-ერთი საშუალება (მაგალითად, კონვეიერის გაშვებისას).

ზემოთ აღწერილის მიხედვით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ საქმენის წნევის ხარჯზე რგოლურ ჭვრიტეში შეტანილი უხვი სითხის გამო დასაწყისში დოლზე ლენტის ხახუნი პიდროსტატიკურ რეჟიმში მიმდინარეობს, დგუშების პერიფერიულისაკენ ამოძრავებისთანავე გადადის ზღვრულში, ხოლო აგრძელებენ რა აპმ-ის დგუშები (ინტენსიურ) სვლას

პერიფერიულისაკენ, ხახუნი პრაქტიკულად გადადის მშრალ ხახუნში (იმავდროულად ვაკუუმის გარემოში). დგუშების პროგრამულ მოძრაობას ახორციელებს წინასწარი გათვლებით დაპროექტებული, ჭოკის ბოლოვანებთან დაკავშირებული მრუდწირული მიმმართველები. აღნიშნულის გათვალისწინება და არსებული ლიტერატურული წყაროების ანალიზი საფუძველს იძლევა დავასკვნათ, რომ დგუშების პერიფერიულისაკენ სვლის დაწყებისთანავე, რგოლურ ჭვრიტები ხდება სითხის იძულებითი დრენირების (არინების) უცილობელი გააქტიურება.

ვაკუუმ-დოლის მუშაობის პროცესი, განსაკუთრებით საწყისი მომენტში (როდესაც ხახუნი მიმდინარეობს ჰიდროსტატიკურ რეჟიმში), ლენტური საკისრის მუშაობის რეჟიმის იდენტურია. შესაბამისად, მისი პარამეტრების განსაზღვრისას, შეიძლება იტერაციული მეთოდით გამოვიყენოთ ლენტური საკისრის გაანგარიშების თეორიის საკითხები.

რაც შეეხება ხისტი საყრდენისა და ელასტომერის (მაგ. ამძრავი დოლის ზედაპირისა და საკონვეიურო ლენტის) ურთიერთმიახლოების ზუსტ თეორიულ ანალიზს, ის ჯერ არ არსებობს [54].

ამგარად, ლენტური კონვეირის ჩემულებრივი დოლური ამძრავები, როდესაც მათ მუშაობა უხდება სველი ხახუნით, ე.ო. ელასტომიდროსტატიკურ და ელასტოპიდროდინამიკურ რეჟიმში, შეიძლება გამოვიანგარიშოთ, როგორც მძლავრი ლენტური საკისარი. ვაკუუმ-დოლების შემთხვევაში კი საჭირო იქნება სპეციფიკური პროცესების გათვალისწინებით (დგუშების სვლით დრენაჟირების ეფექტის აჩქარება; ვაკუუმის ფორმირების პროცესისა და დოლის ხაზოვანი სიჩქარის მექანიკური ბლოკირება და ა.შ) ამძრავის ძირითადი პარამეტრების ანგარიშის მეთოდიკის დამუშავება.

საკონტაქტო ზედაპირებზე სითხის (ნებისმიერის) არსებობა, ვფიქრობთ, საჭიროებს შეზეთვის კლასიკური თეორიის თვალსაზრისითაც ხახუნის თეორიის საკითხების გამოკვლევა-დამუშავება. შეზეთვის კლასიკური თეორია კი ორ რეჟიმს ითვალისწინებს (ნახ. 3.5): ჰიდროდინამიკურია და ზღვრულს. შეზეთვის თეორიაში ძირითადი საანგარიშო პარამეტრია ზომერფელდის განზოგადებული რიცხვი S_0 , რომელიც იანგარიშება ბლანტი ხახუნის ძალის შეფარდებით თხელ შემზეთ აპკზე მოქმედ წევის ძალასთან ანუ

$$S_0 = \frac{\tau L^2}{pL^2} = \frac{\mu U}{pL} = \frac{\eta N}{P} \quad (3.1)$$


სადაც τ არის მხები ძაბვა; p – ნორმალური (ძალა) წნევა (ძაბვა); N – ბრუნვის სიხშირე;

\bar{P} – საშუალო დაწყევა; μ – სითხის სიბლანტე; U – სითხის მოძრაობის სიჩქარე.

ზომერფელდის რიცხვს ფუნდამენტური მნიშვნელობა [55] ენიჭება შეზეთვის ამოცანების ამოხსნაში და საკისრების კონსტრუირებისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პარამეტრია [54, 55].

როგორც უკვე აღნიშნეთ, სითხის შრის სისქე და შესაბამისად ჭვრიტები სითხის ხარჯი და მოძრაობის სიჩქარე დოლზე ლენტის სწრაფობის წერტილიდან ჩამოქანების წერტილამდე მაქსიმალურად მცირდება (თითქმის უტოლდება ნულს), რაც მიესადაგება

ხახუნის ხასიათის ცვლილებას თხევადიდან (ჰიდროდინამიკურიდან) ზღვრულამდე და შემდგე უკვე მშრალ ხახუნამდე [54, 55]. ხახუნის პროცესის ასეთი ცვლილება განპირობებულია ზომერფელდის განზოგადებული რიცხვის ცვლილებით (იხ. ნახ. 3.5.) [55].



2.3 ნახაზე წარმოდგენილი გრაფიკის მიხედვით ხახუნის კოეფიციენტის მაქსიმალური მნიშვნელობა შეესაბამება: ჰიდროდინამიკური რეჟიმისას – ზომერფელდის განზოგადებული რიცხვის მაქსიმალურ მნიშვნელობას, ხოლო მშრალი ხახუნის რეჟიმისას – ზომერფელდის განზოგადებული რიცხვის მინიმალურ მნიშვნელობას. ჩვენი შემთხვევისათვის აპმ ტიპის ვაკუუმ-ამძრავის მუშაობის ოპტიმალურ რეჟიმი არის მშრალი ხახუნის რეჟიმი ზომერფელდის განზოგადებული რიცხვის (S_0) მინიმალური მნიშვნელობისას. (3.1) გამოსახულების მიხედვით S_0 -ის შემცირება განპირობებულია დამოკიდებულებით, როდესაც: μ – სითხის სიბლანტე, U – სითხის მოძრაობის სიჩქარე ან შეიძლება ორივე ერთადაც მიისწავლის ნულისაკენ.

$(U \rightarrow 0)$

$$\text{გ.ო.} \quad S_0 = \frac{\mu(U \approx 0)}{pL} = \delta \approx \frac{U(\eta \approx 0)}{pL} \approx 0$$

$(\mu \rightarrow 0)$

3.6. ავმ ვაკუუმ-ამძრავის ხახუნის კვანძების კონსტრუქციული დამუშავება ლაბორატორიაში სტენდური შესწავლისა და სამრეწველო გამოცდისათვის

3.6.1. ხახუნის კვანძების გამოსაცდელი სტენდის მოწყობილობა

ხახუნის კვანძების საკონტაქტო ზედაპირების ექსპერიმენტული შესწავლისათვის ვისარგებლეთ სტენდის ბაზისური ნაწილით, რომელიც შეიქმნა პეტროვ-უკოვსკის ამოცანის მიხედვით ავმ ტიპის ვაკუუმამძრავის სტატიკაში კვლევისათვის [60]. ხახუნის კვანძების ექსპერიმენტულად შესწავლისათვის 2.2 პარაგრაფში განხილული სტენდი მზადდებოდა 3.6-ე, 3.7-ე და 3.8-ე ნახაზებზე წარმოდგენილი სქემების შესაბამისად – კვლევის ეტაპების თანხვდენილად. სქემებს თან ერთვის სტენდის რეკონსტრუქციული კვანძების ფოტომასალა. კვლევა მიმდინარეობდა სამ ეტაპი. პირველი ეტაპი (ნახ. 3.6.) ითვალისწინებდა ვაკუუმ-ამძრავების სხვადასხვა კონსტრუქციის საკონტაქტო ზედაპირებითა და საკონვეიერო ლენტით შექმნილი რგოლური ჭვრიტეს ჰერმეტიზაციის ხარისხობრივ შეფასებას. მეორე ეტაპი (ნახ. 3.7.) – ვაკუუმ-სისტემის მიერ დამატებით შეწოვილი სითხის რაოდენობის განსაზღვრას რგოლურ ჭვრიტეზე მიერთებული კოლექტორის შემთხვევაში. მესამე ეტაპი (ნახ. 3.8.) – უშუალოდ აპმ-ის დგუშების ჰერმეტიზაციის ხარისხობრივ შეფასებას.

სამივე ეტაპზე ექსპერიმენტები ტარდებოდა მაქსიმალურად ერთნაირ პირობებში და შედეგები ფიქსირდებოდა შესაბამის ცხრილებში. სარეგულირებელ პარამეტრებად მიღებული იყო: ლენტის სწრაფობის S_1 და ჩამოქანების S_2 შტოების დაჭიმულობები; ვაკუუმის სიდიდე; ჰიდროდინამიკური, ზღვრული და მშრალი ხახუნის პირობები; ვაკუუმს დაჭვემდებარებული საკონტაქტო ზედაპირის (რეციპიენტის) განთავსების ადგილი რგოლურ ჭვრიტეში და საკონტაქტო ზედაპირის კონსტრუქციის (ტიპზომების 12 ძირითადი) ვარიანტი (იხ. ცხრილი 3.1.). თითოეული პარამეტრის ცვლილებით ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგები ფიქსირდებოდა სპეციალური ნომრით 3.1. ცხრილის დამატებაში (იხ. 3.1. ცხრილის დამატება №1, 2...12 და ა.შ. 1...12 – ვარიანტის ნომერია; I, II, III – ხახუნის პირობები; I – მშრალი; II – ზღვრული; III ჰიდროდინამიკური).

ლაბორატორიული კვლევის ყველა ეტაპზე უცვლელი იყო შემდეგი მონაცემები:


1. დოლის დიამეტრი, მმ; $D=360$;
2. დოლის სიგანე, მმ; $B_d=520$;
3. დარის (ანუ მიხი შეხაბიმიხი რეციპიენტის) ნომრის ათვლის მიმართულება $S_{\text{ჩ-დან}} S_{\text{ტ-გ}} = P_1, P_2 \dots P_n$;
4. ლენტის სიგანე, მმ; $B_{\text{ლ}}=500$;
5. ერთნაირი პარამეტრების მქონე დარების რაოდენობა (იხ. ცხრილი 2.1-ის შენიშვნები);
6. დარის ცენტრალური ხახურების დიამეტრი, $d_{\text{დარ}} = 6$ მმ;

7. ყველა სახისა და კონსტრუქციის დარის სიღრმე, მმ; $h=2,0$.


ბაზისური სტენდის ეტაპის შესაბამისად მომზადება სდებოდა ვაკუუმის პირობებისათვის მისაღები მასალებით (მაგ. ვაკუუმური მოქნილი მიღები), სამარჯვებითა და ხელსაწყოებით. ეტაპის შესატყვისი ცდების ჩატარებისას გამოსაცდები კვანძის მდგომარეობა მაქსიმალურად შეესატყვისებოდა რეალურს, ვაკუუმ-დოლის დგარის მიმართ საჭირო მდგომარეობაში ფიქსირება (იხ. ცხრ. 3.1), ხორციელდებოდა დოლის ლილვზე დამაგრებული ხრუტუნა თვალისა და ჩარჩოზე დამონტაჟებული სარეკელას საშუალებით. საჩერის ასეთი კონსტრუქცია საშუალებას გვაძლევდა დაგვეფიქსირებინა დოლის საჭირო ზედაპირი ნებისმიერ პოზიციაში რგოლური ჭვრიტეს მიმართ ლენტის სწრაფობის, ჩამოქანების ან მათ შორის ნებისმიერ უბანში.

ვაკუუმის წყაროდ გამოყენებული იყო ორყვინთიანი მიმდევრობითი მოქმედების მექანიკური **ВН-2МГ** ტიპის ვაკუუმ-ტუმბო. მისი საშუალებით ამოტუმბვის სისტრაფე 3947 კდ (0,04 ატ) წნევისას შეადგენდა 20,88 მ³/სო-ს.

I სტანდარტი



II სტანდარტი




ცხრილი 3.1


კარია ნობის №	b_δ	b_δ	b_δ	$a_{\delta\delta}$	$a_{\delta\delta}$	l_δ	l_δ	l_δ	შენიშვნები
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1	გლუვზედაპირიანი – გაჩარხული								$\alpha=\pi$
2	გაჩარხ.	16	16	–	10	–	280	280	
3	16	16	16	10	10	280	280	280	$n_g=12$
4*	16	20/10	20/10	10	30	280	420	420	
5*	20/10	20/10	20/10	30	30	420	420	420	$n_g=10$
6*	20/10	20/10	გაჩარხ.	30	–	420	420	–	
7	20	20	20	40	40	420	420	420	$n_g=5$
8	20	20	10	40	23	420	420	420	$n_g=1$
9	10	10	10	10	10	420	420	420	$n_g=14$
10	10	10	10	15	15	420	420	420	$n_g=12$
11	10	10	10	20	20	420	420	420	$n_g=9$
12	20	20	10	40	20	420	420	420	

* 20/10 ~შეესატყვისება d/b (იხ. 3.1. ცხრილის II სტანდარტი)

I sqema



II sqema



ცხრილი 3.1.

გარია ნი ნო	b_δ	b_δ	b_δ	$a_{\delta\delta}$	$a_{\delta\delta}$	l_δ	l_δ	l_δ	შენიშვნები	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	
1	გლუვზედაპირიანი – გაჩარხული									$\alpha = \pi$
2	გაჩარხ.	16	16	–	10	–	280	280		
3	16	16	16	10	10	280	280	280	$n_G = 12$	
4*	16	20/10	20/10	10	30	280	420	420		
5*	20/10	20/10	20/10	30	30	420	420	420	$n_G = 10$	
6*	20/10	20/10	გაჩარხ.	30	–	420	420	–		
7	20	20	20	40	40	420	420	420	$n_G = 5$	
8	20	20	10	40	23	420	420	420	$n_G = 1$	
9	10	10	10	10	10	420	420	420	$n_G = 14$	
10	10	10	10	15	15	420	420	420	$n_G = 12$	
11	10	10	10	20	20	420	420	420	$n_G = 9$	
12	20	20	10	40	20	420	420	420		

* 20/10 ~შესატყვისება d/b (ი. 3.1. ცხრილის II სქემა)

დოლის საკონტაქტო ზედაპირის სახესხვაობები ცხრილი 2.1.-ის მიხედვით









3.1. ცხრილის დამატება № 7

ხახუნის რეჟიმი: რგოლურ ჭვრიტები – I

კოლექტორში – I

ამძრავ დოლზე საკონვეირო ლენტის შემოხვევის კუთხე $\alpha=180^\circ$

შენიშვნა: а) დოლის საკონტაქტო ზედაპირზე S_b -დან α კუთხით განლაგებული სამი მეზობელი დარიდან ვაკუუმ-ტუმბლოსთან მიერთებული იყო ცენტრალური დარი (იხ. I და II სქემა და 3.1. ცხრილის დამატების 6, 7 და 8 სვეტი);



ბ) ლაბორატორიული სტენდის აწყობა ხდებოდა: 6, 7, 8, ცხრილების სვეტისათვის 3.6 ნახაზზე წარმოდგენილი სქემით; ხოლო 9, 10, 11, სვეტისათვის – 3.7 ნახაზზე წარმოდგენილი სქემით.



№	S_b , ლკ	$S_{b'}$, ლკ	$P \cdot 10^5$, ჰა	რეციპინტების შევარევის S_b - ის მიმართ გ°	კოლექტორის გარეშე			სქემაში ჩართული წრიული კოლექტორისათვის			შენიშვნები
					p , ჰა	$q_{\text{რობ}}^b$, ლკ/სთ	p_b , ჰა	p_b' , ჰა	$q_{\text{რობ}}^{b'}$, ლკ/სთ	$p_{b'}'$, ჰა	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
1	50	850	0,92	10	0	1200	0	0	7800	0	
				90	0	1180	0	0	7780	0	
				170	0	1310	0	0	7880	0	
2	100	1650	0,92	10	0	1180	0	0	7800	0	
				90	0	1100	0	0	7800	0	
				170	0	1150	0	0	7880	0	
3	150	2100	0,92	10	0	1100	0	0	7800	0	
				90	0	1100	0	0	7800	0	
				170	0	1100	0	0	7880	0	
4	200	2470	0,92	10	0	1100	0	0	7800	0	
				90	0	1100	0	0	7800	0	
				170	0	1100	0	0	7800	0	
5	300	2930	0,92	10	0	1100	0	0	7880	0	
				90	0	1100	0	0	7800	0	
				170	0	1100	0	0	7800	0	
6	400	3260	0,92	10	0	1100	0	0	7880	0	
				90	0	1100	0	0	7800	0	
				170	0	1100	0	0	7800	0	

3.6.2. ექსპერიმენტული კვლევის მეთოდიკა და სამზომი აპარატურა


ვაკუუმ-ამძრავების საკონტაქტო ზედაპირების ოპტიმალური პარამეტრების ექსპერიმენტული კვლევისათვის შემუშავდა მეთოდიკა, რომელიც ითვალისწინებს ხახუნის თითოეული კვანძის გავლენის შესწავლას საკონტაქტო ზედაპირის წევით თვისებაზე. კვლევის ასეთი მეთოდიკა გამართლებულია იმ წინა კვლევების [60] შედეგების გათვალისწინებითაც, რომლებშიც ვაკუუმური გაწოვის მხოლოდ ადგილის შეცვლამ თითქმის სამჯერ გაზარდა ერთნაირი კონსტრუქციისა და ტიპზომის ზედაპირის წევითი თვისება. მეთოდიკა ითვალისწინებს კვლევითი სამუშაოების სამ ეტაპს. საკვლევი კონსტრუქციის შერჩეული ზედაპირები განვათავს ერთ დოლზე, ხოლო მისი კვლევის შედეგები შეტანილია ცხრილებში, რომლებიც ინომრებოდა 3.1 ცხრილით გათვალისწინებული ვარიანტის ნომრის შესაბამისად, მაგალითად, №1 ვარიანტის კვლევის შედეგები მოცემულია ცხრილში შემდეგნაირად (3.1. ცხრილის დამატება №1). ზედაპირების მეორე ექვსი (7÷12 იხ. 3.1 ცხრილში). ვარიანტი განთავსებულია მეორე დოლზე, ხოლო კვლევის შედეგები დაფიქსირებულია შესაბამის ცხრილებში, მაგალითად – (3.1. ცხრილის დამატება №7 და ა.შ.). თუ 3.1 ცხრილით გათვალისწინებულ ვარიანტზე ექსპერიმენტი ტარდებოდა რამდენიმეჯერ ცვლადი პარამეტრების (მაგ. ვაკუუმი, საწყისი დაჭიმულობა (S₀), ხახუნის რეჟიმი და ა.შ.) გავლენის შესასწავლად, მაშინ ცხრილში, სადაც შესაბამისი სიდიდეები ფიქსირდებოდა, შეგვქონდა დამატებითი აღნიშვნა – (მაგ. 3.1. ცხრილის დამატება №7).

სამივე ეტაპზე ექსპერიმენტების შესრულებისას, ანათვლების ადება (მაგალითად, ვაკუუმის სიდიდის, ჰაერის ხარჯის და ა.შ.) ხდებოდა სამი მეზობელი დარიდან, რომელთაგან ვაკუუმის წყაროში ჩართული იყო მხოლოდ ცენტრალური დარი. თუ ღარებსშორისი სეგმენტის საშუალებით მოხდებოდა ცენტრალური დარის რეციპიენტის მოკლედ შერთვა განაპირა დარის რეციპიენტებთან, მაშინ ეს მოვლენა აისახებოდა ამ ღარების რეციპიენტებზე ჩართული ვაკუუმ-მეტრების საშუალებით, ე.ი. დაფიქსირდებოდა არა მხოლოდ ცენტრალური დარის ვაკუუმ-მეტრის ჩვენება, არამედ დანარჩენი ორისაც (რაგინდ უმნიშვნელო, მაგრამ მაინც).





სახ. 3.7.



ნახ. 3.8.

პირველი ეტაპის კვლევითი სამუშაოების შესრულების შემდეგ, სტენდი მზადდებოდა მეორე ეტაპისათვის 3.7 ნახაზზე წარმოდგენილი სქემის მიხედვით. ამისათვის 12k ვაკუუმური მილის საშუალებით წრიული კოლექტორის მოძრავი ნაწილი უერთდება ამძრავი დოლის რგოლურ ჭვრიტეს 12 ცენტრალური ნახვრეტით. კოლექტორის მეორე ნახევარი – უძრავი ნაწილი, 10 ვაკუუმ-მილის მეშვეობით უკავშირდებოდა **PC-3 (PC-5)** ტიპის როტამეტრის მილტუჩს და 8 ვაკუუმმეტრისა და 14 წრფივი კოლექტორის საშუალებით ირთვებოდა BH-2MG ტიპის მექანიკურ ვაკუუმ-ტუმბოში. ნებისმიერი საჭირო რეციპიენტის ვაკუუმ-სისტემაში ჩართვა-ამორთვის ოპერაციები ხორციელდებოდა 6 გენტილის საშუალებით

მესამე ეტაპის კვლევითი სამუშაოებისათვის სტენდი მზადდებოდა 3.8 ნახაზზე წარმოდგენილი სქემის მიხედვით. ამისათვის ავმ ვაკუუმ-დოლის ახალ კონსტრუქციულ ანაკრეფზე (იხ. ფოტომასალა ნახ. 3.8). უშუალოდ 12 ცენტრალური ნახვრეტისა და 10 ვაკუუმური მილის საშუალებით ხდებოდა ავმ-ის დგუშისეული სივრცის მიერთება ვაკუუმის წყაროსთან 9 როტამეტრისა, 8 ვაკუუმმეტრისა და 6 გენტილის გავლით 14 წრფივი კოლექტორის საშუალებით. ამ ეტაპზე დგუშისეული სივრცის პერმეტიზაცია მოწმდებოდა ინდივიდუალურად სხვადასხვა სიდიდის ვაკუუმისა და დგუშისეული საწყისი მოცულობების დროს. შედეგები კვლავ ფიქსირდებოდა ცხრილებში ზემოთ მოყვანილი სქემისა და აღნიშვნების საშუალებით.

ვაკუუმ-დოლის საკონტაქტო ზედაპირების თორმეტივე ვარიანტი, როგორც კონსტრუქციის, ასევე გეომეტრიული პარამეტრების მიხედვით, დამზადდა წინასწარ მაკროელასტოპიდროდინამიკური თეორიისა და ექსპერიმენტული კვლევების შედეგების გათვალისწინებით.

ყველა საჭირო ფიზიკური სიდიდის გაზომვისათვის ლაბორატორიულ სტენდზე გათვალისწინებული იყო შესაბამისი აპარატურა. ათვლები ხორციელდებოდა: საწყისი (პროგრამული) დაჭიმულობის (S_0) გაზომვისათვის – ΔΠუ-0,5 ტიპის დინამომეტრიდან; სწრაფობის წერტილში ლენტის დაჭიმულობის (S_1) გაზომვისათვის – ΔΠუ 5-2 ტიპის დინამომეტრიდან; საკვლევ რეციპიენტებში გამავალი სითხის ხარჯის გასაზომად – **PC-3 (PC-5)** ტიპის როტამეტრიდან, ვაკუუმ-არხებში გაუხშოების მნიშვნელობა – **BO** ტიპის ვაკუუმმეტრიდან.

4. ვაკუუმ-ამძრავის საკონტაქტო ზედაპირის დამუშავება და თეორიული გამოკვლევა

4.1. ტექნიკური მოთხოვნები საკონტაქტო ზედაპირის მიმართ

მიუხედავად წინამორბედ მკვლევართა მიერ მიღებული მადალი ტექნიკური მაჩვენებლებისა [5÷32; 56÷63], ვაკუუმ-ამძრავები კვლავაც საჭიროებს კონსტრუქციისა და გაცუმის შექმნის ტექნოლოგიური პროცესის შემდგომ სრულყოფას. განსაკუთრებით ეს ეხება (1-5; 2-8; 3-11-14-16-21; 4-30-31) სქემით მომუშავე ამძრავებს (იხ. ნახ. 1.1 – ვაკუუმ-ამძრავების კლასიფიკაცია). ამძრავებისდადებითი და უარყოფითი მხარეები და ის პრობლემური ამოცანები, რომელთა გამოც უმჯობესია ზოგიერთ კონსტრუქციაზე უარი ვთქვათ, კრილადაა წარმოდგენილი წინამდებარე ნაშრომის 1.2 და 1.3 პარაგრაფებში. ვითვალისწინებთ რა ჩვენ მიერ ჩატარებული საპატენტო და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ანალიზის შედეგებს, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ვაკუუმ-ამძრავის საკონტაქტო ზედაპირის კონსტრუქციისა და ოპტიმალური პარამეტრების დამუშავება-გაანგარიშებისას გავითვალისწინოთ შემდეგი ტექნიკური მოთხოვნები:

1. ვაკუუმ-ამძრავის საკონვეიერო ლენტოან საკონტაქტო რგოლურ ჭვრიტეში ვაცუმის ფორმირება უმჯობესია განხორციელდეს ავტონომიური ვაკუუმური მექანიზმებით (ავმ), რომლებიც (რომელთა დგუშისეული სივრცე) საკონტაქტო ზედაპირის ვაკუუმ-არხებთან დაკავშირებული იქნება ექსპლუატაცია-რემონტისათვის მოხერხებული და მარტივი კვანძების საშუალებით;

2. ამძრავი ვაკუუმ-დოლის მარგი ქმედების კოეფიციენტის გაზრდის მიზნით, საკონტაქტო რგოლურ ჭვრიტეში ვაცუმი აუცილებლად იქმნებოდეს ჰიდროდინამიკურ რეჟიმში მათი მუშაობის უზრუნველყოფით;

3. საკონტაქტო ზედაპირების კონსტრუირება-დამუშავებისას, საჭიროა გავითვალისწინოთ რგოლური ჭვრიტის წარმომქმნელი ზედაპირების (ლენტი – ამძრავი დოლი) სიმქისეთა ისეთი მნიშვნელობები, რომელთა დროსაც შენარჩუნებული იქნება სითხის მოცულობითი თვისებები (იხ. ბ. დერიაგინის კვლევებისა და ნ. პეტროვის შეხედულებები. § 2.1. გვ. 2) და უზრუნველყოფილი იქნება სწრაფი და სრულყოფილი დრენირების პროცესი.

4. თანაბრად განაწილებული გაუხშოების შექმნის უზრუნველყოფისათვის განმეორებით ვადასტურებთ იმ თოხივე აუცილებელი პირობის სამართლიანობას, რომელიც განვიხილეთ 1.2 პარაგრაფის დასკვნით ნაწილში;

5. გრძელდგარიანი საკონვეირო დანადგარების სათავსი, კუდისა და შუალედური ამძრავების დამუშავებისას უმჯობესია, გათვალისწინებულ იქნეს ერთგვაროვანი ელემენტებისაგან შედგენილი ანაკრეფი მწევი ბტყელა (საკონტაქტო ზედაპირი), რაც

უზრუნველყოფს უნიფიკაციის მაღალ დონეს და უფრო მოხერხებულს ხდის აქსპლუატაციისა და რემონტის პროცესს;

6. ვაკუუმ-ამძრავის საკონტაქტო ზედაპირის კონსტრუქცია უნდა უზრუნველყოფდეს რგოლური ჰერიტეს ჰერმეტიზაციის აუცილებელ პირობებს: ავტ-ების ურთიერთდამოუკოდებელ მუშაობას (არ უნდა ხდებოდეს მეზობელი რეციპიენტებიდან სითხის გაწოვა) და ლენტის ნაპირებიდან სითხის (ჰაერის) შეუდწევადობას.

7. ამძრავის ვაკუუმური რეციპიენტების გარე და შიგა მოცულობების სიდიდე უნდა უზრუნველყოფდეს ვაკუუმის შემქმნელი მექანიზმების ოპტიმალურ რეჟიმში მუშაობას;

8. საკონტაქტო ზედაპირის გეომეტრიული პარამეტრების შერჩევა-გაანგარიშება უნდა მოხდეს ამძრავის (საკონვეირო ლენტის) კუთხური (ხაზოვანი, წრფივი) სიჩქარის გათვალისწინებით;

9. ავტ-ებიანი ვაკუუმ-დოლის დგუშების (პლუნჯერების და ა.შ.) უკუკვევით-წინსვლითი მოძრაობის უზრუნველყოფი მუშტა მექანიზმების პროფილის გათვალა აუცილებლად უნდა მოხდეს ე.წ. “შედარებითი სიმშვიდის” რკალის კონკრეტული პირობებისათვის დასაშვები სიდიდის ზღვრებში;

10. საერთოდ ყველა დანარჩენი (მე-9 პუნქტის გარდა) ტიპის ვაკუუმ-ამძრავების რეციპიენტებსა და მისი მიმდებარე საკონტაქტო ზედაპირების შესაბამის ნაწილზე, ვაკუუმის პროგრამული მნიშვნელობის ფორმირება უნდა დასრულდეს კოლექტორების (წრიული, წრფივი) ვაკუუმური საკნის საშუალებით ა.შ. – “შედარებითი სიმშვიდის” რკალის ფარგლებში ;

11. საკონტაქტო ზედაპირების ოპტიმიზაციის მიღწევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანო წინაპირობაა ამძრავის განხილვა ლენტური საკისრის რანგში; ამასთან ზედაპირთან ავტ-ის დგუშისეული სივრცის შემაერთებელი ცენტრალური ნახვრეტის შერჩეული (ნაანგარიშები) დიამეტრი უნდა უზრუნველყოფდეს სითხის ნაკადის უწყვეტ გადადინებას ვაკუუმ-სისტემის რეციპიენტებში – საკონტაქტო ზედაპირზე განლაგებული გარე მოცულობებიდან (დარებიდან, ჰერფორაციებიდან და ა.შ.) ვაკუუმის შემქმნელი მექანიზმის მუშა მოცულობამდე (მაგალითად, დგუშისეულ სივრცემდე).

საკონტაქტო ზედაპირებისა და მთლიანად ვაკუუმ-ამძრავის კონსტრუქციისათვის წაყენებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნაა ამძრავი სადგურის დაშლა-აწყობისას მისი თითოეული კვანძისა და შემადგენელი ნაწილის ადვილი მისადგომობა, კომპაქტურობა, სარემონტოდ ვარგისობა და ა.შ.

4.2. ვაკუუმ-ამძრავის ახალი ტიპის საკონტაქტო ზედაპირი და მისი დახასიათება

ვაკუუმ-ამძრავების თეორიის კვლევით სამუშაოებში [5÷32, 60] საკონტაქტო რგოლურ ჭვრიტეში ვაკუუმის თანაბრად განაწილება (რაც საკონტაქტო ზედაპირებისა და მთლიანად ამძრავის ეფექტურად გამოყენების აუცილებელი პირობაა) გათვალისწინებულია, როგორც განივი, ასევე ამძრავის წრიული (ამძრავზე საკონვეირო ლენტის სწრაფობიდან ჩამოქანების წერტილისაკენ) მიმართულებით. სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების გამოქვეყნებულ წყაროებში წარმოდგენილი შედეგები ხშირად ვრთიერთ-გამომრიცხავი დასკვნებით მთავრდება. მაგალითად, ერთი და იმავე ნაშრომში [22] მითითებულია, რომ საკონტაქტო ზედაპირზე ვაკუუმის გავრცელება ლენტის საკონტაქტო ზედაპირების გრძივ დარებსა და საკონვეირო ლენტს შორის “ელასტიკური კბილანური მოდების” არსებობის შესაძლებლობაზე. ეს ვერსია გამოკვეთილია ვოლჩეკის სადისერტაციო ნაშრომში, სადაც ის ლაბორატორიული ექსპერიმენტის შედეგებით ასაბუთებს პიპოთეზას “ელასტიკური კბილანური მოდების” არსებობის შესახებ (იხ. ნახ. 3.3a). ამ პიპოთეზას დამაჯერებლად განიხილავს იმის გამო, რომ მისი ლაბორატორიული ექსპერიმენტების მითითებულ გრაფიკულ ნაწილზე (ნახ. 3.3a) ნათლად ჩანს წევის ძალების კლება საკონვეირო ლენტის საწყისი დაჭიმულობის გაზრდისას (ჩვენი აზრით, ეს მოვლენა აიხსნება ექსპერიმენტის არასწორი დაბეგმითა და ჩატარებით). დაახლოებით მსგავს შედეგებზე საუბარი მოგვიანებით შესრულებულ კვლევებშიც [60, 93]. თუმცა შემდგომში, არა მთლად მტკიცებითი, მაგრამ, ჩვენი აზრით, მაინც ჰეშმარიტებასთან მიახლოებული ფორმით ნაშრომში [60] აღნიშნულია, “რომ წევის ძალების გადაცემა ვაკუუმ-ამძრავებში ხორციელდება არა მხოლოდ ჭვრიტული მოდებით, არამედ ძირითადად ლენტისა და დოლის საკონტაქტო ზედაპირების ურთიერთხახუნის შედეგად”. ეს ფორმულირება მაინც მიანიშნებს იმაზე, რომ საკითხი საჭიროებს სერიოზულ შესწავლას. ამ მიზნით, ვფიქრობთ, შესწავლილ იქნა თითქმის ყველა იმ კვლევის შედეგი (იხილე ლიტერატურის ციტირება), რომელიც ეხებოდა პერფორირებული და ლიარხებიანი საკონტაქტო ზედაპირებით წევის ძალების რეალიზაციას. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მე- [60] კვლევითი სამუშაოს არცერთი ცდის შედეგის გრაფიკული სახით წარმოდგენილ დასკვნით ნაწილში (იხ. მაგ. ნახ. 3.3b და გ) წევის ძალების შემცირების ფაქტი ლენტის საწყისი დაჭიმულობის ზრდის შემთხვევაში არ ფიქსირდება. ამიტომ დაუჯერებელი და გაუგებარია [60] სამუშაოს ავტორის მიერ გაკეთებული და ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი ამ დასკვნის ციტირებული შინაარსის სამართლიანობა და ავტორის მიერ ამ მოვლენის ამგვარად აღიარების მიზეზი.

აღნიშნული საკითხის გარკვევის მიზნით, შევასრულეთ ექსპერიმენტების სერია სხვადასხვა ტიპის ლენტებისათვის, როდესაც დოლის საკონტაქტო ზედაპირს ლენტი ეხებოდა ერთ შემთხვევაში მუშა, ხოლო მეორე შემთხვევაში – არამუშა შემონაფენით.

ჩვენ მიერ ჩატარებული ექსერიმენტების შემთხვევაშიც საწყისი (პროგრამული) დაჭიმულობის ზრდისას (0 -დან $S_{max}=500$ დან) წევის ძალის არავითარი შემცირებითი ცვლილება არ აღინიშნებოდა. პირიქით, როგორც ეს [60] ნაშრომშია აღნიშნული, მხოლოდ დოლის საკუთარი წევის ფაქტორის ამოწურვის შემდეგ იწყებოდა ჩამოქანების წერტილში საკონვეირო ლენტის საწყისი (პროგრამული) დაჭიმულობის ზრდა, რაც, თავის მხრივ, ზრდიდა სწრაფობის წერტილში დაჭიმულობას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მაინც შევნიშნეთ საკონვეირო ლენტის ის უმნიშვნელო დეფორმაციები, რომელიც გამოვლინდა დარის ჭრილის აღგილზე ამოვარდნილი ამძრავი დოლის ზედაპირის სექტორულ ნაწილზე, თუმცა ამ “დეფორმაციის” გავლენა და “ელასტიკური კბილანური მოდების” ფაქტი ვერ დავაფიქსირეთ.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გამო შევიმუშავეთ ახალი ფორმის (კონსტრუქციის) საკონტაქტო ზედაპირი (იხ. ნახ. 3.4თ), რომელიც აქმაყოფილებს 3.1 პარაგრაფში წარმოდგენილ ყველა იმ ტექნიკურ მოთხოვნას, რომლებიც წაეყენება ვაკუუმ-დოლის საკონტაქტო ზედაპირებს.

3.4თ ნახაზზე წარმოდგენილია ახალი საკონტაქტო ზედაპირის ცენტრალური ნაწილის ფრაგმენტი. ლენტური კონვეიერისათვის სიმეტრიის დერძზე, ვაკუუმ-დოლის ზედაპირის მსახველის ცენტრში გაკეთებულია გარკვეული დიამეტრის ამონაჩარხი 1, რომლის ფსკერზე ავმ-ის დგუშისეულ სივრცესთან დასაკავშირებლად გაკეთებულია ნახვრეტი 2, მის მარჯვნივ და მარცხნივ დოლის ზედაპირზე მსახველის გასწვრივ განლაგებულია 1 ამონაჩარხის მსგავსი 3-3' და ა.შ. წრიული ამონაჩარხების მწკრივი.

ამონაჩარხები დოლის მეზობელ მსახველებსა და, ამდენად, მთელ საკონტაქტო ზედაპირზე, ჭადრაკულადა განლაგებული, ხოლო თითოეულ მსახველზე იწყება და მთავრდება იმ პირობით, რომ საკონვეიერო ლენტმა სრულფასოვნად გადაფაროს ისინი და იმავდროულად მათი საშუალებით არ მოხდეს სითხის (აირის, წვეთოვანის) შეწოვა ატმოსფეროდან (ან სითხის რეზერვუარიდან). მსახველზე წრიული ამონაჩარხები ერთმანეთს, ყველა ერთად კი ცენტრალური 2 ნახვრეტის საშუალებით უკავშირდება ავმ-ის დგუშისეულ სივრცეს 2 ნახვრეტის დიამეტრის ტოლი სიგანის 4 გრძივი დარით, რომლის ფსკერი წრიული ამონაჩარხის ფსკერის დონეზეა.

მეზობელ მსახველზე, რომლის ბიჯიც შეირჩევა (იმ პირობით) ისეთი ანგარიშით, რომ წინა მსახველზე განლაგებული ამონაჩარხების მიმართ ჭადრაკულად განლაგებული ანალოგიური კონფიგურაციის ბიჯის ამონაჩარხებიდან და მისი კუთვნილი ვაკუუმის არედან არ მოხდეს სითხის გაწოვა და ამავე დროს, არც სითხით გაჯერებული რგოლური ჭვრიტის საკონტაქტო ზონა დარჩეს უმოქმედოდ, სითხის გაწოვის გარეშე. ამგვარი მეთოდით შესრულებული დოლის საკონტაქტო ზედაპირის ორი მეზობელი ვაკუუმური არხიდან თითოეული იმუშავებს დამოუკიდებლად, როგორც ავტონომიური ერთეული.

ასეთი კონფიგურაციის საკონტაქტო ზედაპირის შემთხვევაში, მისი ერთი ბიჯის ტოლფასად ლენტის დაზიანებისას, ამძრავი იმუშავებს წევის ძალების უმნიშვნელოდ

შემცირებულ რეჟიმში. კოლექტორიანი დოლის შემთხვევაში კი საკონვეირო ლენტის ძალზე მცირე დაზიანებაც კი გამოიწევს მთელ ვაკუუმ- სისტემასა და რგოლურ ჭვრიტეში ვაკუუმის მნიშვნელოვან ცვლილებას (შემცირებას), შესაბამისად წევის ძალების შემცირებას და ვაკუუმ-ამძრავის საკონვეირო ლენტის მიმართ სრიალის რეჟიმზე გადასვლას.

ჩვენი აზრით, აღნიშნული მოვლენა არის მნიშვნელოვანი ავარიული სიტუაციის მიზეზი, განსაკუთრებით მძლავრი გრძელდგარიანი საკონვეირო სისტემების შემთხვევაში, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს დანადგარის დროში გამოყენების კოეფიციენტს.

რადგან ამ ნაშრომში ვაკეთებთ, ამ ეტაპისთვის შესაბამის საბოლოო დასკვნის ანალიზს, გამომდინარე ზემოთ მოყვანილი ყველა მტკიცებითი მოსაზრებიდან, ჩვენი ექსპერიმენტული კვლევის ობიექტად მივიჩნევთ ყველა კონსტრუქციის საკონტაქტო ზედაპირს (იხ. ნახ. 3.4). განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ახალი ტიპის ზედაპირის კვლევას, როგორც პერსპექტიულ, საკონვეირო ლენტისათვის კარგ საყრდენ და მცირე საწყისი მოცულობის მქონე ცენტრალური გაწოვის ვაკუუმ-არხებით დაპროექტებულ საკონტაქტო ვაკუუმ-ზედაპირს.

4.3. პიდროდინამიკურ რეჟიმში მომუშავე ვაკუუმ-დოლის ლენტან

საკონტაქტო ჭვრიტეში სითხის შრის სისქის განსაზღვრა

როგორც უკვე ვიცით, პიდროდინამიკურ (სველი სახუნის) რეჟიმში მომუშავე ვაკუუმ-ამძრავის წევის ფაქტორი და წევის ძალები, იდენტურ პირობებში და სხვა პრინციპზე მომუშავე ამძრავების (მაგალითად, ფუტირებულზედაპირიანი დოლებით; ელექტრომაგნიტური, მაგნიტურ-ელექტრული, პნევმოკამერიანი და ა.შ. სხვა სპეციალური) შემთხვევებთან შედარებით [92] გაცილებით მეტი და უფრო სტაბილურია.

ზემოთ მოყვანილი ვერსიისა და იმის გათვალისწინებით, რომ ხშირ შემთხვევაში საკონვეირო ამძრავების მუშაობა ისედაც ძირითადად უხვტენიან პირობებში მიმდინარეობს, ამ პარაგრაფში შევაცადეთ პიდროდინამიკურ რეჟიმში მომუშავე ვაკუუმ-დოლსა და ლენტურ საკისარს შორის იდენტურობის პარალელი გაგვევლო და უშალოდ ლენტური კონვეირების ამძრავთა გაანგარიშების თეორიაში პირველად იტერაციული ოპერაციების საშუალებით (განსაკუთრებით ლენტური კონვეირის ამძრავის “შედარებითი სიმშეიდის” რკალის უბანზე) გამოგვეუნებინა შეზეოვის გაანგარიშების კლასიკური მეთოდები და მათი შედეგები.

გამოყენებაში იგულისხმება დრეკადპიდროდინამიკურ რეჟიმში მომუშავე ლენტური საკისრის იმ ვარიანტის შერჩევა, რომელშიც ბრუნვით მოძრაობას ასრულებს, როგორც ლილვი (ჩვენ შემთხვევაში ვაკუუმ-დოლის საკონტაქტო ზედაპირი), ასევე ლენტი, შემდეგში ამ ვარიანტისათვის გაანგარიშების კლასიკური მეთოდიკის [94] საფუძველზე

ჩვენი საკვლევი ობიექტის – ამძრავი ვაკუუმ-დოლის ზედაპირისა და საკონვეირო ლენტის რგოლურ ჭვრიტეში სითხის შრის სისქის განსაზღვრა, ხოლო ხახუნის შემდგომი საჭირო რეჟიმის მიღწევისათვის, ზომერფელდის განზოგადებული (*S₀*) რიცხვის იმ მნიშვნელობის განსაზღვრა, რომელიც საძიებო რეჟიმს შეესაბამება.

ზემოთ მოყვანილი თითოეული დონისძიების შერჩევისა და გათვლის შემდეგ, საჭიროა ამძრავი ვაკუუმ-დოლის მუშაობის ისეთი რეჟიმის შერჩევა, რომელშიც ნებისმიერი კუთხური სიჩქარისათვის რგოლურ ჭვრიტეში ჩვენი შერჩეული რეჟიმი გაბატონდება. ამის განხორციელება კი შესაძლებელია ვაკუუმური მექანიზმების დგუშების ჭოკის ბოლოვანებისა და მუშტა მექანიზმების ისეთი სიმრუდის მიმმართველებთან დაკავშირება, რომლებიც დროის კონკრეტული ხანგრძლივობისათვის უზრუნველყოფენ სითხის უწყვეტი ნაკადით დინებას დოლის საკონტაქტო ზედაპირისა და დგუშისეული სივრცის შემაერთებელ ნახვრეტში. ნაკადის უწყვეტობის განხორციელებისათვის კი, ვფიქრობთ, საჭირო იქნება ნახვრეტის დიამეტრის გაანგარიშება დოლის ბრუნვის კუთხური სიჩქარისა და სითხის პარამეტრების გათვალისწინებით.

მაგრამ, ვინაიდან ლენტური საკისრისაგან განსხვავებით ხახუნის ამძრავი მექანიზმის დანიშნულებაა მაქსიმალური ხახუნის (წევის) ძალის განვითარება, შევეცდებით ხახუნის პროცესის შემდგომი მართვით ამძრავის “დრეკადი სრიალის” (**ადს.**) შესაბამის რეალზე, მაკროელასტოპიდროდინამიკურიდან ზღვრულში, საბოლოოდ კი ლენტის დრეკადი სრიალის პროცესის მშრალ რეჟიმში გადაყვანას, რითაც საშუალება გვეძლევა, ვიფიქროთ ხახუნის კოეფიციენტის სიდიდის გაზრდაზე (იხ. § 2.3. ნახ. 2.3) რგოლური ჭვრიტის იმ უბანში, სადაც ლენტის დაჭიმულობის კლება (და შესაბამისად ლენტის დრეკადი სრიალით მოძრაობის დაწყება) და საკონტაქტო ზედაპირზე ნორმალური ძალების შემცირება მიმდინარეობს [85]. ეს ნიშნავს ხახუნის კოეფიციენტის გაზრდას ამძრავის ლენტოან საკონტაქტო ზედაპირის (როლური ჭვრიტის) იმ უბანზე, სადაც მიმდინარეობს წევის ძალების რეალიზაცია. ამ საკითხების უფრო ვრცელი და ღრმა ანალიზი, მანქანათა კვანძებში მიმდინარე ხახუნის სახეობით დაწყებული, ზედაპირის ხარისხისა და მათი ფიზიკურ-ქიმიური თვისებების განხილვით დამთავრებული, ცვეთის, შეზეთვის, ზედაპირების რღვევის სახეობების, საკონტაქტო სიმტკიცის, დაღლილობისა და სხვ., XXI საუკუნისათვის შესაფერისი მანქანათმშენებლობის განვითარებისათვის საჭირო საკითხზე (რასაც წინამდებარე ნაშრომში სრულფასოვნად ვერ შევძლებთ, მათი მრავალფეროვნებისა და მოცულობის სიდიდის გამო) შესაძლებელია მოძიებულ იქნეს თანამედროვე, ტრიბოტექნიკის [33] (ტრიბოლოგიის, ტრიბონიკის) შესახებ ლიტერატურულ წყაროებში (იხ. ლიტერატურის ჩამონათვალი) და ინტერნეტის საშუალებით.

ხახუნის ძალის სიდიდის მართვის პროცესის რეალურად შესრულების (განხორციელების) იდეა დაგენერირება მოსრიალე ზედაპირების წყვილის შეზეთვის რეჟიმის გაცნობისას, რომელიც წარმოდგენილია გრაფიკული სახით – კოორდინატებში: ზომერფელდის განზოგაოებული (*S₀*) რიცხვი, ხახუნის (f) კოეფიციენტი (იხ. § 2.3 ნახ. 2.3).

ამ საკითხის თუნდაც მიახლოებითი მოდელირებისათვის საჭიროა საკონტაქტო რგოლურ ჭვრიტეში სითხის შრის საწყისი და შუალედური სისქის განსაზღვრა. მისი მნიშვნელობის ცოდნა საჭიროა თუნდაც იმიტომ, რომ ვაკუუმ-ამძრავის რეციპიენტების გარე საკონტაქტო ზედაპირის ვაკუუმ-არხის სითხით შევსებამდე მოვახერხოთ მოცულობის არსებული ოპტიმალური პარამეტრების დადგენა. ვფიქრობთ, რომ ამ პირობის დაკმაყოფილების შემდეგ რგოლური ჭვრიტეს ჰერმეტიზაციის და (ამ) ავტონომიური ვაკუუმური მექანიზმების მუშაობაც, როგორც ავტონომიური ერთეულისა, თავისთავად მოგვარდება.

სწორედ ამ საკითხს ეძღვნება ეს პარაგრაფი.

ცნობილია, რომ ამძრავი დოლის მიმართ საკონვეირო ლენტის ფარდობითი სიმრუდე (*l/r*) შეიძლება განისაზღვროს ფორმულით [53].

$$\frac{1}{r'} = \frac{\frac{d^2 h}{ds^2}}{\left[1 + \left(\frac{dh}{ds} \right)^2 \right]^{\frac{3}{2}}} \quad (4.1)$$

ეს სიმრუდე ცვალებადია *s*-ის ანუ ამძრავი დოლის რკალის მიმართულებით. ის ფიზიკური მოდელის მიხედვით შეიძლება ჩაიწეროს შემდეგი სახით

$$\frac{1}{r'} = \frac{1}{r} - \frac{1}{R} \quad (4.2)$$

რადგან ამძრავი დოლისა და საკონვეირო ლენტის საკონტაქტო ჭვრიტეში სითხის *h* სისქე უმნიშვნელოდ იცვლება დოლის რკალის გასწვრივ (ამძრავის შედარებითი სიმშვიდის რკალზე $\beta_{\text{შ}}$, რაც პრაქტიკულადაც დასტურდება), ამიტომ $(dh/ds)^2$ შეიძლება უბულებელგყოთ, მაშინ (4.2)-ში (4.1)-ის გათვალისწინებით მივიღებთ

$$\frac{1}{R} = \frac{1}{r} - \frac{d^2 h}{ds^2} \quad (4.3)$$


საიდანაც ლენტის სიმრუდის რადიუსი ამძრავის მიმართ

$$R = \left[\frac{1}{r} - \frac{d^2 h}{ds^2} \right]^{-1} \quad (4.4)$$

თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვეულებრივ მოხახუნე ზედაპირებს (დოლი – საკონვეირო ლენტი) შორის სითხის *h* შექ იმდენად თხელია, რომ ბლანტი ხახუნის ძალები გაცილებით დიდია ინერციის ძალებზე, ჭვრიტეში არსებული სითხის მექანიკური ქცევის აღმწერი ნავიუ-სტოქსის განტოლება დაიყვანება რეინოლდსის ყველაზე უფრო ზოგად (4.5) განტოლებაზე

$$\frac{\partial}{\partial x} \left(\frac{\rho h^3}{\mu} \cdot \frac{\partial p}{\partial x} \right) + \frac{\partial}{\partial y} \left(\frac{\rho h^3}{\mu} \cdot \frac{\partial p}{\partial y} \right) = 6(U_1 - U_2) \frac{\partial(\rho h)}{\partial x} + 6\rho h \frac{\partial}{\partial x} (U_1 + U_2) + 12 \frac{\partial(\rho h)}{\partial t} \quad (4.5)$$


ხოლო თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ჭვრიტეს შემქმნელი ზედა ზედაპირი (იხ. ნახ.



4.1) ელასტომერია, მაშინ (3.5) განტოლებაში $U_I=U$, $\rho=const$ (იხ. ნახ. 4.2), შესაბამისად (4.5) განტოლების მარჯვენა ნაწილის ბოლო შესაკრები ნულის ტოლია, ხოლო მეორე შესაკრები პირველი მიახლოებით შეიძლება გამოვრიცხოთ, და მივიღებთ,

რომ უკუმშველი ერთგანზომილებიანი დენადი სითხისათვის რეინოლდსის განტოლება ჩვენი პირობებისათვის შეიძლება ჩავწეროთ (4.6) გამოსახულების სახით.

$$\frac{\partial}{\partial s} \left(h^3 \frac{\partial p}{\partial s} \right) = 6\mu U \frac{\partial h}{\partial s} \quad (4.6)$$



მივიღოთ, რომ ლენგის “შედარებითი სიმშვიდის” $R\beta$ -ს. შესაბამის რკალზე წონასწორობის პირობების მიხედვით ლილვის მხრიდან მოქმედებს ნორმალური ძალა.

$$P = \frac{T}{R} \quad (4.7)$$

(4.7) განტოლებაში (4.3)-ის გათვალისწინებით მივიღებთ, რომ

$$p = T \left(\frac{1}{r} - \frac{d^2 h}{ds^2} \right)^{-1} \text{ და } \frac{\partial p}{\partial s} = T \left(- \frac{d^3 h}{ds^3} \right) \quad (4.8)$$

ამ განტოლებებში p არის ლოკალური წნევა სითხეში; ρ და μ – შესაბამისად სიმკვრივე და აბსოლუტური სიბლანტე; h – სითხის შრის სისქე; U_1 და U_2 – შესაბამისად ზედა და ქვედა საკონტაქტო ზედაპირების სრიალის სიჩარე; T და P – შესაბამისად ლენგის დაჭიმულობა და ნორმალური ძალა (იხ. ნახ. 4.2).

(4.6) განტოლებაში (4.8)-ის გათვალისწინებით მივიღებთ ე.წ. ლენგური საკისრის განტოლებას:

$$\frac{\partial}{\partial s} \left(h^3 \frac{\partial^3 h}{\partial s^3} \right) = \frac{6\mu U}{T} \cdot \frac{\partial h}{\partial s} \quad (4.9)$$

ცნობილია, რომ ა. გრასგოფის, ნ. უპოვსკის, ო. კამმერრის, ა. ფიბერის, ა. ფრიდერიხის, ე. გუტიარის და სხვა მრავალ მკვლევართა მიერ ამძრავის საკონტაქტო

ზედაპირი გაყოფილია ორ ნაწილად: მოსრიალედ – ჩვენი შემთხვევისათვის, ე.წ. “დრეკადი სრიალისა” და არამოსრიალედ ანუ “შედარებითი სიმშეიდის” უბნებად [1]. აღნიშნულის გამო შეიძლება მივიღოთ, რომ არამოსრიალე უბანზე $U=0$, ხოლო ტვირთმზიდი ლენტის დაჭიმულობა $T=const$; მაშინ

$$\frac{6\mu U}{T} \cdot \frac{\partial h}{\partial s} = 0 \quad \frac{\partial}{\partial s} \left(h^3 \frac{\partial^3 h}{\partial s^3} \right) = 0 \quad (4.10)$$

(4.10) გამოსახულების ინტეგრირებით, მივიღებთ

$$\frac{\partial^3 h}{\partial s^3} = \frac{C}{h^3} \quad (4.11)$$

რადგან $h/h_0 = (1 - \Delta h)$ და $\Delta h \ll 1$, ამიტომ (4.11) განტოლება შეიძლება ჩავწეროთ

შემდეგი სახით: $\frac{\partial^3}{\partial s^3} \Delta h = \frac{C}{h_0^4}$; ამოგნენათ განტოლება უშუალო ინტეგრირებით

$$\begin{aligned} \frac{\partial^2}{\partial s^2} \Delta h &= \frac{C}{h_0^4} s + C_1; \\ \frac{\partial \Delta h}{\partial s} &= \frac{C}{2h_0^4} s^2 + C_1 s + C_2; \\ \Delta h &= \frac{C_0 s^3}{6h_0^4} + \frac{C_1}{2} s^2 + C_2 s + C_3 \end{aligned} \quad (4.12)$$

ამ განტოლებაში (4.12) C_0, C_1, C_2 და C_3 მუდმივები მცირე სიდიდეებია და განისაზღვრებიან საწყისი კონკრეტული მონაცემების მიხედვით.

ვ. სმირნოვისა და ე. სტახოვსკის კვლევათა შედეგების [78] მიხედვით საკონვეირო ამძრავის საკონტაქტო ზედაპირზე “სიმშეიდის რკალი” არ არსებობს. თუ ამ მტკიცებულებას მივიღებთ, მაშინ მის პირობით საზღვრებში $U \neq 0$ და $T \approx const$. ამასთან, თუ ავლიშნავთ, რომ

$$\frac{6\mu U}{T} = a^3 = const \quad , \quad (4.13)$$

მაშინ (4.9) ტოლობის ორივე მხარის ინტეგრებით მივიღებთ

$$h^3 \frac{\partial^3 h}{\partial s^3} + a^3 h - c = 0 \quad (4.14)$$

ანუ

$$\frac{\partial^3 h}{\partial s^3} + \frac{a^3}{h^2} - \frac{c}{h^3} = 0 \quad (4.15)$$

ამ შემთხვევაშიც აღვნიშნოთ

$$\frac{h}{h_0} = 1 - \Delta h \quad \text{ანუ} \quad h = h_0 (1 - \Delta h) \quad (4.16)$$

თუ (4.16) განტოლებას გავითვალისწინებთ (4.15)-ში და მიღებულ შედეგს გავყოფთ \mathbf{h}_0 -ზე, მაშინ

$$\frac{\partial^3(1-\Delta h)}{\partial s^3} + \frac{a^3}{h_0^3(1-\Delta h)^2} - \frac{c}{h_0^4(1-\Delta h)^3} = 0 \quad (4.17)$$

$$\frac{\partial^3 \Delta h}{\partial s^3} + \frac{a^3 h_0(1-\Delta h) - c}{h_0^4(1-\Delta h)^3} = 0 \quad (4.18)$$

თუ \mathbf{c} -ს შევარჩევთ ისე, რომ შესრულდეს $a^3 \mathbf{h}_0 = \mathbf{c}$, ტოლობა მაშინ

$$\frac{\partial^3 \Delta h}{\partial s^3} + \frac{a^3 \Delta h}{h_0^3(1-\Delta h)^3} = 0 \quad (4.19)$$

თუ $\frac{1}{(1-\Delta h)^3}$ გამოსახულებას გავშლით პროგრესიის მატერიალ, მაშინ შეიძლება

ჩავწეროთ, რომ

$$\frac{\Delta h}{(1-\Delta h)^3} = \Delta h(1 + \Delta h - \Delta h^2 + \Delta h^3 + \dots)^3$$

თუ მხედველობაში არ მივიღებთ მეორე და უფრო მაღალი რიგის წევრებს, მაშინ

$$\Delta h(1 + \Delta h)^3 = \Delta h + 3\Delta h^3 + \Delta h^2 + \Delta h^4 = \Delta h$$

და (4.19) განტოლება ჩაიწერება შემდეგი სახით:

$$\frac{\partial^3 \Delta h}{\partial s^3} + \frac{a^3}{h_0^3} \Delta h = 0 \quad (4.20)$$

მიღებული განტოლების ზოგად ამონასნის აქტს შემდეგი სახე [45]:

$$\Delta h(s) = A e^{\lambda_1 s} + B e^{\lambda_2 s} + C e^{\lambda_3 s} \quad (4.21)$$

სადაც A, B, C მუდმივებია, ხოლო λ_1, λ_2 , და λ_3 – მახასიათებული განტოლების ფესვებია (4.20) გამოსახულება შეიძლება წარმოვადგინოთ, როგორც

$$y''' + \mu y = 0, \text{ სადაც } \mu = \frac{a^3}{h_0^3}; \quad y = e^{\lambda s}$$

მაშინ

$$y''' + \left(\frac{a}{h_0}\right)^3 y = 0, \text{ ან } \lambda^3 e^{\lambda s} + \left(\frac{a}{h_0}\right)^3 e^{\lambda s} = 0;$$

$$\left[\lambda^3 + \left(\frac{a}{h_0}\right)^3 \right] e^{\lambda s} = 0,$$

ვინაიდან $e^{\lambda s} \neq 0$, ამიტომ

$$\lambda^3 + \left(\frac{a}{h_0}\right)^3 = 0; \quad \left(\lambda + \frac{a}{h_0} \right) \left(\lambda^2 - \frac{a}{h_0} \lambda + \frac{a^2}{h_0^2} \right) = 0;$$

ამ განტოლების ფესვები იქნება

$$\lambda + \frac{a}{h_0} = 0; \quad \lambda_1 = -\frac{a}{h_0}; \quad \lambda^2 - \frac{a}{h_0}\lambda + \frac{a^2}{h_0^2} = 0;$$

ე.ო.

$$\lambda_{2,3} = \frac{\frac{a}{h_0} \pm \sqrt{\frac{a^2}{h_0^2} - 4\left(\frac{a}{h_0}\right)^2}}{2}; \quad \lambda_2 = \frac{\frac{a}{h_0} + \sqrt{\frac{3a^2}{h_0^2} \cdot i}}{2}; \quad \lambda_3 = \frac{\frac{a}{h_0} - \sqrt{\frac{3a^2}{h_0^2} \cdot i}}{2}$$

ამგარად,

$$\lambda_1 = -\frac{a}{h_0}; \quad \lambda_2 = \frac{a}{2h_0}(1+i\sqrt{3}); \quad \lambda_3 = \frac{a}{2h_0}(1-i\sqrt{3})$$

თუ გამოვიყენებოთ ეილერის ფორმულას,

$$e^{i\beta} = \cos \beta + i \sin \beta$$

მაშინ (4.21) განტოლებიდან შეიძლება ჩავწეროთ, რომ

$$\Delta h(s) = Ae^{-\frac{a}{h_0}s} + Be^{\frac{a}{2h_0}(1+i\sqrt{3})s} + Ce^{\frac{a}{2h_0}(1-i\sqrt{3})s}$$

$$\Delta h(s) = Ae^{-\frac{a}{h_0}s} + Be^{\frac{a}{2h_0}s} \cdot e^{\frac{a}{2h_0}iS\sqrt{3}} + Ce^{\frac{a}{2h_0}s} \cdot e^{-\frac{a}{2h_0}iS\sqrt{3}}$$

$$\Delta h(s) = Ae^{-\frac{a}{h_0}s} + Be^{\frac{a}{2h_0}s} \left(\cos \frac{a\sqrt{3} \cdot s}{2h_0} + i \sin \frac{a\sqrt{3} \cdot s}{2h_0} \right) + Ce^{\frac{a}{2h_0}s} \left(\cos \frac{a\sqrt{3} \cdot s}{2h_0} - i \sin \frac{a\sqrt{3} \cdot s}{2h_0} \right)$$

$$\Delta h(s) = Ae^{-\frac{a}{h_0}s} + (B+C)e^{\frac{a}{2h_0}s} \cos \frac{a\sqrt{3} \cdot s}{2h_0} + i(B-C)e^{\frac{a}{2h_0}s} \sin \frac{a\sqrt{3} \cdot s}{2h_0}$$

თუ გავითვალისწინებოთ a -ს მნიშვნელობას (4.13) გამოსახულებიდან და აღვნიშნავთ, რომ $B+C=B_1$ შეიძლება ჩავწეროთ

$$\Delta h(s) = Ae^{-\sqrt[3]{Th_0^3}s} + B_1 e^{\sqrt[3]{\frac{6\mu u}{8Th_0^3}s}} \cos \sqrt[3]{\frac{6\mu u}{8Th_0^3}} \sqrt{3}s + C_1 e^{\sqrt[3]{\frac{6\mu u}{8Th_0^3}s}} \sin \sqrt[3]{\frac{6\mu u}{8Th_0^3}} \sqrt{3}s$$


$$\Delta h(s) = Ae^{-\sqrt[3]{Th_0^3}s} + B_1 e^{\sqrt[3]{\frac{3\mu u}{4Th_0^3}s}} \cos \sqrt[3]{\frac{3\mu u}{4Th_0^3}} \sqrt{3}s + C_1 e^{\sqrt[3]{\frac{3\mu u}{4Th_0^3}s}} \sin \sqrt[3]{\frac{3\mu u}{4Th_0^3}} \sqrt{3}s \quad (4.22)$$

მიღებულ (3.22) განტოლებაში A, B_1, C_1 ნამდვილი მუდმივებია და განისაზღვრება კონკრეტული ამოცანის პირობიდან.

4.4. ვაკუუმ-დოლის რგოლური ჭვრიტის დგუშისეულ სივრცესთან

შემაქრობელ ნახვების სითხის უწყვეტ ნაკადად გადინების კვლევა

განვიხილოთ ჰიდროდინამიკურ რეჟიმში მომუშავე ვაკუუმ-დოლის ლენტან საკონტაქტო ჭვრიტების სითხის შრის სისქის შემცირების (მინიმუმამდე დაყვანის) მიზნით, ვაკუუმ-მექანიზმებით (დგუშებით) ნახვების სითხის უწყვეტ ნაკადად გაწოვის კონკრეტული შემთხვევა (**ნახ. 4.3.**).



ნახ. 4.3.

ვიგულისხმოთ, რომ მასობრივი ძალა არის სითხის სიმძიმის ძალა და ნახვრეტის წინ დარში და ნახვრეტის შემდეგ დგუშისეულ სივრცეში, წნევათა შორის სხვაობით გამოწვეული ერთეულოვანი ძალა.

კერძო შემთხვევაში, როცა სითხე უკუმშველია, შემოსაზღვრულია შეკრული მყარი ზედაპირით (ჩვენს შემთხვევაში დარის კონტურებით) და Z ლერძი შეგვიძლია მიგმართოთ ვერტიკალურად ზევით, და ბერნულის განტოლების მიხედვით დაგწეროთ ასე:

$$Z + \frac{v^2}{2g} + \frac{p}{\rho g} = \text{const} \quad (4.23)$$

აღვნიშნოთ, რომ σ არის ნახვრეტის ფართობი (იხ. ნახ. 4.3); σ_0 – სითხის ზედაპირის ფართობი დარში; v – სითხის სიჩქარე ნახვრეტში; v_0 – სითხის სიჩქარე ზედაპირის წერტილში (დარში); p_0 – სითხის წნევა დარში; p – სითხის წნევა დგუშისეულ სივრცეში.

დარის σ_0 ზედაპირში გამავალი სითხის რაოდენობა დროის ერთეულში იქნება σv_0 , ხოლო ნახვრეტში გამავალი სითხის რაოდენობა – σv . სითხის დინების უწყვეტობის პირობის მიხედვით

$$\sigma_0 v_0 = \sigma v \quad (4.24)$$

(4.23)-ის გათვალისწინებით მივიღებთ:

$$zg + \frac{v_0^2}{2} + \frac{p_0}{\rho} = zg + \frac{v^2}{2} + \frac{p}{\rho} \quad (4.25)$$

(4.24) და (4.25) გამოსახულებების საშუალებით შეგვიძლია განვსაზღვროთ

ნახვრებიში სითხის დინების სიჩქარე

$$v_0^2 + \frac{2p_0}{\rho} = v^2 + \frac{2p}{\rho} \quad (4.26)$$

$$v_0 = \frac{\sigma}{\sigma_0} v; \quad v_0^2 = \frac{\sigma^2}{\sigma_0^2} v^2 \quad (3.27)$$

(4.26)-ში (4.27)-ის გათვალისწინებით

$$v^2 - v_0^2 = \frac{\sigma^2}{\sigma_0^2} = \frac{2p_0 - 2p}{\rho},$$

აღვნიშნოთ $p_0 - p = \Delta p$, მაშინ

$$v^2 \left(1 - \frac{\sigma^2}{\sigma_0^2}\right) = \frac{2\Delta p}{\rho} \quad (4.28) \quad \text{და} \quad v = \sqrt{\frac{2\Delta p \sigma_0^2}{\rho(\sigma_0^2 - \sigma^2)}} \quad (4.29)$$

ხოლო თუ გავითვალისწინებთ, რომ

$$\frac{\sigma^2}{\sigma_0^2} \approx 0, \quad (4.30)$$

მაშინ (4.28) განტოლებიდან

$$v = \sqrt{\frac{2\Delta p}{\rho}} \quad (4.31)$$

ნახვრებიში გამავალი სითხის ხარჯი $Q = \sigma v$

ხოლო ნახვრების კვეთის აუცილებელი ფართობი

$$\sigma = \frac{Q}{v} \quad \text{ან} \quad \left(\frac{\pi d_{\text{საბ}}^2}{4}\right)^2 = \frac{Q^2}{v^2} \quad (4.32)$$

ამ გამოსახულებიდან

$$(d_{\text{საბ}}^2)^2 = \frac{8\rho Q^2}{\pi^2 \Delta p} \quad (4.33)$$

საიდანაც ნახვრების დიამეტრი

$$d_{\text{საბ}(1)} = 0,95 \sqrt{Q} \cdot \sqrt{\frac{\rho}{\Delta p}}, \quad (4.34)$$

როგორც (4.34) გამოსახულებიდან ჩანს, ნახვრების დიამეტრის სიდიდე პირდაპირპორციული სითხის საჭირო ხარჯისა და მისი სიბლანტისა და უკუპროპორციულია წნევათა სხვაობისა, რომელიც ამძრავის ამუშავებისთანავე მყისურად იზრდება დოლისა და ლენტის საკონტაქტო ჭვრიტები (დარში, პერფორაციაში, მათი კომბინაციით შექმნილ არხში და ა.შ.).

ე.ო. დამოკიდებულება შეიძლება ჩატვრთ ასე:

$$d_{\text{საბ}} = f\left(\frac{Q, \rho}{\Delta p}\right)$$

ეს პირობა აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ საკონვეიერო ამძრავის კონსტრუირებისა და დამზადების დროს.

თუ (4.30) გამოსახულებას, რაგინდ მცირე, მაგრამ ნულისაგან განსხვავებულ მნიშვნელობას მივანიჭებთ, მაშინ (4.32)-ში (4.28)-ის გათვალისწინებით

$$\sigma^2 = \frac{Q^2}{\nu^2} ; \quad \sigma^2 = \frac{Q^2 \rho \left(1 - \frac{\sigma^2}{\sigma_0^2}\right)}{2\Delta p} ; \quad \sigma^2 (2\Delta p + Q^2 \rho \sigma_0^{-2}) = Q^2 \rho$$

და

$$\sigma^2 = \frac{Q^2 \rho}{2\Delta p + \frac{Q^2 \rho}{\sigma_0^2}} \quad (4.35)$$

$$\sigma^2 = \frac{1}{2\Delta p \sigma_0^2 + Q^2 \rho} \quad \text{ანუ} \quad \sigma^2 = \frac{Q^2 \rho \sigma_0^2}{2\Delta p \sigma_0^2 + Q^2 \rho} \quad (4.36)$$

$$(3.36) \text{ გავითვალისწინოთ, რომ} \quad \sigma^2 = \left(\frac{\pi d_{\text{საბ}}^2}{4} \right)^2, \quad \text{მაშინ}$$

$$d_{\text{საბ(2)}}^2 = \frac{4Q}{\pi} \cdot \sqrt{\frac{\rho \sigma_0^2}{2\Delta p \sigma_0^2 + Q^2 \rho}}$$

$$\text{ხოლო} \quad d_{\text{საბ(2)}} = 0,95 \sqrt{Q} \cdot \sqrt[4]{\frac{\rho \sigma_0^2}{\Delta p \sigma_0^2 + Q^2 \rho}} \quad (4.37)$$

ამგარად, თუ ჩათვლით, რომ $\frac{\sigma^2}{\sigma_0^2} \approx 0$, მაშინ ნახვრების დიამეტრს

გამოვიანგარიშებთ (4.34) ფორმულით; წინააღმდეგ შემთხვევაში ანგარიშს ჩავატარებთ (4.37) გამოსახულებით. განვსაზღვროთ (4.34) და (4.37) გამოსახულებებით ნაანგარიშებდიამეტრებს შორის სხვაობა.

ამისათვის (4.37) განტოლების ფესვები გამოსახულება წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

$$\frac{\rho \sigma_0^2}{\Delta p \sigma_0^2 + Q^2 \rho} = \frac{\rho}{\Delta p} + \left(\frac{\rho \sigma_0^2}{\Delta p \sigma_0^2 + Q^2 \rho} - \frac{\rho}{\Delta p} \right) = \frac{\rho}{\Delta p} + \frac{Q^2 \rho^2}{\Delta p^2 \sigma_0^2 + \Delta p Q^2 \rho}$$

მაშინ (4.37) ფორმულა შეიძლება ჩავწეროთ

$$d_{\text{საბ(2)}} = 0,95 \sqrt{Q} \cdot \sqrt[4]{\frac{\rho}{\Delta p} + \frac{Q^2 \rho^2}{\Delta p^2 \sigma_0^2 + \Delta p Q^2 \rho}}$$

ხოლო სხვაობა, სგ

$$d_{\text{საბ(2)}} - d_{\text{საბ(1)}} = 0,95 \sqrt{Q} \cdot \left(\sqrt[4]{\frac{\rho}{\Delta p} + \frac{Q^2 \rho^2}{\Delta p^2 \sigma_0^2 + \Delta p Q^2 \rho}} - \sqrt[4]{\frac{\rho}{\Delta p}} \right) =$$

$$= 0,95 \sqrt{Q} \cdot \sqrt[4]{\frac{\rho}{\Delta p} \left(1 + \frac{Q^2 \rho}{\Delta p \sigma_0^2 + Q^2 \rho} \right) - 1} \quad (4.38)$$

დავუშვათ, რომ სითხის (წყლის) ტემპერატურა $t = 18^{\circ}\text{C}$ მაშინ:

